



უნდონი და
ნვრიღმენი

დათო თავართქილაძე

უნდონი და წვრილმანნი

მოთხრობები

2023

გარეკანის მხატვრული გაფორმება: **ვაჟა სიმონიშვილი**
დაკაბადონება: **მინილ ჯაში**

ISBN: 978-9941-8-5436-1

მოხეტიალე კაცი

რადაც ნაცნობი, თუ უცნობი, სიყვარული, თუ სიყვარულის მცდელობა, ძუნწი, ეგებ ხისტი ფიქრები და მძაფრი განცდების სურვილი: ამ ნოველებში აღწერილი ამბები ალბათ ერთი მოხეტიალე კაცის თავგადასავლის ნაკუნებია, მათ დამწერს რომ გამოუგონია და ნანახთან შეუზავებია.

მოხეტიალე კაცი, ეგებ ძველებური გამოთქმაც იყოს დღევანდელ დაპატარავებულ მსოფლიოში, მაგრამ ნოველების გმირი ნიუ იორკის ახალ, იაფად მომუშავე ემიგრანტთა შორისაც ჩნდება, სადაც ადამიანები არაფერს დაგიდევნენ სიდუხჭირის წრის გარღვევის დიდი სურვილის გამო და თბილისის უბნებშიც, სადაც ჭორი ოხერ შართა და უთანხმოებათა საფუძველი შეიქნება ხოლმე.

მოხეტიალე კაცის სამყაროში ადამიანები უნდონი და წვრილმანნი არიან. ეს ჩვეულებრივი, შეუმჩნეველი ცხოვრებაა, თუმცა სავსეა რალაცნაირი იაფფასიანი ბრძოლით, რომელსაც ნოველიდან ნოველაში მოგზაური კაცი ვერც იღებს და ვერც იგებს. იმიტომ კი არა, რომ თვითონ მაინცდამაინც, ძველებურადვე რომ ითქვას, სანიმუშო კაცია, არამედ იმიტომ, რომ რასაც აკეთებს, პირდაპირ აკეთებს და ის არის, უნდა მიენდოს ახალ ურთიერთობას, რომ რადაც ვერაგი ხლართი იმედს უცრუებს. ეგებ ეს პანაწინა ვერაგობაა, მაგრამ ის შეუძლებელს ხდის იმას, რასაც თითქოს დაეძებს მოხეტიალე კაცი.

მოხეტიალე კაცი სიტყვაძუნწია, მაგრამ რახან გრძნობებისა და გატაცებების ადამიანია, სულ იოლად გაედევნება ხოლმე საკუთარ გულს: იმედი, ეგებ, ვიღაც ლამაზ ქალში გამოიხატოს, ან თბილისური უბნის ძველ კაცში, ან სულაც შემთხვევით ნაცნობში, მაგრამ ბედნიერი დასასრული არ არსებობს: გარშემო იმედგაცრუებაა.

თანაც, მოხეტიალე კაცი მომთხოვნია და საზღვრები სითბოსა და სიცივეს, ხელოვნურსა და ნამდვილს, წრფელსა და შეთხზულს შორის, მისთვის ლამის გადამწყვეტია.

ოღონდ, წიგნის ამბავი ასეა: ხასიათი ნოველიდან ნოველაში გადადის და ყველაფერი თავიდან იწყება, რადგან სამყაროში გზა ძნელად იცვლება ხოლმე, განსაკუთრებით მაშინ, თუ მას ხასიათი ადგას.

დაისლერი

ბაბუა ალექსანდრე ხმელხმელი, ანონილი მოხუცი იყო, მიუხედავად ასაკისა, სარკესთან დგომა და კოპნიაობა დიდ სიამოვნებას ანიჭებდა, განსაკუთრებულად უყვარდა ხორცისფერი სვიტერის ჩაცმა ცისფერ პერანგზე და ცოლის ნაჩუქარი ჰალსტუხის მორგება.

ალექსანდრე 87 წლისა დაქვრივდა და ცოტა ხანში დაბრმავდა კიდეც, იმის აქეთ გონება თვალის ჩინზე ნათელი ჰქონდა, მზის სხივს კი გაჭირვებით არჩევდა და ძალიან უხაროდა, როცა შვილიშვილი ალექსანდრე ჰაერზე გაასეირნებდა.

ალექსანდრე ბრმა ბაბუა ძალიან უყვარდა და ეცოდებოდა, ჰემინგუეის იმ მოხუცს ადარებდა, ზღვაში დიდი თევზი სხვა თევზებმა რომ შეუჭამეს.

ალექსანდრეს ბეისბოლი არასდროს მოსწონდა, ეჯავრებოდა კიდეც, სამაგიეროდ ფეხბურთის დიდი ქომაგი იყო და ალექსანდრე ნაირგვარ ამბებს უყვებოდა ფრანსისკო პაკო ვარელაზე, ლუის არტიმეზე და ლეოპოლდო ლუკეზე.

ალექსანდრე ცდილობდა, ჰემინგუეის ბაბუასთვის მიემსგავსებინა საკუთარი წინაპარი, გონებაში ნაირგვარ პარალელების ავლებდა ამ ორ ბაბუას შორის და ბეისბოლიც ჩინებულად ჩაანაცვლა ფეხბურთმა.

ალექსანდრე ათი წლისა იქნებოდა, ბაბუამ ჩამჭრელი კითხვა რომ დაუსვა: რა არის მთავარი ფეხბურთში?

ეს ის დრო იყო, როცა ფეხბურთის მცოდნე უფროსი კაცები ყიფიანზე და ოვერატზე ბევრს ლაპარაკობდნენ და შვილიშვილიმაც ბაბუას უპასუხა:

- პასი, რადგან თუ კარგი გადაცემის შემსრულებელი არ ჰყავს გუნდს, თერთმეტი მეგობრის სირბილი უსარგებლო იქნება.

ბაბუას ამაზე ნახად ჩაეცინა და ბავშვს კმაყოფილი ტონით უთხრა:

- არა, ფეხბურთში მთავარია გოლი, ბურთი კარში თუ არ შედის, უნდა შეთხარო! და კიდეც, ხშირად ცხოვრება ძალიან ჰგავს ფეხბურთს.

ალექსანდრე გამომცემლობაში მუშაობდა და ბევრ ცნობილ ადამიანს იცნობდა, ძველი თბილისის ბომონდური ისტორიების იმდენი მარაგი ჰქონდა ტვინში, კარგ კრებულს გაავსებდა. მას ამ წრეში არ უშვებდნენ, შორიახლო ტრიალებდა და ამითაც კმაყოფილი იყო.

შემცირებაში რომ მოაყოლეს, სახლში კარგა ხანს არ იცოდნენ ამის შესახებ, ბაბუა ალექსანდრე ყოველ დილით საგულდაგულოდ გაიპარსავდა წვერს, ჰალსტუხიან პერანგზე სვიტერს გადაიცმევდა და დაიბარებდა, სამსახურიდან რვა საათისთვის დავბრუნდებიო.

ალექსანდრე ყოველთვის ეცოდებოდა. როცა დაბრმავდა, ფულის კუპიურის ზომაზე გამოჭრიდა ხოლმე ქალაქებს და ჯიბეში ჩაუკუჭავდა, ბებერი გული გაუთბებო.



მხატვარი: ვაჟა სიმონიშვილი

მოკლედ, ალე და ალექსანდრე კარგი მეგობრები იყვნენ.

ალე არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობდა, ამ საქმეში დამწყები იყო და ჯამაგირიც სხვაზე ნაკლები ჰქონდა. ფულის ყადრი არ იცოდა, ხელფასის დღეს ელიტარულ საროსკიპოში მირობოდა, ძვირიან პაბებშიც ხელგაშლილობით იცნობდნენ.

ალე გოგოებთან ურთიერთობაში მორცხვი და მოუხეშავი იყო, მონიფულობიდან დარდობდა, ქალებს რომ არ მოსწონდათ. მშვენიერი ყმაწვილი გახლდათ, შეხედული, ოღონდაც გოგოებში - არაპოპულარული.

ალე არ იყო გმირად დაბადებული და ეგონა, რომ ამის გამო იწუნებდნენ ლამაზი გოგოები სკოლაში, უნივერსიტეტში და უბანში. ამიტომაც, საროსკიპო დიდი შვება იყო მისთვის, რადგან ლალად ელაპარაკებოდა ლამაზ კახპებს და რჩევებსაც იღებდა, თუ როგორ მოქცეულიყო სხვა გოგოებთან.

ალექსანდრე დაბრმავებამდეც კარგად იცნობდა ალეს ზნეს, ყველაფერს ხვდებოდა, მაგრამ მიუხედავად მტკიცე მეგობრობისა, ვერ ბედავდა, რომ ყველაფერზე ჩამოეგდო სიტყვა შვილიშვილთან. ფეხბურთი და თბილისური ამბები, ეს იყო მათი მთავარი ხაზი.

ბაბუას ძლიერ უნდოდა, რომ ალეს წიგნები ეკითხა და შეიძლება ითქვას, თავის ჭკუაზე გადაიყვანა კიდეც უმცროსი მეგობარი. პირველი რჩევა „სამი მეგობარი“ იყო და ალექს იხე დაუძმაკაცდა წიგნს, რომ ბაბუა ახალახალ საკითხავს უმზადებდა ხოლმე შვილიშვილს. ლიტერატურის მნიშვნელობაზე ალექსანდრეს ხომ საკუთარი, ურყევი წარმოდგენა ჰქონდა, გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ კარგი წიგნი ადამიანს უკეთესობისკენ შეცვლიდა.

უნივერსიტეტის შემდეგ ალეს უკვე მშობლების გარეშეც გაჰქონა თავი, ერთი ეგ იყო, ქალებთან ურთიერთობა ნაკითხ და განათლებულ ყმაწვილს მაინც უჭირდა, ვერც „მადამ ბოვარიმ“ უშველა და ვერც ჰენრი მილერის მოთხრობებმა. ბაბუა განიცდიდა ამ ამბავს, აღარ იცოდა, რით დახმარებოდა უმცროს მეგობარს. მოხუცი თან სიკვდილზე ფიქრობდა, თან კი ალეს მდგომარეობაზე ჯავრობდა. გაიცნობს ვილაც გონჯს და ბრმად შეუყვარდება, ასეთი ქალები სწორედ ალესნაირ წესიერ ბიჭებს აჯადოებენ, -დარდობდა ალექსანდრე.

ალე ინტერნეტით ცდილობდა მისთვის საინტერესო გოგოს გაცნობას, ფიქრობდა, რომ სხვა შანსი მისთვის არ არსებობდა. ამიტომაც სამსახურში გვიანობამდე რჩებოდა და ჩატაობდა. საუბრის გაბმა ვირტუალურ სამყაროშიც უჭირდა. გამარჯობა, რა ლამაზი ხარ - ასეთი დასაწყისი განწირული იყო მარცხისთვის და ახალგაზრდა კაციც ნერვიულობდა. თუ ვინმე მაინც წამოჰყვებოდა საუბარში, მალევე განზილებულს ტოვებდა ალეს. დრო გადიოდა, საინტერესო გოგო კი არ ჩანდა.

თუმცა, მონდომებამ შედეგი მაინც მოიტანა. ალეს გერმანიიდან ქართველი გოგო გამოელაპარაკა და დაუმეგობრდა. ბიჭს შინ კომპიუტერი არ ჰქონდა და სამსახურში წასვლა ორმაგად უხაროდა. გოგოს ბორენა ერქვა, ერთ-ერთი იმერული სოფლიდან წასულიყო შუაგულ ევროპაში, სწავლობდა და თან ოპეარადაც მუშაობდა. რამდენიმე დღიანი ჩატის შემდეგ ალემ ბორე-

ნას ფოტოს გამოგზავნა სთხოვა, გოგოს უარი არ უთქვამს, მალე ხარისხიანი კამერით გადავიღებთ მეგობრები სურათებს ბავარიის ერთ-ერთ მთიან კურორტზე და მნახავ, რა მშვენიერიც ვარო.

აღეს უხაროდა. ბორენას იმაზეც შეუთანხმდა, ნოიშვანშტაინის სასახლე ერთად მოვიწახულოთო.

„ვარდების“ მერე რეფორმები ახალი დანეჭეული იყო, თბილისი უძრაობას და სიბნელეს იოლად ველარ ეგუებოდა, სარბიელზე უკვე გონებაგახსნილი ახალგაზრდები გამოჩნდნენ და ალექს იმედინად იყო, აგერ ბორენას დავუახლოვდები, ცხოვრებაც უკეთესობისკენ შეიცვლება და ძვირიან საროსკიპოებშიც აღარ ვივლიო. უმცროსი ალექსანდრე სულაც არ ეძებდა სინამდვილეს, რომანების პერსონაჟებზე ბევრს არ ფიქრობდა, უბრალოდ, ტკებოდა გამოცოცხლებით - ბორენას ფოტოებს მალე ნახავდა და მერე ტელეფონის ნომერსაც გამოსთხოვდა.

აღე ქალთან პირველი საინტერესო ურთიერთობისთვის ემზადებოდა, თან დაძაბული იყო და თან ეს დაძაბულობა სიამოვნებდა.

ბორენასთან საუბრის ძირითადი თემა ლიტერატურა, გერმანია და ფეხბურთი იყო. გოგომ უთხრა, ვირიჯინია ვულფი მომწონს, ქალ მწერლებში ალბათ საუკეთესო ის არის და ძალიან მინდა, ლონდონი და მთელი ინგლისი შემოვივარო, თუ ჩემთან ერთად იქნები, შენც გაიხარებ, ბრიტანეთში ხომ განსაკუთრებულად უყვართ ფეხბურთიო. აღე თავისას უყვებოდა გოგოს, ბავარიამი შენს გამო ჩამოვალ, თან ბაიერნის დიდი გულშემბატვივარო ვარო.

ამასობაში ბიჭმა და გოგომ ტელეფონები გაცვალეს. უცხოეთში დარეკვა ძვირი ღირდა, თუმცა აღე მომჭირნე არაფერში იყო და ხშირად ურეკავდა ბორენას. ერთხელაც გაბედა და თხოვა, იქნებ ჩემი საყვარელი ბაიერნელის მაისურა გამომიგზავნო და მეც განსაკუთრებულ საჩუქარს გაგიმზადებო.

სებასტიან დაისლერი - ეს ის ფეხბურთელი იყო, მარჯვედ რომ დაქმითინობდა მარჯვენა ფლანგზე, გერმანიის იმედი, რომელიც ნაკრების სახე უნდა გამხდარიყო, თუმცა ძაან თავისებური ბიჭი გამოდგა ბასტი, გულჩათხრობილი, სულაც არ ჰგავდა ზოგიერთ კუნთმაგარ და გამოთაყვანებულ სპორტსმენს. აღეს ამის გამოც უყვარდა ის.

ბორენამაც იცოდა, თუ ვინ იყო ბასტი დაისლერი, განსაკუთრებული კაცი და ფეხბურთელი, ვისაც შავი, ბრაზილიელი გოგო შუყვარდა, მერე ისეთ დებრესიაში ჩავარდა, რომ ფსიქოლოგიური და ფიზიკური ტრავმებისგან შენუხებულმა ფეხბურთიდან წასვლა განიზრახა, ბაიერნის უფროსობა კი ნიადაც ცდილობდა, დაისლერს აზრი შეეცვალა და ფეხბურთის თამაში გაეგრძელებინა. სებასტიანი არ იყო ისეთი სელებრითი, რომ მოდელი ან მოდელის მსგავსი გოგო გაეჩინა მიჯნურად და ალბათ ამიტომაც, დაისლერი ბორენასაც ძალიან უყვარდა - ბასტი ხომ არ ჰგავდა სხვებს, ამ გერმანელი ბიჭის სამყარო სულ სხვანაირი იყო.

- დაისლერი? ის ხომ გაგიჟდა! რად გინდა მისი მაისურა?

აბრაზებდა ბორენა აღეს, თუმცა მაინც ჩავიდა პერიფერიიდან მიუნხენში და იყიდა ბაიერნელი დაისლერის წითელი მაისურა.

- ჩემი მეგობარი მოდის თბილისში და გამოვატან.

აი, ამის შემდეგ კი ალემ ყველაფერი მოუყვა ალექსანდრეს, რადგან დარწმუნდა, რომ ბორენა არაჩვეულებრივი გოგო იყო და დიდი ალბათობით შეუყვარდებოდა კიდეც. ბაბუა ბრმა რომ არ იყოს, მალე ბორენას ფოტოსაც ვაჩვენებდი, ფიქრობდა ყმანვილი, ქალებში ჯერაც გამოუცდელი კაცი.

ალექსანდრემ კი დუმილით უპასუხა შვილიშვილს, რაც თავისთავად სწორი ტაქტიკური ნაბიჯი გამოდგა. გულმა რეჩხი მიყო, რაღაც უცნაურია ამბავია, კარგი ბოლო არ უნდა ჰქონდეს - საკუთარ თავს ელაპარაკებოდა მოხუცი.

- ჩემს დაქალს ანი ჰქვია, თბილისში ორ დღეში ჩამოვა, იცოდე, ფლირტი არ გააბა მასთან, თორემ ძალიან ვიეჭვიანებ - კისკისით უთხრა ბორენამ ბიჭს ტელეფონში და ალესაც ლოყა და ყური აუხურდა, თითქოს სისხლმა ახალი კალაპოტები აღმოაჩინაო.

უმცროსი ალექსანდრე საგულდაგულოდ ემზადებოდა ანისთან შესახვედრად, ახალი ფეხსაცმელები და ჯინსები შეიძინა, პარფიუმერულ მაღაზიაშიც შეიარა და რა თქმა უნდა, ყველაზე ძვირიანი სუნამო იყიდა, ბოლოს წიგნების მაღაზიასაც მიაკითხა და ბორენას ერთ-ერთი თანამედროვე, მოდური ქართველი მწერლის რომანი შეურჩია, ნაკითხული არ ექნება და გაუხარდებო.

ბორენასთან ბოლო მიმონერისას ანის ქართული ტელეფონის ნომერი მიიღო და დათქმულ დღეს დაურეკა კიდეც. შეხვედრა ალექსანდრეს ბაღში დანიშნეს.

ალე ორმაგად ნერვიულობდა, საყვარელი ფეხბურთელის მაისურა უნდა მიეღო, ძვირფასი საჩუქრის გარდა ბორენას დაქალიც უნდა გაეცნო.

იქნებ, ანი ბორენაზე ლამაზიც კი იყოს, - კონფიუზში ჩავარდა გამოუცდელი ბიჭი, ვისაც ჯერ ბორენას შეპირებული ფოტოები არ ენახა, თუმცა საუბარში არაერთხელ დაუსვა კითხვა თმის ფერსა და ვარცხნილობაზე, აღნაგობასა და თვალებზე, რათა წარმოედგინა სანატრელი ქალის პორტრეტი.

ალეს ძალიან უნდოდა, რომ ანის მოსწონებოდა. როგორ დამახასიათებს ის ბორენასთან, რას ეტყვის ჩემს მოუქნელობაზე, მაინც გავბედავ და ყავაზე დავპატიყებ, ქალებს მოსწონთ გალანტური კაცები და ბორენასაც ასეთი შთაბეჭდილება უნდა შეექმნას ჩემზე, იქნებ სჯობდეს, ანის გავეპრანჭო და ამით კიდე უფრო დავაინტრიგო ბორენა, მოკლედ, არ ვიცი, რაც მიწერია, ისე იქნება - თავს იმშვიდებდა ყმანვილი.

ანი ტაქსითი მოვიდა შეხვედრაზე, თავაზიანად ჩამოართვა ხელი ბიჭს და მყის გადასცდა საჩუქარი. გოგო საოცარი უბრალოებით გამოირჩეოდა და ალესაც გული გაუთბა, დაძაბულობა უცბად მოეხსნა, ის ღელვაც გაუქრა, სისხლს ლოყებისკენ და ყურებისკენ რომ მიაჩქროლებდა.

ანის გამხდარ სხეულში არ იყო ადგილი აცქვიტინებული მკერდისთვის და ვამლივით გემრიელი სხვა სიმრგვალებებისთვის, ჩაცვნილი და ფიქრიანი თვალები კი მხოლოდ პატივისცემას იმსახურებდა და მეტს არაფერს. ყავის სმა და ხანგრძლივი საუბარიც არ გამოვიდა, გოგომ მოუცლელობა მოიმიზეზა და

სევდიანი ღიმილით დაშორდა მაისურით დაჯილდოებულ ყმანვილს.

მეორე დღეს ალე დაისლერის მაისურით მივიდა სამსახურში, თანამშრომლების ყურადღება გასხივოსნებული სახითაც მიიქცია. დრო ნელა გადიოდა და როგორც იქნა, სამუშაო საათები ამოიწურა. ალემ გაცნობის საიტი დაქოქა და ბორენას შეტყობინებაც დახვდა.

- წიგნისთვის დიდი მადლობა, აუცილებლად წავიკითხავ, ფოტოებსაც რამდენიმე დღეში გამოგიგზავნი. იმედია, ჩემს დაქალთან ფლირტი არ გიცდია...

უმცროსმა ალექსანდრემაც უმაღლეს მისწერა:

- რა თქმა უნდა, არა, ყავის დასალევადაც კი არ წამომყვა, ძალიან კარგი ადამიანი ჩანს, თუმცა გარეგნულად ისეთი ეფექტური ნამდვილად არ არის, რომ რამე მეფიქრა. ძალიან გამახარე დაისლერის მაისურით, სულმოუთქმელად ველოდები შენს ფოტოებს. ხვალამდე, დაგიჩეკავ...

მეორე დღეს, სამუშაოს დასრულების შემდეგ ალემ ისევ დაქოქა საიტი და ბორენას პროფაილი გაუქმებული დახვდა. გაუკვირდა, ვერაფერს მიხვდა. შემდეგ დარეკვა სცადა, მთელი ღამე ეწვალეობდა ამ საქმეს, მაგრამ ბორენას მობილური გამორთული ჰქონდა. მომდევნო ორი დღეც ასე იყო. გოგო ელექტრონულ ფოსტაზეც არ პასუხობდა ბიჭს.

- ანის დავურეკავ! ვერა, ის ხომ უგვე გერმანიაშია, აბა, რა უნდა ვქნა?!

ალემ ყველაფერი მოუყვა ბაბუას. მოხუცი ალექსანდრე ჩაფიქრდა, ის თბილისური ისტორიები მოაგონდა, ასე უხვად რომ დაჰგროვებოდა, ფარდებს უყურებდა, თითქოს მზის სხივის გამოჩენას ელოდა, ალემ მიხვდა, რომ ბაბუა საკუთარ სიყმანვილეს იგონებდა, სენტი და მენტი ამისგან უფრო მოდიოდა, ვიდრე ალეს ხელმოცარული ამბიდან.

- ჩემო ნორჩო მეგობარო, ისინი ძალიან კარგად აზროვნებენ.

- ვინ ისინი?

- ქალები ალემ, რომლებსაც ტვინი კაცისაზე უფრო პატარა და მსუბუქი აქვთ.

ბაბუა იცინოდა და ამ თბილი, მეგობრული ღიმილით ცდილობდა შვილიშვილის გამხნეებას.

ალემ ხელმეორედ გავიდა ალექსანდრეს ბაღში, შემოდგომის ფოთლებით დარბილებულ მიწაზე ბოდიანი ესიამოვნა, გაახსენდა, რომ გოგოს ვირჯინია ვულფი უყვარდა და ინგლისელი ქალის ღრმა, ფიქრიანი თვალებს ადარებდა ანის.

ალეს იმ ღამეს ქალები ესიზმრებოდა, საროსკიპოს ენაწყლიანი ბოზები.

მაშა დეიდა

ტუჩის კიდე იყო მარტინელოს გამცემი. კაცმა რომ თქვას, ნიღბები არც უყვარდა, არ იცოდა მათი მორგება და ოკეანეს სანაპიროზე რომ გაივლიდა, თავლის ერთი შევლებით ძნელი იყო მისი ამოცნობა.

გალიმებისას კი ტუჩის განაპირა მხარეებს ისე მოაქცევდა, რომ იოლად მიხვდებოდი მის ზნეს.

მარტინელო მექსიკიდან შემოიპარა ამერიკაში, წლობით ცხოვრობდა ბრაიტონ ბიჩის შემოგარენში. ჯერ მტვირთავად მუშაობდა, მერე კი პატარა რუსულ რესტორან ხუტოროკში მოენყო ჭურჭლის მრეცხავად. ღონიერი კაცი იყო, თავს უფრთხილდებოდა, თამბაქოსა და სასმელს არ ეკარებოდა. მძლავრი და ელასტიური მაჯებით დაიმსახურა რესტორნის მფლობელის ნდობა, მერე კი ისეთ დახვეწილ მახეზლარად ჩამოყალიბდა, დამქირავებლის ჯილაც შეიქნა.

მექსიკელს საკუთარი გასართობიც ჰქონდა. როგორც კი ნასუფრალს მოუყრიდა თავს, ოკეანისკენ გარბოდა და თოლიებს აჭმევდა. აი, ამ დროს დაეჭვდებოდნენ ხოლმე რესტორნის თანამშრომლები - იქნებ, სული მარტინელოსაც აქვს.

მზარეული ელდარი კი მარტინელოს არასდროს ენდობოდა, საკუთარი თეორია ჰქონდა: მექსიკელები ნახევრად ადამიანები არიან, ამიტომაც აქვს მარტინელოს არანორმალურად ძლიერი და მოქნილი ხელები და ამიტომაც არ ადარდებს, რომ ჩამშვებია.

რესტორნის სამზარეულო პატარა და მჭიდრო იყო. მთავარ მზარეულად ელდარი იდგა, ორი დამხმარე ჰყავდა, ჭურჭელს კი მხოლოდ მექსიკელი ვერ აუდიოდა და ამიტომაც ქირაობდნენ მეორე მრეცხავს. სამზარეულოს გუნდს რესტორნის მეპატრონე ზოგჯერ ერთ-ორ ემიგრანტს შეაშველებდა როცა დიდი ბანკეტობა იყო, ან კიდევე ზაფხულში, როცა პატარა რესტორანს ბევრი სტუმარი ჰყავდა.

ვერც ერთი მეორე მრეცხავი დიდი ხნით ვერ ჩერდებოდა ამ რესტორანში. ძნელი იყო მარტინელოს მენყვილეობა, რესტორნის მეპატრონეც ხელმომჭირნე იყო და საათში რვა დოლარზე მეტს არ იხდიდა ამ საქმეში. სამზარეულოში ყველამ იცოდა, ვინ რა ჯამაგირს იღებდა, მხოლოდ მარტინელოს ხელფასი იყო საიდუმლო.

სამზარეულოს ქვევით სწყობი მოენყოთ. ამ სარდაფში დენისკა მუშაობდა. მშვიდი, ინტელიგენტი რუსი, ბევრი საიდუმლოს მცოდნე, მაგრამ სიტყვაძუნწი. ამიტომაც, მარტინელოს დავალებული ჰქონდა სწყობის ამბების ცოდნაც. ბეისმენტში ზოგი თანამშრომელი ლუდს მოიპარავდა, ზოგი სიგარეტს მონევდა, ზოგიც დასასავენებლად დაიმალებოდა - მექსიკელს ეს ყველაფერი უნდა სცოდნოდა. მეპატრონე კამერებს არ ამონტაჟებდა



მხატვარი: ვაჟა სიმონიშვილი

სამზარეულოსა და სანყოფიში, ზედმეტ ხარჯად მიაჩნდა და არც ის უნდოდა, დრო დაეკარგა დაქირავებულთა თვალთვალისთვის - მარტინელოს ცბიერი თვალების იმედად იყო.

ნიუ იორკში ახალი ჩასული ვიყავი და ოთახი ბრაიტონ ბიჩზე ვიქირავე. ამ ქალაქს აგურის ფუნგლებს ეძახიან, გულქვა ცათამბჯენები მართლაც ზვიადი თვითრწმენით დაჰყურებენ არემარეს. ოკეანის ბზინვარება ისე ამშვენებს იქაურობას, ძნელია, არ გიყავრდეს ნიუ იორკი ისეთი ფურღმულელებითაც კი, როგორც ბრაიტონია: თითქმის ყველა საბჭოთა ემიგრანტი აქ იდგამს ფეხს, აქ შოულობს პირველ დოლარებს და აქ ეცნობა ამერიკას.

ზამთარი იყო, ახალჩამოსული ემიგრანტისთვის სამსახური ჭირდა და რა სამუშაოც პირველად გამოჩნდა, იმას დავეყაბულდი, მარტინელოს გვერდით დავინყე ჭურჭლის რეცხვა რუსულ რესტორანში. თანამშრომლებმა მყის გამაფრთხილეს, თუ რა კაცი იყო მექსიკელი. თავს არ ვზოგავდი, ყველაფერს ვეგუებოდი და ერთი კვირის თავზე პირველი ასი დოლარიც გავაგზავნე თბილისში.

მეორე კვირაც არ გამოდგა იოლი. სამსახურში წასვლა არ მიხაროდა, სანამ სამზარეულოში დროებით დამხმარედ ჯამილაი არ აიყვანეს. ყირგიზი გოგო იყო, ტანკენარი, სამუშაოს დასრულების შემდეგ ჯინსებზე გრძელ თმებს რომ ჩამოუშვებდა, ჩემი ეროტიკული ფანტაზიებიც მაშინ აზვავდებოდა. გამხდარ ტანზე მისი პატარა, ლამაზი მკერდიც გემრიელ მღელვარებას იწვევდა. თბილი აზიური თვალელები მშვენივრად ეხამებოდა თხელ ტუჩებს. გოგოს ზადი არ ჰქონდა.

ნატიფი თითებით უწევდა კარტოფილის დათლა ჯამილაის. შესვენების დროს სულ ოკეანისკენ იყურებოდა და ძალიან მაინტერესებდა, რაზე ოცნებობდა. არასდროს მყოლია აზიელი მეგობარი ქალი და იქნებ, ახლა გამიმართლოს...

ყირგიზ გოგოს რუსულად ვესაუბრებოდი, საყველბურო ინგლისურიც კი არ იცოდა და არაერთი სიტყვა თუ იდიომა ვასწავლე. ჯამილაიც დამეხმარა, ლუბტოპისთვის ინტერნეტ კოდი მომცა და ბრაიტონის მკაცრ ოთახში უკვე კომფორტულად ვეცნობოდი ახალ ამბებსა და სოცქსელების პერიპეტიებს. ერთხელ სახლამდეც მივაცილე და თვალბზეც კი მაკოცინა.

ერთი თვეც გავძელი ბრაიტონის რუსულ თხრილში. მარტინელოსთვის დაბეზლების საბაბი არ მიმიცია, ჯამილაისთან ფლირტი თითქოს ჩემი აუცილებელი ამხანაგი იყო, ჯამილაის გამო ყველაფერს ვეგუებოდი. ისე მომაჯადოვა, მის თვალებსა და საფეთქლებზე კოცნა იყო ჩემთვის რომანტიკაც და ყველაფერიც.

- ნავიდეთ ოკეანასიკენ და მოვისმინოთ, თუ როგორ სუნთქავს ზღვა - მეტყოდა ხოლმე სამუშაოს დასრულების შემდეგ.

ასეთი შარში ალბათ მხოლოდ ყირგიზ ქალებს თუ აქვთ - ვეტყოდი ხოლმე კოცნის შემდეგ.

რესტორნის პერსონალისთვის ჩვენი ურთიერთობა ვერ დაიმალებოდა. მარტინელო ერთად რომ დაგვინახავდა, იღრიჭებოდა, სხვები კი განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობით გვაკვირდებოდნენ, ყველას აინტერესებდა, როგორ დასრულდებოდა ჩემი და ჯამილაის ამბავი.

- გრუზინ, ეგ ქალი შენ არ გამოგადგება, სჯობს სხვა ნახო, საქმეს მიხედო
- გამაფრთხილა ელდარმა.

- რა საქმეს? ვინც მომწონს, იმასთან მინდა ვიყო.

- აქ ხალხი ფულის საშოვნელად და საბუთების გასაკეთებლად ყველაფერზე მიდის, ჯამილაის თავი დაანებე, შენ მაგას ცოლად მაინც არ მოიყვან, სისულელეების დრო და ადგილი კი აქ არ არის.

- რა იცი, რომ ცოლად არ შევირთავ?

- კარგად გიცნობთ ქართველებს...

- მე არ ვარ ტიპიური ქართველი.

- ყური მიგდე, ხვალ მიმტანი მაშა ბრუნდება ჩვენთან, მსცოვანი, თუმცა ჯერაც ვნებააშლილი ქალია, დაქვრივებული, ამერიკის მოქალაქე, სცადე, იქნებ რამე გამოგივიდეს, ეს ყირგიზი გოგო კი საშენო არ არის.

გულს ჯამილაი მიჩქროლებდა, მაგრამ მაშას გამოჩენამ მაინც დამაინტრიგა.

ნელში გამართული, თბილი თაფლისფერი თვალები, დიდი, აზღუდით შემაგრებული მკერდი, დანაოჭებული საულვაშე და საოცრად ქალური მიხრამობრა - ასეთი გამოდგა მაშას პორტრეტი. ყმანვილქალობაში რამდენ კაცს აუბნევდა გზაკვალს, რამდენს გააბედნიერებდა, რამდენს ატკენდა გულს, მაინც როგორი მოქნილები არიან ლამაზი ქალები, რამდენი შეუძლიათ...

ფანტაზია მაშამაც ამიზავა. რუსული უბრალოებით უცბად შემოიტანა დადებითი მუხტი რესტორნის სამზარეულოში, მალე ისე გამიშინაურდა, დარეცხილი ჭურჭლის ნასაღებად რომ მოვიდოდა, ნეკნებზე მიჩქმეტდა და გაათქვირულ მკერდს მომბაზენდა. მეც ვაჯავრებდი, მაშა დეიდას ვეძახდი.

რომ არა ნაოჭები მაშას სახეზე, ვინ იცის, იქნებ ჯამილაი მყის მიმეტოვებინა და 59 წლის რუსი ამერიკელი შემერთო ცოლად, რამდენიმე თვეში სოციალურ ბარათს და მუშაობის უფლებას მომცემდნენ, ერთი წელიწადში კი მწვანე ბარათსაც გამოვკრავდი ხელს.

მაშას მოსვლიდან ფიქრი გახდა ჩემი განუყრელი და უახლოესი მეგობარი. ჯამილაიც ხვდებოდა, თუ რა ფიქრმა გამიტაცა, გული მისკენ მქონდა, გონება - მაშასკენ. ვგრძნობდი, რომ დიდ ხანს ასე ვერ გაგრძელდებოდა.

-სასხრები მანუხებს და კინგს ჰაივეიდან ბრაიტონზე უნდა გადმოვიდე საცხოვრებლად. ზღვის ჰაერი მოგიხდებაო, ექიმებმა მითხრეს. მოდი, ოთახი ერთად ვიქირაოთ და ქირის საფასური გავიყოთ.

- ჯამილაი, რა საყვარელი ხარ, ძან ბედნიერი ვიქნები შენთან ყოფნით.

- ახლავე მინდა გითხრა, რომ ერთი ოთახში კი ვიცხოვრებთ, ოღონდ ერთად არ დავნებებით.

- ეგ როგორ, ბავშვები ხომ არ ვართ?...

- ძალიან კარგი ბიჭი ხარ და ამიტომაც მინდა შენთან ყოფნა, მაგრამ არანაირი ინტიმი, მხოლოდ მეგობრობა, თუ არ განწყობს, უარის თქმა ნუ მოგერიდება.

ჯამილაის კატეგორიულმა შემოთავაზებამ ამფორიაქა, გადაწყვეტილების მიღება მიჭირდა, ასეთი უცნაური რამ არავისგან გამეგო და რჩევასაც ვერა-

ვის ვკითხავდი. მამაზე ფიქრებიც გამიმძაფრდა.

ვინ ვარ მე, რა მსურს, რა გერბია გამოხატული ჩემს მკერდზე? ენერჯია მომემატა და კალაპოტს ვეძებდი.

ჭურჭლის რეცხვას მარჯვედ ველარ ვახერხებდი, მარტინელოც ჩაიცინებდა ხოლმე, ჯამილიას კი არაფერი ეტყობოდა, შესვენებაზე გათოშილი ფანჯრებიდან ძველებურად გაცსქეროდა ოკეანეს.

- მაინც რას მერჩი, რატომ არ გინდა ჩემთან სექსი? ფერომონების და ფლუიდების ამბავია?

- არა.

- აბა, რალაც მიზეზი ხომ უნდა იყოს?! ნიუ იორკში ვართ, თავისუფალ სამყაროში..

- მე რომ შენთან დავწვე, შეიძლება შემეყვარდე, რაც ძალიან არ მინდა.

- მერე მაგას რა სჯობს, თუ არანორმალურად შეგვიყვარდება ერთმანეთი?

- მე აქ სხვა რამისთვის ვარ ჩამოსული.

- ჩვენი ხვევნა-კოცნა ხელს არაფერში შეგიშლის, ერთად თუ ვიცხოვრებთ, უფრო ყაირათიანად დავხარჯავთ ფულს და უფრო მალე დააგროვებ დანაზოგს.

- არა, ფული და დანაზოგი არაფერ შუაშია. არ მინდა რომ შემეყვარდე, რადგან მერე ველარ შევძლებ იმას, რაზეც ვოცნებობ.

- ვერაფერი გავიგე.

- მინდა ცოლად გავყვე მდიდარ ამერიკელს, ანგლოსაქსური წარმომავლობის ჭარმაგ კაცს და ასე ავინყო ცხოვრება, შევექმნა ოჯახი და გავხდე ამერიკის მოქალაქე.

ჰო, ნიუ იორკი მართლა ქვის ჯუნგლები ყოფილა, მე კი გულუბრყვილოდ დავიჯერე, რომ აღმოსავლელი ქალი სულ სხვა არის, რომ ის არ ჰაგვს არც ქართველსა და არც რუსს.

წვნიანით სავსე დიდი ქვაბი ხელიდან გამისხლტა და სამზარეულოს იატაკზე ტბა დავაყენე, დანა-ჩანგალს ხელმეორედ აღარ გავავლე წყალი და მიმტანები აყაყანდნენ, ქართველმა ჭურჭელი კარგად არ გარეცხაო, მერე მარტინელოსკენ გავიწიე და კინალამ ტაფა ჩავარტყი თავში...

- გრუზინ, გონს მოეგე, ბრუკლინში სხვა სამუშაოს როგორმე კი იშოვი, მაგრამ ჯერ ზამთარია და შესაძლოა, ერთი-ორი კვირით იუქემო, ეს კი დიდი დანაკლისია, ოთახის ქირა გადასახდელი გაქვს, კვება გინდა, სახლშიც უნდა აგზავნო ფული, ასე რომ, ჭკუით იყავი, მთელი კონცენტრაცია სამუშაოზე გადაიტანე - გამაფრთხილა ელდარმა და იქვე დააყოლა, მარტინელო ამ ყველაფრის გამო აუცილებლად ჩაგიშვებს, მაგრამ ეგ არაფერი, შესაძლოა, პოლიციაშიც კი დარეკოს იმის გამო, რომ მასზე ტაფით გაიწიე, გირჩევი, ბოდიში მოუხადო მაგ მახინჯს.

მეორე დღეს რესტორნის მეპატრონეს დავურეკე და დეი ოფი გამოვთხოვე. ერთი სრული დღე მაინც მჭირდებოდა, რომ ბრუკლინში სხვა სამუშაო მომეძებნა. მივდექ-მოვდექი, საჩემო ვერაფერი ვნახე, ხუტოროკში მიბრუნება

აღარ მინდოდა, მაგრამ სხვა გზაც არ ჩანდა. დღემ უნაყოფოდ ჩაირა. შუალა-
მე იყო და ვიფიქრე, მივალ ხუტოროკში და ჯამილაის სახლამდე მივაცილებ.

კართან დენისკა დამხვდა, ის ბოლოს გამოდიოდა ხოლმე ვიტრაჟზე ჟალუ-
ზების ჩამოსაშვებად.

- ჯამილაი სადაა?

- ერთი საათის წინ დაგვტოვა, დღეს ბევრი სტუმარი არ გვყავდა და ყველა-
ნი ადრე წავიდნენ.

- მაშაც?

- არა, ის აქ არის, მაგრამ სჯობს, არ მოინახულო.

- რატომ?

- ისე, შესაძლოა, სჯობდეს კიდევ, რომ ნახო მაშა, სარდაფშია, მარტინე-
ლოსთან.

სარდაფში მარტინელოსთან? სწრაფად ჩავივრბინე ქვევით. უმაკიაყო მაშა
კიდევ უფრო ბებრულად გამოიყურებოდა, ოღონდაც უწინდელზე უფრო კე-
თილი და ადამიანური იერი ჰქონდა, შეწუხებული თვალები მომანათა. სველ
თმებსა და ხელპირს იმშრალებდა.

- მალლა უნდა ავიდე და მოვნესრიგდე - მხოლოდ ეს მითხრა და გამეცალა.

მარტინელომ ტურის ორივე კიდე მოკეცა, უტიფრად კმაყოფილი იყო გა-
მარჯვებით.

- გულთან ახლოს ნუ მიიტან, იცოდე, მაშა სუპერ ადამიანია - მითხრა დე-
ნისკამ.

- ამ ბინძურ მახინჯს როგორ დანებდა?...

- რესტორნის მეპატრონეს თუ რამე არ მოეწონა, თანამშრომელს სამსახუ-
რიდან ისე გააგდებს, რომ ბოლო ერთი კვირის ხელფასსაც არ გადაუხდის.
სამზარეულოში კამერები მხოლოდ იმიტომ არ არის, რომ მათი შექენა და და-
მონტაჟება ხარჯია, კამერები რომ იყოს, შრომის დეპარტამენტში იჩივლებ,
ვიმუშავე და ფულს არ მიხდიანო. მოკლედ, მარტინელო ხვალ შენს ჩაშვებას
აპირებდა უფროსთან, მაშამ კი გადაგარჩინა. რამდენიმე წელია, მარტინელო
მაშას უტრიალებს და მართლა არ მეგონა, თუ ეს როდესმე მოხდებოდა.

- სიგარეტი მომანევიანე.

- გრუზინ, უკვე ორჯერ შეგეშალა ძმაო. ჯამილაიმ მაგარი სიტყვა გითხრა და
უკან დაიხიე, ქალი უკვე მზად იყო სიყვარულისთვის და ვერ ივარგე, მაშას სიყვა-
რულიც ვერ დააფასე. ბედნიერ ვარსკვლავზე დაიბადე და უმადური გამოდექი.

- კი მაგრამ...

- გრუზინ, აბა შენ რა გეგონა? აკი დიდი ხნით ადრე გვითხრეს, ემიგრანტე-
ბი ამერიკაში ისევე არიან, როგორც ჩრდილები სამოთხეშიო. ბევრს ნუ იდარ-
დებ, ყველას გვეშლება, ალბათ მეც შემეშალა, რომ შემოგიშვი.

მეორე დღესაც ასე იყო: ჯამილაი, მაშა და გაურკვეველობა...

მესამე დღეს კი შოკოლადი და ლვინო ვიყიდე. მაშა ბრაიტონთან ახლოს,
მანჰეტენ ბიჩზე ცხოვრობდა.

დომინო

კატას გრიზაბელი ერქვა. ჯერ კიდევ მაშინ გამოირჩეოდა სხვა მანანალა ნათესავებისგან, როცა კნუტი იყო -ხოჭოებზე და კალიებზე მარჯვედ ნადირობდა.

უცნაური შეფერილობა ჰქონდა, ჩუბინი ფისო იყო, მოფერებაც არაჩვეულებრივი იცოდა და თათებსაც რალაცნაირად ილოკავდა.

გრიზაბელა თემუკამ შეარქვა, ისიც ჩემსავით არდადეგებზე ჩადიოდა ხოლმე თბილისიდან ბათუმში, ქედმაღალი, თავმომწონე ბიჭი იყო, ვერ ვმეგობრობდით, თუმცა ერთმანეთისადმი პატივისცემა ნამდვილად გვქონდა.

თემუკა მდიდარი ოჯახიდან იყო და მოურიდებლად მითხრა, დედაჩემი არ მირჩევს ლარიბებთან მეგობრობას, რადგან ლარიბებს თურმე ყოველთვის შურთ მდიდარი ოჯახების, ანუ გაბოროტებულები არიან და მათგან ცუდის მეტს ნურაფერს ელიო.

გულრწფელობის გარდა თემუკასთან ამხანაგობა იმაც მომწონდა, რომ ვიოლინოზე ჩინებულად უკრავდა, კიდევ იმიტომ, რომ სხვებისგან განსხვავებით ჩემი და გრიზაბელას ურთიერთობაზე დადებითი აზრი ჰქონდა.

ბათუმში გივი ბიძიასთან, დედაჩემის ძმასთან ჩავდიოდი. იქაური მეზობლები დამცინოდნენ გრიზაბელას გამო, შენი ტოლი ბიჭის და მანანალა კატის მეგობრობა გაუგონარი ამბავიაო. ბათუმელთაგან მხოლოდ გივი ბიძია იყო ჩემი მოკავშირე და ნებადართული მქონდა, ყოველ დღილით სახლში შემომეპატიჟა გრიზაბელა რძეზე ან არაჟანზე.

თბილისში რომ ვბრუნდებოდი, გრიზაბელა მაინც მიდიოდა გივი ბიძიას სახლში, სადაც რძის ნანარმის გარდა სამზარეულოში მცირე ხნით ყოფნაც ერგებოდა.

ასე გაიარა ათმა წელმა.

მობერებული გივი ბიძია გასათხოვარ ქალიშვილთან ცხოვრობდა. ნათია შეუხედავი, მსუქანი გოგო იყო, გრიზაბელას მხოლოდ იმით ჰგავდა, რომ მეზობლებს მასზე ლაპარაკი უყვარდათ.

ამ მახინჯს რა გაათხოვებს?! ნათიას მხოლოდ სოფლელი ბიჭი თუ მოიყვანს და ისიც ბინის გამო!

სასტიკი იყო მეზობლებისა და ნათესავების დასკვნა.

მეც სულ თემუკას დედა მახსენდებოდა. თურმე, როგორ გვანან ლარიბები და მახინჯები ერთმანეთს, თუმც ლარიბებს გამდიდრების შანსი მაინც აქვთ, შეუხედავი ქალი კი სამუდამოდ განწირული და დანუნებულია.

ნათია მართლაც გულქვა იყო. გრიზაბელაც არ უყვარდა. სწავლა-განათლებაზეც არ იკლავდა თავს. დასახული მიზანი: გათხოვება. მთხოვნელიც გამოჩნდა, ხულოელი თამაზი, მუყაითი ბიჭი, ვინც მყის ჩაესიდა გივი ბიძიას ერთსაძინებლიან ბინაში პიაცაზე.



ლ. რიგვიანი

მხატვარი: ლალი რიგვიანი

ზაფხულობით ისევ ჩავდიოდი ხოლმე ბათუმში, მეგობრებთან სასტუმროში, ან ქირით აღებულ ბინაში ვატარები შვებულების ერთ-ორ კვირას. გივი ბიძიას ტრადიცია ჰქონდა, ყოველ ჩასვლაზე ას ლარს მჩუქნიდა და მერე რა, რომ ბავშვი აღარ ვიყავ?! ეს ჩვენი ურთიერთობის ერთ-ერთი წესი იყო, უარის თქმა არ გამოდიოდა. რა თქმა უნდა, გივი ბიძიასთან ყოველთვის ძღვენით მივდიოდი - რამდენიმე ყუთი ზეთისხილი და სიგარეტი ყველაფერს ერჩინა. გრიზაბელაც თან არ გვშორდებოდა, თილისმასავით იყო, თითქოს მთელი წელი ელოდებოდა ჩემს ჩასვლას ბათუმში. მე, გივი და კატა ერთი ანსამბლი ვიყავით, მელანქოლიური ჰარმონიის შემადგენელი ნაწილები.

ერთხელაც გივიმ ასი ლარის ნაცვცლად ოცდაათი ლარი ჩამიკუჭა ჯიბეში.

-თამაზის ვალები დაედო, ხო იცი, თურქეთში მიდი-მოდის სავაჭროდ და პრობლემები შეექმნა, მეც უკვე რალაცით უნდა შევეხილო ოჯახს, მაქარს ბანც ვიყიდი ჩანისთვის. ნათიას ნუ ეტყვი, რომ ფული ისევ გაჩუქე - მითხრა გივიმ და კიდევ რალაც ამოვიკითხე მის თვალებსა და ხმაში, თუმცა ვერ ვხდებოდი, ეს რა იყო.

მეზობლებმა მითხრეს, გივის ახალი ჰობი გამოუჩნდა, წიგნების კითხვაო. მანამდე ბიძაჩემის მთავარი გასართობი დომინო იყო. თანატოლებთან ზოგჯერ შუალამემდე თამაშობდა, საუკეთესო მოთამაშედ ითვლებოდა, იშვიათად მარცხდებოდა. გივის დომინოზე ტომები აქვს გამოცემული - ასე იცნობდნენ უბანში. გავიდა წლები და გივის თაობიდან სამეზობლოში ყველა დაილუპა, ამხანაგებისა და დომინოს გარეშე დარჩა. ფილტრს ნაატეხავდა ხოლმე სიგარეტს, ქარვის მუნდშტუკში გასჩრიდა, წიგნს ამოიღებდა ილიაში და ბულვარისკენ მიდიოდა. სახლში ყოფნა დილის იქეთ აღარ უნდოდა, დილაც იმიტომ უხაროდა, გრიზაბელას ელოდებოდა გამოსაკვებად.

ოცდაათი ლარის ამბავის შემდეგ გივის უფრო მეტი ყურადღებით ვაკვირდებოდი, იმ ზაფხულს გული მქონდა აჩუყებული, არ მასვენებდა ეს ოცდაათი ლარი, ბიძაჩემის ოჯახური პრობლემები და მეგობრებშემოცლილი, დომინოს უკვე ყოფილი კორიფე.

ამ ყველაფერს დიაბეტიც დაერთო, გივი უკვე დიეტაზე იყო, მხოლოდ სიგარეტს ვერ უკრძალავდა საკუთარ თავს.

თბილისში დაბრუნებული ნათიას უკვე ხშირად ვურეკავდი, ბიძაჩემის ამბავს ვკითხულობდი.

- ორსულად ვარ, ტყუპებს ველოდებით, გივისაც არაფერი უჭირს, როცა ავდარია, მეწალესთან მიდის წიგნის წასაკითხად, რალაც მოთხრობა ამოიჩემა და სულ თან დაატარებს, ჯიბურში თბილა, გამომლაპარაკებელიც არ აკლია, როცა სახლშია, წინდას გაიხდის ხოლმე და ცერა თითს ათვალეირებს. მილიონჯერ ვუთხარი, რომ სიმსივნე მანდ არ ჩნდება, ალბათ რალაც ინფექცია შეეჭრა და მალე გაუფლის. ბუზლუნა გახდა, ასაკი ხო იცი, რაც არის. ახირებაც დასჩემდა, სულ კომპოტს ითხოვს, ჩამოვიღებ სათავსოდან ქილას, დავუსხამ ჭიქაში და ერთ ყლუპს თუ მოსვამს, რამდენიმე დღეში კი ახალი ქილის გახსნას მთხოვს, მეზობლებმაც გაიგეს მისი და კომპოტის უცნაური ამბავი - მითხრა ერთხელ ნათიამ.

მომდევნო ზაფხულამდე, საახალწლოდ ისევ ჩავედი ბათუმში, ჩვენმა ოფისმა კოორპორატიული ვახშამი მოაწყო. მეორე დილით მოვინახულე გივი ბიძია. აივანზე გამიყვანა, მთხოვა, სათავსოდან ფეიხოს კომპოტი ჩამომეღო. ერთი-ორი ყლუპი მოსვა, ჩემს დიაბეტს მეტი არ მოუხდებო. მერე კი ლიტერატურაზე დამინყო საუბარი, გამომიტყდა, რაც კი ამ ერთ წელიწადში წიგნები წავიკითხე, პერსონაჟებიდან ყველაზე უფრო ერთი რუსი კაცი მომეწონაო. წამოსვლისას კი ისიც მითხრა, თემუკასთან შევლაპარაკდით.

- რა ესაქმებოდა შენთან?

- მენალესთან მოვიდა ნებოს სათხოვნელად და როცა წიგნით ხელში დამინახა, გამიწყრა, ქართველები უმადური ხალხი ხართ, რაც არ უნდა გაგიკეთოთ კაცმა, მაინც რუსეთი გირჩევნიათ ყველაფერსო. რა თქმა უნდა, შევეკამათე, ბოლოს კი მომძახა, მაგ შენ საყვარელ ტოლსტოის ჩვენი შვილები ინგლისურად წაიკითხავენო. გულიანად გამეცინა და ამაზე მთლად გადაირია. იმედია, წყენას გულში არ ჩაიდებს. თემუკა გულზვიადი ბიჭია, მაგრამ მაინც კარგი ადამიანი უნდა იყოს.

ძალიან შეფიქრიანებული წამოვედი ბათუმიდან, კოორპორატიულზე კარგად კი მოვილხინეთ, მაგრამ გივისთან საუბარმა ხასიათი წამიხდინა. იყო რალაც, რაც არ მასვენებდა.

მარტის მიწურულს ნათიამ დამირეკა და გივის გარდაცვალების ამბავი მამცნო.

-რა მოუვიდა? თითქოს სასიკვდილო არაფერი სჭირდა...

- აივნიდან გადმოავარდა.

- კი მაგრამ, როგორ?

- აბა, რა გითხრა...

იმ საღამოსვე ჩავედი ბათუმში. გივი ბიძიას ცივი სახე სულაც არ იყო უტყვი, მომეჩვენა, რომ კმაყოფილი იერი ჰქონდა. ნათია გულგრილად იჯდა ჭირისუფლებში.

თემუკა დილით მოვიდა. გადამეხვია, სიგარეტი გამომიწოდა და აივანზე გავედით.

- სამსახურის გამო სანახევროდ ბათუმში ვარ და ბიძაშენს ხშირად ვხვდები, ბოლო დროს დაეუახლოვედი კიდეც. ყველაფერს არ მიყვებოდა, თუმცა ვიცი, რატომ მოხდა ეს ყველაფერი. დიაბეტი ისე გაუმწვავდა, რომ ფეხზე განგრენა დაეწყო. იცოდა, რომ მალე მოკვდებოდა, თან წვლებით. ოპერაცია და მკურნალობა ხარჯებთან არის დაკავშირებული, თამაზას კიდევ ვალები აქვს, ნათია არ მუშაობს და ორ ბავშვს ელოდება. ჰოდა, გივიმაც თვითმკვლელობა გადანყვიტა, არ უნდოდა ისედაც გატანჯული ოჯახის ზედმეტად შეწუხება.

- გასაგებია, მაგრამ მაინც ძნელად დასაჯერებელია, რომ გივიმ თავი მოიკლა.

- არა, ყველაფერი ისეა, როგორც გითხარი. ხო გახსოვს, ბოლო დროს სულ კომპოტს რომ ითხოვდა, ანუ უნდოდა, ყველა დაერწმუნებინა იმაში, რომ კომპოტი ძალიან უყვარდა

- მერე?

- სანამ აივნიდან გადახტებოდა, სათავსოს კარი შეაღო და სამზარეულოს სკამი თაროებთან მიადგა: ვითომ განჯინის კენწეროდან კომპოტის ჩამოღება უნდოდა და ამ დროს სკამი აყირავდა, წონასწორობა დაკარგა და აივნიდან გადავარდა, ანუ იმიტაცია: თავი კი არ მოიკლა, უბედურ შემთხვევას შეენი-რა. დამიჯერე, ყვლაფერი ზუსტად ასე მოაწყო. იმასაც განიცდიდა, რომ გრი-ზაბელა დაიკარგა.

- შვილი ჰყავდა, მალე შვილიშვილებითაც გაიხარებდა...

- ნეტავ როდის ჩაძალდება და დაგვიცლის მისაღებ ოთახს - დამიჯერე, ასეთი იყო ნათიას მახინჯი აზრები.

გივის მუნდშტუკი ავიღე და ბულვარისკენ წავედი. მართლაც სხვა, უფრო მწარე და გემრიელი გამოდგა მილით გაბოლებული სიგარეტი. ზღვას და ჰორიზონტის თანაბარ, არაფრისმთქმელ ხაზს ვუყურებდი, გრიზაბელაზეც ჩაე-ფიქრდი, რომელიც ალბათ მანანნალა ძაღლებმა მიახრჩვეს ერთ-ერთ სადარბოზოში.

თბილისში მატარებლით დავბრუნდი, გივის წიგნიც თან მქონდა და ივან ილიჩის ამბავს გულმოდგინედ ვკითხულობდი.

რუსა და ნუსა

შავები ნიუ იორკს ისევე აცოცხლებენ, როგორც სოფლები თბილისს - შთაბეჭდილება მაშინ შემექმნა, როცა ნიუ ბრუნსვიკიდან მატარებლით ვბრუნდებოდი მანჰეტენზე.

ნიუ ბრუნსვიკში უიკენდზე მიწვედა მუშაობა ებრაულ ოჯახში, მოხუც ცოლ-ქმართან. ქალს მარჯი ერქვა, ნაშუადღევს ჩაის ჭიქას აავსებდა თეთრი ღვინით და მთელი დღის განმავლობაში ნეტარებით წრუპავდა.

- ბოთლი ამ კარადაშია, როცა გინდა და რამდენიც გინდა, შეგიძლია მიირთვა - მეგობრული ქალი იყო მარჯი.

ხუთი წლით უფროსი ქმარი დიმენციით იტანჯებოდა და მომვლელი სჭირდებოდა. რონის ორშაბათიდან პარასკევამდე ბელორუსი იაროსლავი უვლიდა, შაბათ-კვირას კი მე ვენაცვლებოდი.

აქეთ-იქეთ მატარებლით მგზავრობაც ამის გამო ხშირად მიწვედა.

ვაგონში ყველა მშვიდად იჯდა ხოლმე, ყურსასმენებითა და ფანჯრისკენ გარინდული მზერით, მხოლოდ აფროამერიკელები არღვევდნენ მყუდროებას.

ერთხელაც სამი ნასვამი ზანგი ამოვიდა ვაგონში, ახალგაზრდა კაცი ვაგონის იქითა ბოლოში მოკალათდა, შუახნის ქალი და ხვალი - აქეთაში.

ბიჭი რალაცით უკმაყოფილო იყო და ილანძლებოდა, უფროსი თვისტომელებისგან შენიშვნაც დაიმსახურა:

- მატარებელში ხარ და სათანადოდ მოიქეცი!

- ბილეთი ვიყიდე, ფული გადავიხადე და რასაც მინდა, იმას გავაკეთებ!

კამათი სლენგურად გაგრძელდა, ბოლოს კი ყველასათვის გასაგები უშვერი გინებით დაგვირგვინდა.

ზოგ მგზავრს ელიმებოდა, ზუგმა კი ტურები მოკუმა და შავებისადმი ზიზლი ამით გამოხატა. ჩაყინულ-ჩანებებულ თვალებში ყველაზე კარგად ჩანდა ადამიანთა სახე. როდემდე უნდა ნაყონ ამერიკის მიწა ამ ბილნმა შავებმა - ვინ იცის, იქნებ ასეთიც კი იყო მათი ფიქრი.

რა საინტერესოა ადამიანებზე დაკვირვება, როგორ გამიმართლა, რომ მრავალფეროვან ამერიკაში ვარ! ასე ვანებივრებდი საკუთარ თავს უცხო ქვეყანაში.

საინტერესო იყო მარჯიც. ყოველ საღამოს, ძილის წინ ტურებში კოცნიდა რონის. ეს არ იყო ოდენ რიტუალი, ამ ერთ კოცნაში მარჯის მთელი ცხოვრება ეტეოდა.

- ოთხმოც წელს გადავბიჯე და ყველაფრით კმაყოფილი ვარ, ცხოვრებამ ბევრი რამ მაჩუქა, ქონწინებამდე არაერთი ბოიფრენდი მყავდა, იმის აქეთ კი ქმრის ერთგული დავრჩი. ვაჟი დაგველუპა ტვინის კიბოთი, ქალიშვილმა კი სამი შვილიშვილი გვაჩუქა. ბევრი ვიმოგზაურეთ მე და რონიმ, ბრაზილიაშიც ვიყავით. ახლაც ვტკბებით ერთმანეთით, ღვინო და შოკოლადიც მიხალისებს ცხოვრებას.

- არაფერს ნანობთ?

თავხედურ კითხვაზე დაუფიქრებლად მიპასუხა:

- მხოლოდ იმას, რომ რამდენჯერმე გავიკეთე აბორტი.

გამახსენდა საქართველო და ჩემი ხალხი. ჩვენთან აბა, რომელი ქალი ეტყვის გუშინგაცნობილს ასეთ რამეს, რომელი ხნიერი ქალი აკოცებს ტუჩებში სხვისი თანდასწრებით ავადმყოფ ქმარს...

მეც ვცადე, გული გადამეშალა მარჯისტვის და თბილისელი გელფრენდის ფოტო ვაჩვენე.

- მალე ფულს გავუგზავნი, რათა ყველანაირი საბუთი მოანესრიგოს და ამერიკის საკონსულოს მიმართოს ვიზისთვის. თუ რუსა ჩამოვა, ემიგრანტულ ცხოვრებას გამიადვილებს, მარტოსული აღარ ვიქნები და საოცარი მოფერებიც გამახალისებს.

მარჯიმ ყურადღებით შეათვალიერა ფოტო და მითხრა:

- გირჩევ, ფული ფიქტიური ქორწინებისთვის დააგროვო.

მარჯისგან ასეთ რამეს არ ველოდი, რადგან მეგონა, ცივად და გათვლებით მხოლოდ ლათინო და რუსულენოვანი ემიგრანტები ცხოვრობდნენ.

ისიც მეგონა, რომ რუსა არ იყო ცივი და ფულს დახარბებული გოგო. ჯერ მისი მეგობარი ნინა გავიცანი, უბრალოებითა და გულწრფელი ღიმილით მოჰქონდა დადებითი მუხტი, მომწონდა ნინა, თუმცა როგორც კი რუსა ვნახე მასთან ერთ-ერთ ნვეულებზე, ფიქრიც თან წაიყოლა, გამახსენდა, რომ სიტყვით შეუძლებელია გადმოსცე ქალის მოქნილობა და მომხიბვლელობა. პირველად რომ ვაკოცე, მივხვდი, რომ კოცნაში კარგად იყო ნავარჯიშევი, მტლამიტლუში კი ნამდვილი ბონბონერი გამოდგა, უგემრიელესი და უტკბესი.

მოოხშიერე ღორის მწვადი, ხინკალი და ლუდი ჩვენი სექსის აუცილებელ პრელუდიად გადაიქცა - პირველად ვნახე ქალი, ვინც ასე მოურიდებლად, დაშოშიანად ტენიდა საკუთარ ბატარეებს ხორციელი ტკობის წინ. რუსა ძღომაზე საუფლემი იყო და როცა ლამაზ, სალუქ წინდებს პაჟით დაიმაგრებდა მშვენიერ სიმრგვალებზე, თავი ტინტო ბრასის ფილმებში მეგონა.

რუსას ჯერ ჯიბის ფული გავუგზავნე, მერე კი ოკეანეს აქეთ წამოსვლაზე ჩამოვუგდე სიტყვა. ვიდეო ზარით ვერ ვუკავშირდებოდი. ტელეფონს კამერა გაუფუჭდა და იმის საშუალებაც კი არ მაქვს, ან ახალი ტელეფონი შევიძინო, ან კამერა გამოვუცვალო - მითხრა რუსუდანმა.

ჰოდა, მეორე ჯერზე მეტი თანხა გავუგზავნე: პასპორტი, ვიზის მოსაკრებელი, სხვადასხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები...რუსა გახარებული იყო, იქნებ გამიმართლოს, ვიზა ჩამირტყან და მეც შენთან გადმოვრცხოვდე, ვიმუშავებ და აღარ დაგანვები კისერზეო.

რამდენიმე დღეში ისევ დავურეკე რუსუდანს.

- ზღვაზე მინდა წასვლა ერთი კვირით, დავისვენებ, დავმშვიდდები, ენერ-

გია მომემატება და მერე მთლიანად ამერიკაზე გადავერთვები.

-პასპორტი უკვე აიღე? ვიზის მოსაკრებლის ფულიც იმედია, არ დაგიხარჯავს.

- სიმართლეს გეტყვი: ძვირიან სალონში წავედი და ყველანაირად მოვწესრიგედი, მოუვლელი და თმადაუფარცხნელი ქალი აბა, რად გინდა?!

გვარიანად გაგებრაზდი, თუმცა თავი შევიკავე და მხოლოდ ის ვუთხარი, კვირის ბოლოს ერთხელაც დაგირეკავ-მეთქი.

ჩავეფიქრდი. მეორე დღეს ნინას შევეხმიანე.

- რუსას ახალი კაცი ჰყავს და ზღვაზეც ერთად აპირებენ წასვლას თუ რა თქმა უნდა, ფულს ისევ გაუგზავნი. შენ რომ ბოლოს დაურეკე, მეც მათთან ვიყავი, ტელეფონის კამერას თითო ადებდა, თავს გაცოდებდა და ფულს გძალავდა.

- რატომ უნდა დაგიჯერო? იქნებ რუსასი გშურს ამერიკული შანსი რომ გაუჩნდა...

- შენ ყველაფერი არ იცი!

- ამაზე უარესი რალა უნდა მითხრა?

- მე და რუსას არაერთხელ გვექონდა გეი სექსი, ორივეს მოგვწონდა ეს, მერე კი შევამჩნიე რასაც აკეთებდა: ინტერნეტით საქართველოში ჩამოსულ ტურისტ ლესბიანებს სთავაზობდა გაცნობას და ვარდისფერ სიყვარულს, ტელეფონის პაროლი მისგან მალულად გავიგე და ყველაფერი წავიკითხე. ერთი სიტყვით, ფულის გამოძალვის ახალ ხერხს მიაგნო. ისიც უნდა იცოდე, რომ რუსა პატარა ბიჭებს ერთი ბოთლი ვისკის სანაცვლოდ უკოტრიალდება ლოგინში, შენთან და შენი ასაკის კაცებთან კი ფულის გამოძალვაზეა. გახსოვს, ერთხელ გრიპი რომ შეეყარა და წამლების ფული გთხოვა? შენ წამლების მითანა გინდოდა, მაგრამ გითხრა, დედაჩემია სახლში, არ მინდა აქ რომ მოხვიდე და ანგარიშზე ჩამირიცხეო. სინამდვილეში, დედამისი რუსას ძმასთან ცხოვრობს და სახლში იმიტომ არ მიგიშვა, რომ სხვა კაცი ჰყავდა მიყვანილი. თუ გინდა უთხარი, რომ ეს ყველაფერი მე მოგიყვი. რუსასთან ყველანაირ ურთიერთობა გავწყვიტე.

ერთხელაც მივენდე ფიქრებს. გამახსენდა, თუ რა მითხრა მარჯიმ, როცა რუსას ფოტო ვაჩვენე.

ნინასთან საუბრიდან ერთ კვირაში რუსუდანმა აქეთ დამირეკა.

- ხო კარგად ხარ? გელოდებოდი და აღარ ჩანდი.

- კარგად იყავი და აღარ დამირეკო.

- ანუ, შუა გზაზე მიმაგდე ხო?! კაცებს ლამაზი ქალები დაუსრულებლად მუქთად გინდათ და ეს ცხოვრება ასე არ არის.

აღარ ავეყვი, მხოლოდ ის მინდოდა, რაც შეიძლება მალე წავსულიყავი ნიუ ბრუნსვიკში და ეს ყველაფერი მარჯისთვის მეთქვა.

გულისყურით მისმენდა. ამბის მოყოლას რომ მოვრჩი, თითქოს განზრახ აყოვნებდა რალაცის თქმას.

- მოკლედ, ყოფილმა გელფრენდმა გული გატკინა...
- ხო, ეს იმაზე მეტია, რასაც გულისტკენა ქვია.
- აი, რას გეტყვი: ყველა ქალი ყოფილია ცოლის გარდა.

მარჯი კიდეე უფრო შემეყვარდა.

ამასობაში ემიგრაციაში მარტო ყოფნა სულ უფრო და უფრო მიძნელდებოდა, ახალი გოგო მჭირდებოდა და თითქოს საქმეს კარგი პირი გამოუჩნდა - თბილისიდან ნიუ იორკში ბავშვობის მეგობარი მერიკო ჩამოვიდა.

- იქნებ მიპოვო ისეთი კაცი, ვინც ხელს მომიწერს და მწვანე ბარათს გამოვკრა ხელი შაჰის ცოლობასავით. თანხას თანდათან გადავუხდი.

- ასეთი არავინ მეგულება, ჩემს გარშემო აქ ყველა ცოლშვილიანია.

- თუ ძაან მოინდომებ, ვილაცას მომიძებნი, მეჩქარება, არ მინდა დრო დავკარგო. მანამდე ჩემს ნათესავს გაგაცნობ, ლამაზი, განათლებული და ნატიფი გოგოა, 48 წლის არის და სიყვარულით გათხოვებაზე ოცნებობს, ამერიკის მოქალაქეა, კარგი სამსახური აქვს, ქუინსის ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში ცხოვრობს.

- მართლა ლამაზია?

- თავად დარწმუნდები, თანაც გაგიკვირდება და ვირჯინია.

მერიკომ საღერღელი ამიშალა, ერთი სული მქონდა, როდის გამაცნობდა ნუცას. მანჰეტენის ერთ-ერთ სტარბაქსში მივირთვით ჩაი და ნამცხვარი სამივემ. მომეწონა მერიკოს ნათესავი, გამხდარი და ინტელიგენტი ქალი, ვინც მომნიჭებული იყო სერიოზული ურთიერთობისთვის - პირველი შთაბეჭდილება ასეთი გამოდგა.

რამდენიმე დღეში დავურეკე ნუცას და გამიკვირდა, მყის სახლში რომ დამპატიყა ჩაიზე. ფრანგული ღვინო და ტკბილეული მივართვი. ისე შინაურულად ვისაუბრეთ, თითქოს მერიკოზე ადრე ვიცნობდით ერთმანეთს. მომეწონა ასეთი უშუალობა და უიკენდისთვის რესტორანში დავპატიყე, ცხადია, ველარ ნავედი ნიუ ბრინსვიკში და ორი დღის ჯამაგირიც ქარს გავატანე.

მანჰეტენზე, 27-ე ქუჩაზე არის საოცარი რესტორანი Oscar Wilde. ინტერიერი ისეთია, მე-19 საუკუნის ლონდონში გეგონებათ თავი, ესთეტიზმის ფილოსოფია იქ ძვალსა და რბილში ატანს, დამაფიქრებელი სილამაზე ჯადოსნური ძალით ინუსხება და მეც ასეთ ადგილას მოვიმწყვდიე მშვენიერი, 48 წლის ქალწული.

- ამდენი წელია ნიუ იორკში ვცხოვრობ და თუ ასეთი ფანტასტიკური რესტორანი არსებობდა, არ ვიცოდი. ძალიან საყვარელი ხარ აქ რომ დამპატიყე.

ნუციკო სახლამდე რომ მივაცილე, სახლში ერთხელაც მიმიპატიყა ჩაიზე. წყლიანი კოცნაობის იქით საქმე არ წასულა. შევთანხმდით, რომ იქითა უქმეებზე ნუცა მეტროპოლიტენ ოპერაში დამპატიყებდა.

თანამედროვე, ნაკლებად ცნობილი კომპოზიტორის ოპერა მოსაწყენი გამოდგა, მეორე მოქმედების დასრულებას აღარ დაველოდეთ და იტალიურ რესტორანს მივაშურეთ. ორი ბოთლი წითელი ღვინო გამოვცალეთ. ისევ ქუ-

ინსი და ჩაი შემომთავაზა. თხელი ტუჩების შემდეგ მის პატარა და ლამაზ მკერდასაც გაუფე გემო, მეტის უფლება კი აღარ მომცა. დავრწმუნდი, რომ მართლაც ვირჯინი იყო, თუმც ამის მიზეზს ვერ ვხედავდი.

მე და ნუცა დავმეგობრდით. ბევრი რამეს ვუყვებოდით ერთმანეთს. ველა-პარაკებოდი ჩემს შვილებზე, ცოლთან კონფლიქტზე, ნუცა მეტწილად თავის თბილისელ თავყანისმცემლებზე მესაუბრებოდა. ისე დავუახლოვდი, რომ უკვე ზუსტად იცოდა რამდენი მქონდა ხელფასი ბრუკლინში და ნიუ ბრუნსვიკში, რამდენს ვუგზავნიდი ყოფილ ცოლს, შვილებს, მშობლებს, დისშვილებს და მეგობრებს საქართველოში. ისიც არ მაღაავადა საკუთარ გასამრჯელოს, მან-ჰეტენზე ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ფსიქოლოგთან მუშაობდა თანაშემწედ.

-ოცნება გაქვს?

- კი, მინდა რომ გავთხოვდე სიყვარულით და ქმართან ბევრად უკეთეს სახლში ვიცხოვრო. ამ ბინის ქირაში 1700 დოლარს ვიხდი, მე რომ სახლი მინდა მყუდრო ოჯახური გარემოსთვის, იმის მორგიჯი დაახლოებით 3000 დოლარია.

- ყველაფერი იქნება, მეც მალე ვიშოვი უკეთეს სამსახურს.

- რატომაც არა, ყოჩალი ბიჭი ჩანხარ, მაგრამ შენ ცოლთან გაშორებული კი არა, დაშორებული ხარ - საყვარლად იცინოდა ნუციკო.

დრო გადიოდა, ვმეგობრობდით უსექსოდ და ეს სულაც არ მანაღვლებდა, მჯეროდა, რომ მე და ნუცას ყველაფერი აგვენყობოდა, არ მიყვრდა ეს გოგო, ოღონდ მასთან ყოფნა ძალიან მიყვარდა და ალბათ ის სიყვარულიც მოვიდოდა, რაც წარმოსახვაში არსებობს - ასეთი იყო ჩემი გულუბრყვილო ახირება.

- თუ გინდა, მეგობრულად შეგხვდები და მანჰეტენზე გავისეირნოთ, მე უკვე მყავს სხვა კაცი - მოუღენელად მამცნო ახალი ამბავი.

- თუ მართლა გაყვს ასეთი კაცი, გამაცანი და დავრწმუნდები შენს სიტყვებში, ჩემზე უთხარი, რომ ბავშვობის ამხანაგია საქართველოდან.

- არა, ასეთი რამ არ გამოვა - სიტყვა მომიჭრა და ტელეფონი გამითიშა.

ამის მერე სახლის ტელეფონით ვურეკავდი ნუცას, იქნებ უცხო ნომრიდან დარეკილს უპასუხოს - რამდენიმე დღე ჯიუტად შევუდექი ამ სამქეს და როგორც იქნა, პასუხიც მივიღე.

- თქვენ ის ქართველი gay ხართ ბრუკლინში რომ ცხოვრობს?

- დიახ.

- გამახარებთ, თუ ამ ნომერზე აღარ დარეკავთ, ვაფასებ თქვენს ზრდილობას, მაღლობა წინასწარ - ხნიერი კაცის მკაცრი ტონით დასრულდა ყველაფერი.

მხოლოდ მერიკო შეეცადა ჩემს დამშვიდებას და ჭკუის დარიგებას.

- ასეთივე ნატიფს ალბათ ვერა, მაგრამ სხვას იპოვი, ასევე ამერიკის მოქალაქეს, ვინც უფასოდ მოგიწერს ხელს. ამერიკა დიდია, ვილაც გამოჩნდება.

- ნუცასთვის ერთხელაც არ მითხოვია, ხელი მომიწერე მწვანე ბარათისთვის- მეთქი.

- მერე რა, იმან ხომ გაიგო, თვეში რამდენს აგზავნიდი საქართველოში? ნუ-
ცას კაცს კონექტიკუტში აქვს ორსართულიანი სახლი და stock -ებით ცხოვ-
რობს.

ისევე მარჯი, ისევე თეთრი ღვინო...

რონი ლოგინში რომ ჩავანვინე, ცოლმა ერთხელაც აკოცა ტუჩებში. ის მერ-
ცხალი გამახსენდა, ბედნიერ უფლისწულს თავს რომ ევლებოდა, მერე 27-ე
ქუჩა და ნუციკოს საყვარელი ღიმილი.

- კონექტიკუტი ისეთი შტატია, სადაც ბევრი ცხოვრობს stock-ებით, დიდ
კომპანიებში აქვთ ძალიან პატარა წილი, რაც საკმაოდ დიდ შემოსავალს იძ-
ლევა. ასევეა ნიუ ჯერსის მდიდარ, პატარა ქალაქებშიც. ვფიქრობ ნიუ ჯერ-
სიში, ოჰაიოში ან კონექტიკუტში უნდა გააგრძელო ამერიკული ცხოვრება,
ჩემი აზრით, ნიუ იორკი არ არის შენი ქალაქი, ნიუ იორკის იქით ხალხი სხვა-
ნაირია, უფრო თბილი და ადამიანური.

- შესაძლოა, მაგრამ უსაბუთო ემიგრანტისთვის ნიუ იორკის იქით ძნელია
ნორმალური სამსახურის პოვნა. შენ და რონი ძალიან კარგი ხალხი ხართ,
ოღონდ არ მინდა, რომ დიდი ხნით ვიმუშავო ბაბუის მომვლელად. ალბათ მა-
ლე დავბუნდები საქართველოში.

- იცი, ბობ დილანის ძმა ჩემი ძველისძველი მეგობარია, შემიძლია ვთხოვო,
რომ მასთან ექსკლუზიური ინტერვიუ გაგიხერხოს. საქართველოში ალბათ
არც ერთ ჟურნალისტს არ ჰქონია ინტერვიუ ასეთ ლეგენდასთან. შენ ხომ
ჟურნალისტი იყავი სამშობლოში...

ორშაბათ საღამოს თაიმ სქვერზე მომინდა გასეირნება. შავები ნიუ იორკის
მთავარ ადგილას თითქოს განსაკუთრებული ეშხით ცეკვავენ, მშურდა მათი
ბედნიერი, სიცოცხლით სავსე სახეების და უშუალობის, შავი თაღლითებიც
კი რალაცნაირად ხალისიანები არიან. ზანგები ნიუ იორკის მეტროს ვაგონებ-
შიც საოცრებებს ახდენენ როკვით, ძელებზე ინვარტებიან, მაიმუნებივით დახ-
ტიან და განვდილ დოლარიანზე ფართე ღიმილს არ გამადლიან.

მეორე დღეს კი მანჰეტენ ბრიჯიდან ოკეანის ელვარებით ვცდილობდი
დანყნარებას, მზის აღმურიც მესიამოვნა, მერე კანტიკუნტ ლბუბლებს მივა-
ჩერდი - მომეჩვენა, რომ იქითა ნახევარსფეროსკენ მიინეგდნენ უიალქნო ნა-
ვივით.



მხატვარი: ლალი რიგიშვილი

როგორ წაუთამეს შაკოს

როცა შაკო უმუშევრად დარჩა, პირველად მაშინ დაფიქრდა, არსებობს თუ არა ისევ კლასთა ბრძოლა. ნაირგვარი საიტები დაათვალიერა, კარლ მარქსის ბიოგრაფიაც საგულდაგულოდ გადაიკითხა, მაგრამ in vain - ინგლისური სიტყვებით იწყნარებდა თავს, რადგან დიდი გაუგებრობიდან გამოსვლა ვერ მოახერხა.

უსამართლობის ნანგრევებში მოვყევი, საქართველოში ისეთი ბოროტება და ვერტიკალია, რომ ნიჭიერი და გულანთებული ხალხი მას ვერ მოერგება - მაღალფარდოვნადაც ცდილობდა დამშვიდებას.

ბოლოს გაზზე გადაყვანილ მერსედესს ტაქსის ტრაფარეტი მოარგო და შოფრობა დაიწყო. ცხადია, აქაც მოიძებნა სანუგეშო პარალელი - აგერ, ფრანგული კომედია ხომ არის ტაქსისტზე, თანაც რამდენიმე სერიად და მერე რა, თუ მეც ტაქსის მძღოლი გავხდები?!

უქმებზე შაკო მშრალ ხიდზე დადიოდა, შეყვარებულისთვის ეძებდა საჩუქარს და ერთთვისანი ხეტიალის შემდეგ შეარჩია სასურველი ნივთი - ნაკლებადცნობილი მხატვრის ნამუშევარი, ორიგინალურად შესრულებული ლამაზი გოგოს პორტრეტი, დამაფიქრებელი, რომანტიკული და ცხადია, ცოტათი სევდიანიც.

შაკოს სჯეროდა, რომ სევდა კაცს უხდებოდა და მის სასიყვარულო ამბავსაც ამშვენებდა. ისეთი გოგო შეუყვარდა, შაკოს ზედაც რომ არ უყურებდა. რომანებზე გაზრდილი ვარდის კოკორი იყო, უსაყვარლესი, პოლიგუდური ღიმილით, თეძობამდე ქერა თმებითა და ვნებიანი მიხრამოხრით სწავდა ბიჭებს. თეკო ადრიანად გათხოვდა და მალევე გამოთხოვდა. მერე ეკლესიურად დაიწყო ცხოვრება, ოღონდაც ლოცვა და მოძღვრის შეგონებანი ვერ ცვლიდა, თვალი სულ ახმახი, კუნთმაგარი ბიჭებისკენ გაურბოდა, შაკო კი ეგეთი არ იყო.

ამიტომაც, შაკო და სევდა დამეგობრდნენ.

შაკოს გოგოებთან მეგობრობაც უყვარდა, განსაკუთრებულად ქეთის და უახლოვდა. უცნაური გოგო იყო, წლინახევრით ედინბურგში სწავლობდა, მერე ერთხელაც მოიპოვა გრანტი და ამერიკაშიც გაიმყარა ცოდნა. თავს კვირაში ერთხელ იბანდა, თმები გამომიშრებო, ბუბუკას ქუჩაში რომ გაასეირნებდა, მანანნალა ძაღლებსაც ნაულებდა სანოვაგეს, მრგვალი ბალიდან ვაკის პარკამდე რაც კი მიუსაფარი ძაღლი იყო, ყველა სცნობდა ქეთის. ბუბუკაც ქუჩაში იპოვა. ერთადერთი, რაზეც ქეთი და შაკო ვერ თანხმდებოდნენ, ძაღლი იყო - ბიჭს ჯიშისანი, იმპოზანტური ცხოველები მოსწონდა, გოგოს კი მანანნალა, მშიერი და დაუბანელი ცუგები ებრალებოდა.

შაკოს და ქეთის მხოლოდ ერთხელ ჰქონდათ სექსი და ისიც მანქანაში. მას მერე გოგო უარზე იყო, ჩემი ანტიპოდი კაცი მჭირდება, მე და შენ კი დაახლოებით ერთნაირები ვართ და სულაც არ მინდა, ვინმეს სექსტრენაჟორი ვიყო.

- იქნებ ისიც გამირკვიო, რატომ არ მოვწონვარ თეკოს, შენ ხომ ასეთი ჭკვიანი, უცხოეთში ნასწავლი ფსიქოლოგი ხარ?

-რით ვერ გაიგე, რომ მაგ შენს რაპუნცელს მაჩოს ტიპის კაცები მოსწონს, შენ კი ეგეთი ვერ გახდები - დაუნდობელი იყო ქეთის პასუხი.

შაკო არ ნებდებოდა. მშრალ ხიდზე ნაყიდი ნახატი ლამაზად შეფეფთა და სასაჩუქრედ გაამზადა. მერე კი ერთხელაც დაფიქრდა - იქნებ, აღარ ღირდეს სულელი ადამიანის როლში ყოფნა, ქალების მეტი რა არის...

რა თქმა უნდა, შაკო და ფიქრიც კარგი მეგობრები იყვნენ.

ჯერაც დაუცოლშვილებელ ბიჭს დისშვილები ძალიან უყვარდა. ნატურალურ რძეს ბავშვებისთვის გარემოვაჭრეებთან ყიდულობდა და განსაკუთრებული ტიპაჟი მათშიც ამოარჩია. ალექსი ერქვა, გვარად ბერიაშვილი, ოფიციალურად, სახელითა და გვარით გაეცნო, მოხდენილი იუმორითა და წყალგაურეველი რძით დაიმსახურა შაკოს ნდობა.

- ვიცი, რომ ბავშვებისთვის გინდა და ამიტომაც ყოველთვის სუფთა რძეს გთავაზობ, ბავშვებს არ ელაღატების - ასეთი იყო ალექსი ბერიაშვილი, ვინც სოფელ დიღმიდან ეზიდებოდა ნაირგვარ ნობათს.

დილის გამამხნეველები ვარჯიში, რძის ყიდვა, მანქანის რეცხვა და შოფრობა - გრაფიკს შაკო მკაცრად იცავდა, პირადი ცხოვრების გარდა ყველაფერში მონესრიგებული იყო.

მისთვის მხოლოდ თუკო გამოდგა დაუძლეველი დარდი, თორემ კლასთა ბრძოლაზე ფიქრი მალევე მიატოვა. რა არის სიყვარული? რა ბაკილა? რატომ არ მშორდება? ალბათ ვერც მომშორდება სანამ სხვა ჯადო გოგოს არ შევხდები.

ფიქრებსაყოლილი ბიჭი დაიბნა, გულისთქმას მიენდო.

შაკო ერთხელაც რომ მივიდა ალექსი ბერიაშვილთან, სოფლელი კაცი მართო არ იყო, ქალიშვილი მისულიყო მასთან რაღაც ოჯახურ საქმეზე. ბიჭი გოგოს მოურიდებლად მიაშტერდა. სოფლელს თუკოსავით დახვეწილად ვერ ეცვა, ოღონდაც ცელქი სიო ისე შესდიოდა უბეში, რომ არაჩვეულებრივ არომატს აფრქვევდა. აი, თურმე რა არის ქიმიკა, აი რა ძალა ჰქონია ფერომონებს!

მეორე დღეს შაკო აღარ გავიდა სატაქსაოდ, სალამოსკენ ტრაფარეტი მოხსნა მანქანას და სოფელ დიღომში გაისეირნა. კითხვა-კითხვით მიაგნო ალექსი ბერიაშვილს სახლს და გოგოს ჩაუსაფრდა. დიდი ხნით ლოდინი არ მოუწია. ღრჭიალით გაიღო ლობის კარი და გოგო გამოვიდა. შაკოს მოეჩვენა, რომ მზე ჩადიოდა და მთვარე ამოდოდა. მანქანიდან გადმოსვლა და გოგოსთან გამოლაპარაკება ვერ გაბედა, თვალით გააცილა მშვენიერება მეზობლის ეზომდე და მერე თბილისისკენ ჩამოქროლდა.

იმ საღამოდან შაკო ერთხელაც დაფიქრდა სერიოზულ საკითხზე: არსებობს კი ბრძოლა სოფლელებსა და ქალაქელებს შორის? როგორ ვუთხრა ჩემს მეგობრებს და ოჯახის წევრებს, სოფლელი გოგო თუ შემეყვარდება, რას იტყვიან ნათესავები...

შაკომ ქეთის დაურეკა და შეხვედრა თხოვა. ვაკის პარკში ბუბუკასთან ერთად მოვიდა სოფლელ გოგოზე გადარეული ბიჭის მეგობარი. შაკომ ერთხელაც გადაუშალა ქეთის გული.

- ხო იცი, სოფლელ გოგოს როგორ უნდა ქალაქელი ბიჭის გამოჭერა, რაო-

დენ სუფთა გული ჰქონდეს, მთავარი ხაზი მაინც თბილისში გათხოვებაა. არ ვიცი, იქნებ ეს გოგო სულ სხვანაირია, გაიცანი, დაელაპარაკე...

- ხო, მაგრამ თეკოზე ფიქრიც არ მშორდება, ეს სოფლელი გოგო უფრო სექსუალურია, თეკოსავით ბანძი მკერდი და დაუთოვებული ტრაკი სულაც არ აქვს, კეთილი გამოხედვითაც მიგიზიდავს, მაგრამ ძალიან განზილებული დავრჩები, თუ ხეპრე გამოდგება...

- ნუ, კიდევ გამოჩნდება სხვა და იმას შეიყვარებ.

- საქმეც მაგაშია, რომ ასე იოლად ვერ მიყვარდება...

- დაუმეგობრდი მამამის და რალაც-რალაცეებს გაიგებ მის ქალიშვილზეც, დანარჩენს დრო გიჩვენებს. და კიდევ: თუ მართლა გიყვარს, ყველაფერი უნდა დაიკიდო, ისიც, რომ გოგო სოფლელია, სიყვარული ნებისმიერ თავმოყვარეობაზე ძლიერია. სიყვარული უმაღლესი ღირებულება მხოლოდ მაშინ არის, როცა არსებობს მის მიღმა მყოფი მიზანი: სიამოვნება!

შაკო სახლში გამხნეებული დაბრუნდა, მეორე დღეს კი ხელმეორედ გაუყვა სოფელ დიღმის გზას, იყურყუტა ბერიაშვილების სახლის ახლომახლო, ერთხელაც შეავლო თვალი საოცარ გოგოს, მერე სოფლის მთავარ მაღაზიასთან მიაყენა მანქანა, იქაურ ბიჭებს მიუყურადა, გაიგო გოგოს სახელი და ისიც, რომ სოფელ დიღომში სოფო ნამდვილი დივა იყო.

შაკო რძის ყიდვას და ტაქსაობას აგრძელებდა. სამუშაო ღლიდა, შუალამემდე უნევდა საჭის ტრიალი და მთვრალი მგზავრების მომსახურება. ქეთი კი უნინდელზე ნშირად ურეკავდა და ახლა უკვე გოგომ სთხოვა ვაკის პარკში მისვლა.

- ერთი ბიჭი გავიცანი და რამდენჯერმე შევხვდი, ყოფილი რაგბისტია, მონგრეული ცხვირი აქვს, თუმცა მომნონს, ჩემი ანტიპოდია, აგერ ფოტოებსაც გაჩვენებ, შენი აზრი მაინტერესებს.

- ეგრევე ეტყობა, რომ ერთუჯრედიანია, საინტერესოა, რა თემაზე ელაპარაკები ხოლმე...

- სამაგიეროდ, ჯანიანია - გულრწფელად გაელიმა ქეთის.

- კარგად დაგატკბო?

- როგორ გითხრა...ინტელექტი აქაც საჭირო ყოფილა, კუნილინგუსი ბერძენი ფილოსოფოსი ეგონა.

- გილოცავ, მაგარი ბოიფრენდი გიპოვნია!

- რატომაც არა?! ვნახოთ, როგორ გაგრძელდება ჩვენი ურთიერთობა, ინტუიცია მეუბნება, რომ კარგი ადამიანია. თანაც ერთი რალაც ჩავიფიქრე და ვნახოთ, როგორ გაქაჩავს...

- რა ჩაიფიქრე?

- მალე გეტყვი, სავარაუდოდ ერთ თვე იქნება საჭირო, მეტი არა...

სანამ შაკო თბილისსა და სოფელ დიღომს იყო გადაებული, ერთი თვეც მალე გავიდა, სასიყვარულო ფრონტზე უმოქმედოდ იყო, თეკოზე ფიქრი და სოფოს თვალთვალი - ამის იქით არაფერი არ ხდებოდა, თუმცა გული უგრძობდა, მალე მოხდება რალაც არაჩვეულებრივი, ორომტრიალი რალაც



შედეგით უნდა დამთავრებულიყო.

- ახლავე მოდი ვაკის პარკში, ამას გულში დიდი ხნით ვერ შევინახავ, მოგვ-
ვდები!!!

მგზავრი ჩამოსვა თუ არა ტაქსიდან, ჯიქურ გასწია შაკომ ქეთისკენ.

- მიხარია ცოცხალს რომ გხედავ, რა მოხდა?

- რაგბისტი ნაძირალა გამოდგა.

- მხოლოდ ამის სათქმელად დამიძახე ასე სასწრაფოდ?

- რა თქმა უნდა, არა. მოკლედ, ჩემს უკვე ყოფილ ბოიფრენდს ვთხოვე შენ-
ზე, ვილაც ფრანგული ბალონკა უყვარს შაკოს და იქნებ სცადო, ფლირტი გაა-
ბა ამ გოგოსთან, შაკო არაჩვეულებრივი ადამიანია, არანორმალურად უყვარს
ეს გოგო და მინდა რომ თვალეები აეხილოს, თეკოზე ფიქრს თავი დაანებოს.

- მერე?

- მერე ის, რომ ეს ცხვირმონგრეული მართლაც გაეფლირტავა თეკოს და
პაემანზე დაითანხმა.

- შემდეგ რა მოხდა?

- გაპრანჭულ კაფეში თეთრი ღვინო მიირთვეს ყველის ასორტთან და ეს
ყველაფერი თეკოსთვის შეუმჩნევლად გადაიღო მობილური ტელეფონით.

- ხო, თეკო ერთხელაც არ წამომყვა ყავის დასალევად, ამ ხეპრესთან კი
თურმე გემრიელად უვახშმია...მართალი იყავი, ეს რაპუნცელი თუ ფრანგუ-
ლი ბალონკა არ იყო ჩემი სიყვარულის ღირსი...რესტორანში გადაღებული ფო-
ტო შეგიძლია მაჩვენო?

ქეთიმ მობილური მოიმარჯვა, ჯერ რესტორანში გადაღებული ფოტოები
აჩვენა შაკოს, მერე კი რაგბისტის მთავარი ნამუშევარი: დღიურად გასაქირა-
ვებელ ბინაში ფარულად გადაღებული ვიდეო, სადაც მკაფიოდ ჩანდა, როგორ
ჯიჯგნიდა რაგბისტი თეკოს.

- საშინელებაა ისიც, რომ ამ ვიდეოს გამოგზავნა არც კი მორიდებია, რა
თქმა უნდა, იმის დამტკიცება სურდა ჩემთვის, რომ შეუძლია, გელფრენდის
გარდა ერთი გოგოც გააძლოს. ასე რომ, მეც მწარედ მოგტყუვდი და მეც შენ-
სავით მინდა ახლა ვიტყრო.

ბუბუკა ამაოდ ახტებოდა გოგოს მკლავებზე, სადაც მისი ადგილი აღარ
იყო, ბიჭს თავი გოგოს მკერდში ედო და ქეთიც შლეგად იხუტებდა თვალე-
ბანყლიანებულ მეგობარს.

- წამოდი და დარჩი ჩემთან, მშობლები აგარაკზე წავიდნენ და ზეგამდე არ ჩა-
მოვლენ, ცოტა დავლიოთ და რაც კი ძალა გვექნება, ერთმანეთისთვის არ დავზო-
გოთ - ერთგული და თავნება მეგობრის შემოთავაზებაზე ბიჭს უარი არ უთქვამს.

შაკო მაინც დილაადრიან წამოდგა ლოგინიდან, რძე უნდა ეყიდა, დისშვი-
ლებს ვერ უღალატებდა.

- ანუ, რაგბისტს ვერ აპატიებ?

- თეკოსთან ლალატს კიდევ ვაპატიებდი, მაგრამ სხვა ამბავიც გავიგე:
მხცოვანი ამერიკელი ქალი გაუცნია და მისი დახმარებით ამერიკის ვიზაც გა-

უკეთებია. ბებრუხანასთან აპირებს ამერიკაში წასვლას და ნებვირობას. მოკლედ, ცხოვრებამ მეც და შენც მაგრად წაგვითაქა...

შაკომ გზად შინ შეიარა, მშრალ ხიდზე ნაყიდი სურათი სასაჩუქრე ჩანთიდან ამოიღო და ორი წამით შეათვალიერა, დაფიქრდა, იქნებ მართლაც არსებობს ბრძოლა სილამაზესა და გონებას შორის.

ალექსი ბერიაშვილისგან ერთხელაც იყიდა რძე და ლაპარაკიც გაუბა აქეთურ-იქეთურზე.

- რაც კი დღეს რძე და კვერცხი გქონდა ჩამოტანილი, ყველაფერი გაყიდე, ჰოდა, ხინკალზე და ლუდზე დაგპატიჟებ, ცოტა არაყიც გადავკრათ, დალევის ხასითზე ვარ, თანაც შენთან ვალში ვარ, ყოველთვის საუკეთესო რძე მიმაქვს შენგან.

- რატომაც არა?! კაი კაცი კაი კაცს ყოველთვის დაენწვევა.

თითო კათხა ლუდი, თითო სირჩა არაყი და ოცი ხინკალი - ულუფის შემდეგ ალექსი და შაკო გარეთ გამოვიდნენ.

- ახლა ჩემთან წავიდეთ, სოფლის ჰაერზე ამ ყველაფერს მალე მოვიწვებთ და სუფრაც გავაგრძელოთ. გუშინ ციკანი დაგვკალით და ხორცი კიდეც დაგვრჩა. ცოლი საბერძნეთშია წასული სამუშაოდ და ოჯახის მთავარი დიასახლისი ახლა ჩემი ქალიშვილია, სოფო ძან მაგარ ბუღლამას გაგვიკეთებს და ეზოში მოყვანილი ყურძნისგან დაწურულ ღვინოსაც გაგასინჯებ.

- წავიდეთ, დღეს მაინც არ ვაპირებდი სამუშაოდ გასვლას.

ბერიკაცი და ბიჭი ტაქსიში ჩასხდნენ. შაკოს გული ამოვარდნაზე ჰქონდა, ცოტაც და სოფოს გაიცნობდა, თანაც მისივე სახლში და ლამაზი გოგოს დამზადებულ კერძებსაც მიირთმევდა.

- მაინც, როგორ მიხვდა ალექსი ყველაფერს? სულ რაღაც ერთ წამით ვნახე სოფო მამამისთან და თურმე ყველაფერი შეუმჩნევია. აი, რას ნიშნავს ცხოვრებისეული გამოცდილება - მდუმარე იყო შაკოს ფიქრი.

- სახლში იმიტომ გეპატიჟები, რომ დისშვილები ძალიან გიყვარს და მათ გამო ყოველდღე მოდიხარ ახალი რძის საყიდლად, დამიჯერე, მეოჯახეც ჩინებული იქნები. ლუდზე და არაყზე კი ალბათ იმიტომ დამპატიჟე, რომ რაღაც ამბავმა გადაიარა შენ თავზე და გულის გადაყოლება გინდოდა. ეგ არაფერი, დარტყმები კიდეც იქნება, მთავარია, როგორ გაუძლებ.

- შენ როგორ უძლებ?

- ღვინითა და სიმღერით.

წინსაფარშემოკრული სოფო ინაზებოდა და იცინოდა, თითქოს იმის თქმა უნდა შაკოსთვის, ვიცი, რომ აქ ჩემ სათვალთვალოდ ამოდიოდით.

სუფრაც მალე გაიშალა, ოღონდაც - ქირი იქა, ლხინა აქა, არავის უთქვამს.

მაგარი ვარ როგორც რკინა,
დილომშია ჩემი ბინა!

ასეთი იყო ალექსი ბერიაშვილის სიტყვა.

თორნიკე ჭკვიანი პაცია

ნინო ექიმმა სათვალედან ამომხედა და მკითხა:

- რა შეგემთხვათ?

- დილაობით ველოსიპედით მიყვარს სეირნობდა, დღეს კიდეც უფრო ადრე, დაახლოებით შვიდ საათზე გამოვედი და როგორც კი სატერფულების ტრიალს მოვუმატე, ქუჩის ძაღლებმა ალყაში მომაქციეს, ყველა ველარ მოვიგერიე, ერთმა წვივის კუნთზე გამკრა კბილი.

- ჭრილობას ექთანნი დაგიმუშავებთ, საგანგაშო არაფერია. იმ ძაღლის მოძებნა თუ შეგიძლიათ, რომელმაც გიკბინათ.

- ვერანაირად, იმდენი იყვნენ, ამოცნობა გამიჭირდება, მიჯობს აცრები გავიკეთო.

- ხუთი აცრა დაგჭირდებათ, ანუ ხუთჯერ მოგიწევთ აქ მოსვლას და სამი თვე ალკოჰოლს უნდა მოერიდოთ.

სანუნუნოდ და ნერვების დასამშვიდებლად უბანში ერთადერთი მეგობარი მყავს. თორნიკეს გარდა თანამოაზრე ვერ აღმოვაჩინე და მომხდარზეც მასთან დავიჩივლე.

- ქუჩის ძაღლებზე ნერვებს ნუ აიშლი, ამაში ქალებზე დაკვირვება დაგეხმარება.

- ეგ, როგორ?

- მიუსაფარი ძაღლები უკაცოდ დარჩენილ ქალებს განსაკუთრებულად უყვართ, მიმოიხედე ახლო კორპუსებში და ამას ხელად შეამჩნევ. ჰოდა, დაუთმე ეს სეგმენტი ასეთ ქალებს, ეს მათი სოციალური ცხოვრებაა, ანუ ამ ძაღლებს არცთუ უმნიშვნელო მისია აკისრიათ.

- რა ცინიკოსი ხართ!

- ყველა ცინიკოსია, ვისაც ქალებზე დაკვირვება უყვარს.

და მართლაც, თორნიკეს ნაუბარმა რალაცნაირად მომიღბო გული. ისიც გამახსენდა, შორენას რომ ვყვარობდი და შეიძლება ითქვას, არაფრის გამო მიმატოვა, მაშინაც თორნიკე დამეხმარა დარდის გაქარვებაში.

- სად მუშაობს შორენა?

- ბანკში, სერიოზული ფინანსისტია მაღალი ხელფასით, ალბათ მოვებზრდი და სხვა კაცი იპოვა.

- მათ ასე იციან.

- ვინ, მათ?

- ბანკში ხშირად ყოფილხარ, ბანკიდანაც არაერთხელ დაურეკავთ და ნუ-თუ ვერ შეამჩნიე, თუ რა მონესრიგებულები და გულგრილები არიან ბანკის გოგოები?! ისინი ისე იქცევიან და გელაპარაკებიან, როგორადაც განვრთნეს. ჰოდა, შენი შორენაც ტიპიური ბანკის გოგოა და მასთან ურთიერთობის დასრულებაც გულთან ახლოს არ უნდა მიიტანო. მან ზუსტად დაგითვალა კვირა-

ში რამდენი ორგანოში ჰქონდა შენთან, თვეში რამდენ საათს ატარებდი მასთან და ასეთი კალკულაციით მიიღო გადაწყვეტილება.

წარსულის ამონარიდი რომ გამახსენდა, კიდევ უფრო მეტი შვება ვიგრძენი. იმის აქეთ თორნიკეს ჭკვიანი კაცის რეგალია ვუბოძე.

თვითონ თორნიკე ყოველმხრივ მონესრიგებული იყო, მაგრამ რალაც აწუხებდა, რალაცაში ვერ იყო გარკვეული. საკუთარ პრობლემებზე არ მელაპარაკებოდა, თითქოს ჯერ კიდევ არ ვიყავი მისთვის ბოლომდე სანდო მეგობარი. თავი მოჰქონდა ლიტერატურული პერსონაჟების სრულყოფილი ცოდნით, რამდენიმე მათგანზე შეყვარებულიც კი იყო, განსაკუთრებით პატრიაცია ჰოლმანზე.

თორნიკე ოციოდე წლით იყო ჩემზე უფროსი და ყოველთვის თქვენობით ველაპარაკებოდი, მასაც მოსწონდა ასეთი დისტანცია, თუმცა მაინც მისაყვედურა:

- თქვენობით საუბარი არაქართულია, ძველი ქართველები მეფესაც კი შენობით მიმართავდნენ, ღმერთთან სალაპარაკოდაც არ გამოიყენებოდა ?ქვენ და ისიც უნდა იცოდე, რომ თქვენობითი ზრდილობა და გაუთავებელი სადღეგრძელოები რუსეთის იმპერიის დროს დაგვჩემდა. ჩვენ ყოველთვის ნაციოლისტები ვიყავით და ამიტომაც გადავრჩით, კარგი საბჭოთა ქართველი მწერლებიც ნაციონალისტები იყვნენ, ?ასალვრელის მაცნე ხომ გახსოვს?! კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა შემიძლია, მაგრამ სხვა დროს იყოს. ახლა მიმდინარე პოლიტიკურ ამბებზე ვისაუბროთ. როგორ ფიქრობ, რა ბედი ელის ევროპას?

- გაშავდება და გამუსლიმდება.

- განზილებული ვარ, ბევრად უფრო ინტელექტუალურ პასუხს ველოდი.

ცხადია, განზრახ ვუპასუხე ასე, რადგან თორნიკე არ მემეტებოდა პოლიტიკური დისკუსიისთვის.

თორნიკე მაინც არ მოეშვა ევროპას.

- მალე იქაც მიხვდებიან, რომ რელიგია უალრესად მნიშვნელოვანია, ზედმეტი ლიბერალიზმი ცუდია, რალაც შეზღუდვები აუცილებელია, ოღონდ როგორ უნდა მოხდეს ეს ყველაფერი, საკითხავი აი, ეს არის. მერე ჩვენც გვეშველება, ქართველი მაინც ევროპელი მგონია, უბრალოდ ძან ღრმა პროვინცია ვართ ამ კონტინენტზე, რომლის ერთ-ერთი საყრდენიც გოლგოთაა.

მომეწონა თორნიკეს პათეტიკა და ჩემი ფიქრიც გაიყოლა მისმა ნათქვამმა. მეორე დღეს ლიფტში სტიკერი გავაკარი: NO SMOKING, რალაცით მსურდა სოლიდარობის ევროპულად გამოხატვა უფროსი მეგობრის მიმართ და თორნიკემაც მომიწონა ნამოქმედარი.

თორნიკე მეორედ იყო დაქორწინებული. პირველ ცოლზე იშვიათად საუბრობდა, წარსულის გახსენება ხშირად არ ეგებოსო. სამაგიეროდ ბევრს მელაპარაკებოდა გარდაცვლილ მამაზე.

- ახალგაზრდა ვიყავი, დაცოლმვილებული და, ისე მოხდა, რომ საყვარელი გავიჩინე. ქალს ვერაფერს გამოაპარებ, ცოლი ყველაფერს ხვდებოდა. მიუხედავად ამისა, ოჯახი ყოველთვის უპირველესი იყო ჩემთვის. ყველაფერი საუ-

კეთესო მეუღლისთვის და ბავშვებისთვის მომქონდა. ფული არ მიჭირდა, კარგი მანქანა მყავდა და საყვარელთან ფარული შეხვედრებისთვის ერთოთახიანი ბინაც ვიქირავე. მერე ისე შეტრიალდა ყველაფერი, რომ უმუშევრად და უფულოდ დავრჩი, ცოლს კი კარგი სამსახური გამოუჩნდა. ნერვოზი, გულისფრიალი, მაღალი წნევა დამჩემდა, საყვარელს აღარ ვუნდოდი, ცოლიც ახლოს არ მიკარებდა, იცოდა ჩემი გაჭირვება, თუმცა ხუთი ლარიც არ მოუცია ჯიბის ფულად. შურისძიება მკაცრი გამოდგა. გაჭირვების დროს გვერდში დგომის ნაცვლად ფაქტობრივად, ნიხლებით შემდგა. მაშინ ჩემი მშობლების სახლში ვცხოვრობდით და უფულოდ რომ დავრჩი, ოჯახში შემომტანი მხოლოდ მამაჩემი გვეგულებოდა, ცოლი მხოლოდ საკუთარი თავისთვის იმეტებდა ფულს, ალბათ დანაზოგისთვისაც აყურებდა. ამასობაში მამა ავად გახდა, ექიმმა ნემსები დაუნიშნა. დედაჩემს ნემსის გაკეთება არ შეეძლო და ეს საქმე მე ვითავე, რალა ექთანი დავიქირავოთ, მამაჩემს მე თვითონ დავეხმარებინეთქი. ორკვირიანი კურსის შემდეგ მამა გამოჯანმრთელდა და ვერასდროს დავივიწყებ იმას, რაც გააკეთა: სამზარეულოში ვიყავით, მაცივრიდან რალაც გამოვიტანე და მაგიდაზე დავდე, თითქოს ხელსაყრელი დრო შეარჩია და მხარზე ხელი მომითათუნა - რადგან დასტაქრობა გასწიე, ჯამაგარიც გეგუკთენისო და ორასი ლარი ჯიბეში ჩამიკუჭა. ასეა, მშობელი ყველაფერს ამჩნევს, ბავშვებს სანოვაგე არ აკლდათ, მამა ყველაფერს ყიდულობდა, თუმცა ხედავდა ჩემს მდგომარეობას, მე ხომ შოკოლადიც ვერ მომქონდა შვილებისთვის, ცოლი კი სულ იღრინებოდა.

თორნიკეს ნაამბობი ყველაზე კარგად მაშინ დავატრიალე საკუთარ თავში, როცა მამა გარდამეცვალა. ამ ამბის გახსენებაზე ერთხელაც ამეტირა, რადგან მსგავსი გვერდში დგომა და სიყვარულის ასეთნაირი გამოხატვა მამაჩემისგანაც მიგრძენია. თორნიკესადმი ნდობა კიდევ უფრო გაიზარდა. ის ჩემთვის ერთ-ერთიყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანი გახდა.

ვინაიდან პოლიტიკაზე საუბარი მე და თორნიკეს მაინცდამაინც ვერ გამოგვიდიოდა და ვკინკლაობდით, ქალებზე და ცხოვრების ოღრო-ჩოღროზე გადავერთეთ. ეს ორივეს მოგვწონდა, ვხალისობდით, ვკამათობდით, ვეპაექრებოდით კიდევ ერთმანეთს, თუ ვინ უფრო მეტ საინტერესო ისტორიას მოყვებოდა ქალებზე.

* * *

- ამერიკაში ერთი ისტორია გადამხდა თავს...

- ეს ამბავიც ქალებზეა?

- კი.

- მაშინ, დანერე მოთხრობა, ანუ წერილობითი სახით გამანდე, ასე უფრო საინტერესო იქნება ჩვენი პოლემიკა.

იმტაზე მოვედი და ერთ საღამოში ჩავეტიე, თაბახზე ამოვბეჭდე და თორნიკეს სახლში ვესტუმრე. უფროსი მეგობარი ცხოველი ინტერესით კითხულობდა ამერიკულ თავგადასავალს:

პროლეტარული ბრუკლინის კატაკომბებიდან კოხტა და პატარა მარლბოროში მიპატიჟება დიდად გამიხარდა.

მიყვარს ნიუ ჯერსის ის ცეროდენა ქალაქები, სადაც შეძლებული ამერიკელები ცხოვრობენ.

ნიკა და მაკა ამერიკაში 90-იან წლებში წავიდნენ, მათაც ბრუკლინით დაინწყეს, მატარსზე ეძინათ, ბევრი რამ გამოირეს და კენწეროში მოთავსებულ სიტკოსაც მიაღწიეს.

- ჩვენთან ვისაუზმოთ, ვახშამზე კი მაკას მეგობარი ლელა გვეპატიჟება თავის სახლში. ამერიკელი ქმარი ჰყავს, ძალიან კარგი კაცია, მოკლედ, სასიამოვნოდ გავატარებთ დროს. მარლბოროში ერთი ქართველი ქალი შეკვეთებს იღებს ხინკალზე. უკვე დაფურეკეთ და სადამოსთვის მზად ექნება. აბა, გელოდებით - ასეთ განრიგზე მიმინვია ნიკამ.

ლელა და ფილი კოხტა სახლში ცხოვრობდნენ, ორი წლის მეთიუ მათი ერთადერთი შვილი იყო. ოთახები გემოვნებით იყო განწყობილი. ფილი ძალიან თბილად შეგვხვდა.

- როგორ მიდის ცხოვრება ნიუ იორკში? ჩემს მეგობარს სამშენებლო კომპანია აქვს, თუ ხელობა იცით, ვთხოვ და იქნებ კარგ გასამრჯელოზე დაგიქირაოს.

- დიდი მადლობა, ოღონდაც ახლა მხოლოდ ბარბიქიუზე და კარგ კალიფორნიულ ღვინოზე ვფიქრობ.

მე და ფილი მალევე დავმეგობრდით. კალათბურთზე და ჰოკეიზე ბევრი ვისაუბრეთ, გაუკვირდა, გადამთიელმა სიადან იცის ამდენი ძველებზეო, - უეინ გრეცკი და მარიო ლემიე, ქერიმ აბდულ ჯაბარი და ლარი ბერდი...ვის აღარ გადავწყვდით.

- როგორც კი რეგულაბური სეზონი დასრულდება და პლე ოფის მატჩები დაიწყება, მე და ლელა მედისონ სქვერ გარდენში დაგპატიჟებთ რომელიმე თამაშზე.

ფილი მართლაც საოცარი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ლელას ქმარი მაკამაც ძალიან აქო.

- ისეთი საყვარელი და ყურადღებიანია, ყოველ შობასა და აღდგომას ლელას ნათესავებს საჩუქრებს უგზავნის სქართველოში.

ვახშამზე ბრუკლინიდან ლელას დედაც ჩამოვიდა: ყუყუნა, შუა ხნის ქალი - ნამდვილი დამა. როგორც კი ლელა ლეგალურად დაფუძნდა და გათხოვდა ამერიკაში, დედაც აქეთ ჩამოიყვანა. ლელასა და ყუყუნას შორის სხვაობა 17 წელი იყო და უნდა ითქვას, რომ დედა შვილზე უფრო მღელვარედ გამოიყურებოდა. შილიფად ეცვა, ძუძუების ლარი ოდნავ მოუჩანდა, მონკეპილი შარვალი კი ზედ ასკდებოდა ფორმებს.

- ყუყუნაც დღესვე ბრუნდება ნიუ იორკში საკუთარი მანქანით და თან გაგიყოლებს - მითხრა მაკამ და ყრუანტელმაც დამიარა - იქნებ უგემრიელესი დესერტი მელოდება მარლბოროდან წასულს.

შეკვეთილი ხინკალი დროულად მოვინაგრეთ, მერე კი ფილმა გრილზე ბარბიქიუ შეწვა.

-ახლა უნდა დაგტოვოთ, მეთიუს მე მივხედავ, შენ კი საყვარელო ქართველებთან გტოვებ. ღვინო თუ შემოგელევათ, სარდაფში კიდევ არის რამდენიმე

ბოთლი, თუ ლუდი გესიამოვნებათ, მაცივარში გვაქვს დამარაგებული - ფილ-
მა ლელას აკოცა და ბავშვის ოთახისკენ წავიდა.

ამასობაში მე და ნიკა ღვინომ შეგვათრო. გავისხენებთ ბავშვობა, სიმართ-
ლეს ტყუილებიც შევეურიეთ, ქალებს ისე მოვაჩვენეთ თავი, ვითომ სიყმანვი-
ლეში დიდი ჩხუბისთავეები ვიყავით. მაკას და ლელას ეცინებოდათ, ყუყუნა კი
ყურადღებით გვისმენდა. გაფუთამამდი ლელას დედას, კომპლიმენტები შევა-
პარე, უბემიც მოურიდებლად ვუჭყიტინებდი და ქალიც თითქოს ყვავილივით
იფურჩქნებოდა. დასკვნაც გამოვიტანე: ყუყუნა ეროსით ატანილი დედაკაცი
იყო.

ვახშამი ტკბილეულითა და ჩაით გაგრძელდა. ხილის ტარტი მიმზიდველად
იდო ჟღალ მაგიდაზე. ლელამ მოზრდილი ნაჭრები ჩამოგვირიგა. ჩაიდანინდან
ჭიქაში რომ ვასხამდი ქაფქაფას, შემთვრალს მიზანმა მიმტყუნა და წყალი ცა-
ცია ხელის მაჯაზე გადავიხსი.

- მსუბუქი დამწვრობა უნდა იყოს, მაცივარში მაქვს მალამო, წამომყევი სამ-
ზარეულოში და ექიმობას გაგინევ - მითხრა ლელამ და მეც მივატოვე მაგიდა.

უშველებელ მაცივარში მალამოს ძებნამ წამები წაილო, უკან დაბრუნება
მეჩქარებოდა, ყუყუნა მენატრებოდა.

ლელამ მალამო მოიმარჯვა. მესიამოვნა ცივი დამწვარზე, გამოცდილი დას-
ტაქარივით მიზილავდა წამალს და თანდათან ჩემი ცაცია ხელი მარცხენა ძუ-
ძუზე მიიდო. ვითომც არაფერი, ისე აგრძელებდა მკურნალობას, მერე კი
თვალებში ჩავხედეთ ერთმანეთს.

- იცი, მეც ქალი ვარ, ყუყუნაზე არანაკლები - უტყვი თვალების სიტყვები
იყო.

უკვდავი ლექსის უკვდავი სტრიქონი გამახსენდა: მესმის ამ გამძაფრების
წამწამების კანკალი...

მაგიდასთან მალევე რომ დავბრუნდი, ღვინო თითქოს უკვე მონელებული
მქონდა.

ცოტაც და მე და ყუყუნა უკვე ნიუ იორკისკენ მივიწვევდით. ფილს ვერც კი
დევემშვიდობე. ვფიქრობდი ლელაზე.

ცხადია, ყუყუნა ვერ ხვდებოდა ჩემი უხასიათობის მიზეზს. მასთან ლაპა-
რაკიც არ მიცდია. როცა მანაქანიდან ჩამომსვა, უმაყოფილო ღიმილით მო-
მადახა: კაცები ზოგჯერ ქალებზე მშიშრები, სუსტები და მატყუარები ხართ.

ლოგინში რომ ჩავწექი, ისევ ლელაზე ჩავფიქრდი: რა ეშმაკი შეუჩნდა ამ
გოგოს?

ნიუ იორკი, 2021 წლის მარტი

- ეს არ არის ლელას ბრალი.
- არანაირი საბაზი არ მიმიცია...
- გასაგებია, მაგრამ ლელა თბილისში დაიბადა და გაიზარდა, ის ასე არის
აღზრდილი.
- როგორ, ასე?



მხატვარი: ლალი რიგიშვილი

- ლელა ლამაზია?

- კი, მშვენიერი გოგოა, ვერაფერს დაუნუნებ.

- ლელას ბავშვობაში ასე იყო: თუ მე ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი გოგო ვარ უბანში და სკოლაში, ჩემი შეყვარებულიც ის უნდა იყოს, ვინც ყველაზე მაგარი ძველი ბიჭია, ვინც ყველაზე უფრო გაიმეტებს მოწინააღმდეგეს ჩხუბში, ვინც დანის დამრტყმელია. არ უნდა დაგვაკინყდეს, რომ ყველაზე გემრიელი და ნამდვილი ცხოვრებით ბავშვობაში ვცხოვრობთ, ამიტომაც არის ყველაზე მკვეთრი და დიდი ეს დამლა ლელასთვის. ალბათ უუჟუნაც ასე გათხოვდა. ლელას ლამაზ თანატოლ გოგოებსაც ასეთ ბიჭებზე ეჭირათ თვალი. იმ ვახშამზე ლელამ წარმოიდგინა, რომ შესაძლოა, შენც ასეთი იყავი ბიჭობაში...

- ფილი? ის ხომ გადაყოლილია ლელაზე და მის ნათესავებზე...

- ლელა საქართველოში დაიბადა, მისთვის ჯერაც უცხოა დასავლური კულტურა.

- ადამიანი ყველაგან ადამიანია.

- შესაძლოა, თუმცა ყოველთვის არსებობს რაღაც მესამე ნითელსა და შავს შორის, სიკეთესა და ბოროტებას შორის, ევროპასა და აზიას შორის და ალბათ სწორედ ამ მესამეშია სინამდვილე. ლელა აფასებს ფილს, როგორც ადა-

მიანს, მაგრამ როგორც მამაკაცი, ეს კარგი ქმარი ჩვარი ჰგონია და მაინც დიპლომატი ქართველი ურჩევნია.

- ლელა ბნელი ქართველია და მოუნდა ქართველი ჯიხვი - ვფქირობ, სხვა შეფასება აქ არ არსებობს. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ბაიდენ-ტრამპის დაპირისპირებაში ხმას რესპუბლიკელს მისცემდა.

- ჩვენი აზრები თითქმის იდენტურია. ოღონდ შენ ძალიან უკიდურესი შეფასებები გიყვარს. იცი, ეს რისი ბრალია?

- არა.

- ალბათ დაგავიწყდა, თუ რა თქვა ხალილ ბეიმ: აზია არის ყველა ქვეყნის მოხუცი დედა. და კიდევ: პატრიცია ჰოლმანი არც ამერიკაში შეგხვდება და არც საქართველოში, პატრიცია ისეთივე გამოგონილი ქალია, როგორც ანა კარენინა. მხოლოდ ღრმა მოხუცებულობაში თუ მოგასვენებს ქალებზე ფიქრი, ამიტომაც მიენდე ინსტიქტებს.

თორნიკესგან წამოსული დავმარტოვდი, ძველი თბილისის ქუჩებში მომინდა და ხეტიალი, მათხოვრებითა და მანანნალა ძაღლებით სავსე ქალაქში.

სახლს რომ მივადექი, უბნის მარკეტთან ბიჭებს პატარა სუფრა გაეშალათ. დამიძახეს და არაყი შემომთავაზეს. ნინო ექიმის გაფრთხილება კარგად მახსოვდა, თუმცა მაინც გამეტებით ვყლურწე იაფიანი არაყი. თითქოს გონება გამეხსნა და მალევე გამახსენდა, რომ ნინოც ქალი იყო და თურმე წამნამები მასაც ჰქონდა, როცა სათვალედან რალაცნაირად ამომხედა.

- გაუმარჯოს წამნამების კანკალს! გაუმარჯოს წამნამების კანკალს!

ბიჭების გაკვირება სიცილმა შეცვალა. კიდევ დამისხეს. თვალეები მეხუჭებოდა და ყველაფერი ტრიალებდა.

- ლელა, ნეტავ სად ხარ ახლა და რას აკეთებ?..

სილაშავე ქართულად

წიგნების კითხვა ციხეში დავიწყე. დრო ბევრი მქონდა და გულჩამწვარს რაღაც შევებას მაძლევდა. ადამიანებზე დაკვირვების უნარიც გამიუმჯობესდა.

მანქანით გავიტანე ხნიერი ქალი. არ იყო ჩემი ბრალი, მოძრაობის წესები არ დამირღვევია, მაგრამ ვირის აბანოში მიანც ჩამაყუდეს. გამოსასყიდი იყო ჩემი დანაშაულის. ცოდვა ავიკიდე, დავმძიმდი.

კითხვაში დროც მალე გადიოდა. უბედური მწერლები და პოეტები შემეყვარდა. ჩემი წარმოსახვით, ნამდვილი მწერალი და პოეტი მკითხველისთვის კვდება. მაგალითად, ედგარ პო და ნიკოლოზ ბარათაშვილი - ორი სხვანაირი და ამავე დროს ერთნაირი კაცი, რომლებმაც თავი სწორედაც რომ ჩვენ, ჩვეულებრივ მკითხველებს შეგვაკლეს.

სხვა უბედური მწერლებიც გავიცანი ციხეში წიგნების კითხვით. ჩემი სამყარო კიდეც უფრო მდიდარი და დამოუკიდებელი გახდა მკაფიოდ გავლებული საზღვრებით. მშურდა ამ ხალხის, მეც მომიხდა, რომ ასე მომკვდარიყავი, ვერ ვხდებოდი, რა საჭირო იყო ამგვარი მარადისობა, მაგრამ ძან კი მოვიწიხსე მათი ორომტრიალით.

იმის აქეთ განსაკუთრებულად შემეყვარდა უბედური ხალხი. არაფერი არ არის კარგი სიღარიბესა და ნაადრევ სიკვდილში, მაგრამ ასეთი მწერლების ამბავი მიტოვებდა განსაკუთრებულ სევდას, სიბრალულს, ეს იყო ერთგვარი და ერთადერთი ესთეტიკა, რაც მიმსუბუქებდა ციხეში ყოფნას.

ექვსი წლის შემდეგ გამოვედი გარეთ. უფრო დაკვირვებული გავეხდი. იქნებ წავაწყდე კიდეც რამე საინტერესო ამბავს: ვეძებდი ადამიანს ადამიანში.

ერთ წიგნში წავიკითხე, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს აფრიკაში სიკვდილი მშრალი იყო, მზისგან გამომხმარი გვამები მუნდირში ყანყალებდნენ და მორჩა, მეტი არაფერი.

და როგორია სიკვდილი ციხეში? ჩემი თვალთ ეს არ მინახავს, თუმცა მაინტერესებდა.

და ისევ სახლში, ისევ თავისუფლება და ლამაზი ქალები ქუჩაში, ის უმცირესობა, რომელსაც ყველაფრის წაღვეკვა შეუძლია. ეს ყოველივე ის ნეტარებაა, მანამდე ასე რომ ვერ დააფასებ.

ექვსი წლის შემდეგ რომ მოვიხახულებ ყველა ჩემი მოკეთე, ზოგი შეცვლილი მომეჩვენა. ეს ექვსი წელი თურმე გარეთაც ძნელი ყოფილა. სიღარიბეს დაუჩაგრავს ბევრი.

შეცვლილი მომეჩვენა ჩემი მეზობელი ცოტნეც და გადავწყვიტე, გავცნობოდი მის თავგადასავალს.

ცოტნეს ბაშვობიდან ვიცნობდი. თანატოლებისგან ფეხბურთის კარგი თამაშით გამოირჩეოდა. ხასიათიც განსაკუთრებული ჰქონდა. ბიჭები ფეხბურთის ნიძლაზე თამაშს რომ შესთავაზებდნენ, უარს ამბობდა.

- გეშინია მაზიანზე თამაშის?

- არა, უბრალოდ ნიძლაგზე თამაში არ მსურს. ასე გავაკეთოთ - თუ წავაგებთ, თავანი არ მომაქვს და თუ ჩემი გუნდი მოიგებს, მოგებული სანაძლეოც არ მინდა.

რამდენიმე წელი ცოტნე მუსიკალურ სკოლაშიც დადიოდა, ფორტეპიანოს მშვენივრად უთავსებდა სპორტს, მერე კი მთლიანად ფეხბურთზე გადაერთო და 17 წლისამ ასაკობრივი ნაკრების მაისურაც მოირგო. მალე საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო კლუბშიც მიიწვიეს და ორიოდ წელიწადში გუნდის წამყვანი ფეხბურთელიც გახდა.

როცა ციხეში ჩამსვეს, ცოტნესაც მერელა გაუცნია წარმტაცი გოგო. გამლელი ქერა თმები და მინანქარივით დასმული ლურჯი თვალები - მაკოს მართლაც არაჩვეულებრივი სილამაზით მოუხიბლავს ბიჭი და აქ უკვე იწყება ამბავიც.

- როგორ მიხარია შენი ნახვა!

- მეც მიხარია, რომ ციხიდან გამოხვედი!

ცოტნეს გადავხვები და აქეთურ-იქეთურზე გავაბით საუბარი. ნამეტანი გულჩათხრობილი მომეჩვენა, უნდოდა რალაცის თქმა და ვერ მეუბნებოდა. უმეგობრო კაცს ჰგავდა.

უბანში, მეზობლებში მოვიკითხე მისი ავან-ჩავანი. მითხრეს, რომ ცოლს გაეყარა. ძალიან უბედურად, ბერავად გამოიყურებოდა წარმოსადეგი ყმანვილი. ოცდახუთი წლის ბიჭს ასაკთან შეუფერებელი, დეპრესიული იერი ჰქონდა.

სახლში მივიპატიჟე ჭადრაკის სათამაშოთ. ციხის ამბებიც მოვუყევი. ცივი ლუდიც მივირთვი. მოკავშირეები გავხდით - მე საინტერესო ამბავს ვეძებდი, ცოტნე კი მეგობარს.

გავიდა რამდენიმე კვირა, ცოტნეს ბავშვობის მეგობარ ბუთასაც დავუახლოვდი. მიკვირდა, რატომ აღარ მეგობრობდნენ ის და ცოტნე. ბუთასთან სიანხლოვემ შედეგი გამოიღო, მომიყვა ცოტნეს გასაჭირი.

- იცი, მაკოს ადრე ვინ მოსწონდა?

- არა, მე ხომ თქვენზე უფროსი ვარ, სხვა თაობის კაცი და არც დავინტერესებულვარ ასეთი ისტორიებით.

- ფერდოსა გახსოვს?

- როგორ არა, რამდენიმე კაცი ჰყავს მოკლული, მაგრამ დღეს მას სხვა სახელით იცნობენ, რესპექტაბელური ბიზნესმენია. ახლა არ მითხრა, რომ ფერდოსა ჰყვაროდბა მაკოს.

- არა, ფერდოსას შვილმა, ზაზამ დაადგა თვალო მაკოს. გოგოსაც თავიდანვე მოსწონდა ის, მდიდარი მამიკოს შვილი, ვისიც ყველას ეშინია, ოღონდაც მაკო მანაც გამოსული, განათლებული გოგოა და დიდად არ უნდოდა, ყოფილი განგსტერის შვილს გაჰყოლოდა ცოლად. ამასობაში მაკოს და ცოტნეს ერთმანეთი შეუყვარდათ. ქალაქში რა დაიმალება და ზაზამაც გაიგო ყველაფერი, ძმაბიჭებთან ერთად მიაკითხა ცოტნეს და უთხრა, მაკოს აღარ გაეკაროო.

- და ცოტნესაც შეეშინდა...

- ხო, ოღონდაც მაკო არ ეშვებოდა და ცოტენმაც შეირთო ის ცოლად. როცა გოგო გეუბნება, არ მინდა ის და შენ მინდისხარ, სხვა გზა აღარ გაქვს...

- სხვა გზა ყოველთვის არის, მაგრამ ცოტენ არ მოიქცა სხვანაირად. მერე რა მოხდა?

- ზაზა და მისი მეგობრები მაინც ურეკავდნენ ცოტენს და ემუქრებოდნენ. ძილი გაუტეხეს, ცხოვრება დაუნგრის - როგორია, როცა სულ შიშში ხარ?!

- მაკო მეგობრულად არ ედგა გვერდში?

- ეგეთი დეტალები აბა, საიდან უნდა ვიცოდე?..

- თქვენ, ცოტენს მეგობრებმა რა გააკეთეთ მის დასახმარებლად?

ბუთას ენა ჩაუვარდა, ვერაფერი მითხრა. რამდენიმე წამის შემდეგ გააგრძელა ჩემთან ლაპარაკი.

- ცოტენს გუნდშიც ყველაფერი გაიგეს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მოედანზე, თამაშის დროს პასს აღარ აძლევდნენ. დასცინოდნენ ცოტენს, მშიშარა ქალაჩუნას ეძახდნენ. ცოტენმაც დატოვა გუნდი და აზერბაიჯანში წავიდა ფეხბურთის სათამაშოთ.

- მაკო?

- არ გაჰყვა მას, აზერბაიჯანში არ მინდა ცხოვრებაო.

- მერე რა მოხდა?

- ცოტენმ აზერბაიჯანშიც ვერ მოიკიდა ფეხი, მალევე დაბრუნდა თბილისში და ფეხბურთელობას შეეშვა. მაკოც დაცილდა და ახლა ზაზასთან ცხოვრობს.

- ანუ ზაზას გაჰყვა ცოლად...

- არა, ზაზა ქედმაღალი ბიჭია და მაკოს უბრალოდ, ტყაპნის და მეტი არაფერი.

მთელი სულითა და გულით მომინდა ცოტენს დახმარება. ჭადრაკის თამაშის გარდა სათევზაოდ და სანადიროდაც მივიპატიჟე. ბუნებაში გაჭრილი ცოტენ უფრო მშვიდი და მხნე იყო. თოფის სროლაში მარჯვე გამოდგა, ნადირობამდე და მერე ცარიელ ქილებსაც ესროდა, მიზანში ვარჯიშობდა. ისე მოხდა, რომ ცოტენს ერთადერთი მეგობარი მე ავლმოვჩნდი. მისი სრული ნდობა დავიმსახურე და საკუთარი ისტორიაც მომიყვა. ბუთას არაფერი მოუტყუებია ჩემთვის, ცოტენმაც იგივე მითხრა.

- მე მაინც მეგონა, რომ მაკო აზერბაიჯანში წამოგყვებოდა...

- ნასვლის წინ ხელსახოცი ამოიღო ჩანთიდან, აკოცა და ტუჩსაცხით მიხატული ტუჩები სამახსოვროდ გამომინოდა. პირველი ორი თვე ყოველდღე ვურეკავდით ერთმანეთს, მერე კი ნომერი შეიცვალა და ველარ ვუკავშირდებოდი. დედაჩემისგან გავიგე, რომ ზაზასთან წავიდა.

- როცა ჩამოხვედი, არ გიცდია მაკოს ნახვა?

- ვერის ბაღში ვნახე, ზაზას ძაღლს ასეირნებდა. ქალებს ბუნებისგან აქვთ ჩადებული მერკანტილურობა, უხსოვარი დროიდან ისე იყო, რომ ქალი სახლში იჯდა და ყველაფერზე კაცი ზრუნავდა, არ უნდა გენყინოს, რომ ყველაფერი ასე მოხდა, გავიზარდე, პატარა გოგო აღარ ვარ - მითხრა მაკომ.

ერთი თვის შემდეგ

სამსახურში მოვენწყვე მიკორავტობუსის მძღოლად და თავისუფალი დრო ბევრი აღარ მქონდა. შინ დაღლილი ვბრუნდებოდი, ვანშამი ტელევიზორთან და ძილი - ცხოვრება მონოტონურად მიდიოდა. უქმეებზე ცოტნესთან მეგობრობას ვაგრძელებდი. იარაღებით ძალიან დაინტერესედა, მეორადი რემინგტონი შეიძინა და სანადიროდ უკვე საკუთარი თოფით მოდიოდა. მიხაროდა, რომ დეპრესიას თანდათან ამარცხებდა. უნინდელივით ბევრ დროს ველარ ვუთმობდი ცოტნეს, მაგრამ ეს არ მადარდებდა, მჯეროდა, რომ ახალ მეგობრებს მალე შეიძენდა და შესაფერის გოგოსაც მოძებნიდა, მაგრამ...

ორი წლის შემდეგ

სამუშაო დასრულებული არ მქონდა, ბუთამ რომ დამირეკა.

- შეგიძლია მოხვიდე? ეზოში ვარ, გელოდები!

ათიოდე ბიჭი შეკრებილიყო, სიგარეტს ხარბად ექაჩებოდნენ, მობილურით რეკვა და აქეთ-იქეთ წრიალი იყო მათი როკვა. ბუთა გამოეყო ბიჭებს და გახშირებული სუნთქვით მომიახლოვდა.

- ცოტნემ პაპამისის დანატოვარი ლუგერი აიღო სახლოდან, ზაზას სადარბაზოსთან ჩაუსაფრდა და რვა ტყვია დაახალა.

ციხიდან სატელეფონო საუბარი მხოლოდ მშობლებისთვის ჰქონდა ნებადართული. მეც ვსარგებლობდი ამით, ცოტნეს დედმამასთან მივდიოდი და ორიოდე წუთს ველაპარაკებოდი უმცროს მეგობარს.

- გირჩევ, წიგნების კითხვა დაიწყო, დამიჯერე, გიშველის, ენდე ჩემს გამოცდილებას. წიგნებს მე თვითონ შეგირჩევ.

- კარგი, დაგიჯერებ.

ორი თვის შემდეგ

- მომეწონა წიგნებთან მეგობრობა, მარადონას ავტობიოგრაფიაც წავიკითხე. მაკოსი რა ისმის?

-არ ვიცი და გირჩევ, თავიდან ამოიგდო ეს გოგო. ზაზასთან მის ურთიერთობაზეც ბევრს ნუ იდარდებ. დარწმუნებული ვარ, ზაზას მაკოსთან გვეგვე სექსი ექნებოდა.

- რა არის გვეგვე სექსი?

- ნაიკითხე ქართული კლასიკა და ყველაფერს მიხვდები.

სამი თვის შემდეგ

- ახლა უკვე ვიცი, თუ რას ნიშნავს გვეგვე სექსი.

- კი ბატონო, ხომ გახალისდი? ასე რომ, კითხვა არ მიატოვო.

ერთი თვის შემდეგ ისევ დამირეკა ბუთამ, ისევ ანერვიულებული ხმით.

- ცოტნე გარდაიცვალა, ციხეში მოკლეს. ლამით რომ დაიძინა, დილით მკვდარი იპოვეს, თავი დაჩქევილი ჰქონია, სავარაუდოდ მძინარეს ჰანტელი ან უთო ურტყეს გამეტებით.

- ალბათ ზაზას ძმაბიჭებმა დაიქირავეს კილერი...

-ზუსტად ჯერ არაფერი ვიცი. ისე, ხმები გამოვიდა ციხიდან, ცოტნეს ზარის თამაშს თავაზობდნენ და უარზე იყო.

- და ამის გამო მოკლავდნენ?

- ციხეში ფულზე თამაშზე უარს რომ იტყვი, ეს ძალიან ცუდი მაგალითია სხვა პატიმრებისთვის. არ თამაშობ, ესე იგი, არ მოგაქვს წაგებული და ფული არ შედის ციხეში. ალბათ გახსოვს, ცოტნე ფეხბურთსაც კი არ თამაშობდე ნიძლაზე...მოკლედ, არ ვიცი, შესაძლოა ფერდოსამ მოაწყო ეს მკვლელობა, არ გაუჭირდებოდა...

მიკროავტობუსის მართვას ველარ გავაგრძელებდი და შინისაკენ გავწიე.

ცოტნეს თანაგუნდელები გამახსენდა, დიდი ფეხბურთი ვერ ითამაშეს, თუმცა ჩათქვირული სახითა და წამოზრდილი მუცლით იოლად იცნობდით, თითქოს სელებრითები იყვნენ.

სილამაზე და სიკეთე კი უნდა მოკვდეს, სხვანაირად ამბავი ამბავად არ გამოდგება, სიბრალული არ გაჩნდება.

სახლში რომ მივედი, ერთხელაც მივინდე საკუთარ გამოცდილებას და ხელახლა დავინყე დორიან ნაცრისფერის კითხვა.



მხატვარი: ლალი რიგიშვილი

LASCIATEMI CANTARE

იცხაკ შპეკი ორთოდოქსი ებრაელი იყო უილიამსბერგიდან.

- იცი, რომ დევიდ ძველი ებრაული სახელია?
- დიას, მეფე დავითის ფსალმუნებს ჩემ სამშობლოშიც კითხულობენ ქრისტიანები.
- სად არის შენი სამშობლო?
- საქართველო, შავ ზღვასთან, ადრე ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი რესპუბლიკა ვიყავით.
- ესე იგი, რუსლანდი.

იცხაკთან კამათს აღარ შევყევი, ეს ის ინტერვიუ იყო, რომლის მერეც 93 წლის ორთოდოქსი ებრაელის მომვლელი გავხდი. სამხრეთ ბრუკლინიდან ბევრად უკეთეს ადგილას გადავსახლდი ბევრად უკეთეს ჯამაგირზე.

და პირველი შთაბეჭდილებებიც: უილიამსბერგი, როგორც ცივილიზაცია, ორ ნაწილად გადაიშალა - ქვედა მხარეს მხოლოდ ორთოდოქსი ებრაელები და აფროამერიკელები ცხოვრობენ, ზედა მხარე კი მანჰეტენური სოხოს გაგრძელება - ბოჰემური საზოგადოება, ტრანსები, გოგო გოგოსთან და ბიჭი ბიჭთან მოკოცნავე წყვილები, შავები და ზრდილობიანი თეთრები, ერთი სიტყვით, - ყველა.

მარტოხელა იცხაკი ოცდარვაწართულიანი ბილდინგის ორსაძინებლიან ბინაში ცხოვრობდა მესამე სართულზე.

- სოციალური მუშაკი ვიყავი, მეუღლე ოცი წლის წინ გარდამეცვალა, შვილები არ გვყოლია - საკუთარ თავზე მხოლოდ ეს მითხრა იცხაკმა. ზოგადად, არ უყვარდა ბერვი ლაპარაკი ჩემთან.

დილის საუზმისთვის იცხაკის ნათესავი მოიჩქაროდა, ორი ულუფა რძიანი შვრიის ფაფა და თოხლო კვერცხები მოჰოქდნა. ფაიქი ოცდაათს გადაცილებული იყო, ერთადერთი ახალგაზრდა ორთოდოქსი ებრაელი მდედრი, ვინც ღიმილით მესალმებოდა.

ნამუადღევს კი იცხაკთან ჯეელი ჰესკი მოდიოდა, ლოცვაში ეხმარებოდა და თან რელიგიურ ლექციებს უკითხავდა. მათი ლოცვა მთელი რიტუალია საგანგებო აღკაზმულობითა და თანმიმდევრობით. ლოცვა-ლექცია დაახლოებით ორ საათს გრძელდებოდა და უფლება მქონდა, სახლიდან გავსულიყავი.

ეს ორი საათი აუცილებელი უანგბადი იყო ჩემთვის.

მეზობლებიდან პირველი ნატაშკა გავიცანი, ლოყებჩაცვენილი რუსი.

- თვალზე გეტყობათ, ჩვენებური უნდა იყოთ, სათნო სახე გაქვთ - უაქცენტო ინგლისურით წამოიწყო საუბარი.

- მე ქართველი ვარ.
- მე კი რუსი - უკვე რუსულად მიპასუხა ნატაშკამ და იმის აქეთ სულ რუსულად ვსაუბრობდით.

ნატაშკამ ბევრი საინტერესო მომიყვა ორთოდოქს ებრაელებზე, მათ რელიგიურ წესებზე. შევთანხმდით, რომ შუალამისთვის ისევ შევხდებოდით სადარბაზოში, რათა დომინო პარკში გაგვესიერნა და დავმტკბარიყავით მანჭეტენის ჯადო ხედით.

როგორც კი იცხაკს ლოგინში ჩანოლაში შევეშველე, ყველა ოთახში ჩავაქრე შუქი, ჭერში შეკიდული კამერები ველად დამინახავდნენ, თუ როგორ გავიპარებოდი სახლიდან. რისკი იყო, მაგრამ მე ხომ ნატაშკა მელოდებოდა.

მარტოობისგან გათანგულს გოგოს გვერდით სიარული მსიამოვნებდა. ნატაშკას არყის სუნი კი ამოისდიოდა, მაგრამ მერე რა?! ეს ხომ ნიუ იორკია!

დომინო პარკის ერთ-ერთ სკამზე ჩამოვჯექით, ისთ რივერს და მანჭეტენს მივაშტერდით. წყლის ყურება ნერვებს თრგუნავს, მანჭეტენისა კი საღერლელსა შლის - ასეთი გამოდგა ჩვენი ურთიერთობის პირველი ფურცელი .

ნატაშკა მალევე მომეყუდა, თავი მხარზე დამადო, სანკტ პეტერბურგზე და ბავშვობაზე მელაპარეაკებოდა.

- ათი დოლარი გიდევეს ჯიბეში?

- კი.

- ნასვამი ვარ და მეტის დაღევა აღარ მინდა, მარისხუნანას კი სიამოვნებით მოვწვევდი. სამი ბლოკის გავლა მოგვიწევს, სადარბაზოსთან დამელოდე, მალევე დავბრუნდები და გემრიელად გავაბოლოთ.

უარი ვერ ვუთხარი. სუსხიან საღამოს ქუჩაში ლოდინი მომიწია. ოციოდე წუთის შემდეგ დავურეკე ნატაშკას და არ მიპასუხა. ათი წუთის შემდეგ მეორე ცდაზე წავედი და ისევ იგივე.

მძინარე იცხაკთან გაბრაზებული დავბრუნდი.

ნატაშკა რამდენიმე დღის შემდეგ ვნახე, სანყალი თვალებით შემომხედა.

- ისეთი დამაბოლა, რომ გავითიშე. იმედია წყენას გულში დიდი ხნით არ ჩაიდე.

- ჩათვალე რომ ყველაფერი დავინწყებულა.

- ძალიან მერიდება , მაგრამ სხვა გზა არ მაქვს. სახლში საჭმელი შემოგველია, მამა მწოლიარე ავადმყოფია, დედა უვლის და ვერ მოშორდება, მე კი დროებით უმუშევარი ვარ. იქითა კვირიდან დავინწყებ სამსახურს. შეგიძლია მასესხო ოცი დოლარი? ერთ კვირაში უსიკვდილოდ დაგიბრუნებ.

- კარგი, ჩათვალე რომ კიდევ ერთ შანსს გაძლე - გაუფლიმე და ფულიც გავუწოდე.

მე და ნატაშკა დავმეგობრდით.

- რატომ გგონიათ რუსებს, რომ ქართველები თქვენთან ვართ?

- განა ცოტა ხანი ვიცხოვრეთ ერთად? ხო ხედავ, აქაც კი უცბად დავმეგობრდით.

- რუსეთმა საქართველო დაბომბა...

- ეს პოლიტიკაა, ხალხი რა შუაშია?

- რუსი ხალხი ირჩევს იმას, ვინც საქართველოს ბომბავს.

- ყველაფერი კარგად იქნება. ამერიკამაც დაბომა სერბეთი, მანამდე პანამა, ვიეტნამი, იაპონიას სულაც ატომური ბომბები დაუშინა... მოგწონს ორმაგი სტანდარტები?

- და რატომღა მოდიხართ რუსები ამერიკაში?

- აქ მეტი თავისუფლებაა, აქ მანჰეტენია! ფულიც მეტი იშოვება...

- აქ იმიტომ მოდიხართ, რომ რუსებს არ გაქვთ თანამედროვე მითები.

- რას გულისხმობ?

- ამერიკა ორმაგ სტანდარტებზე კი არა, მითებზე დგას: ჯონ კენედი, მერლინ მონრო, ელვის პრესლი, ჯიმი ჰენდრიქსი... თქვენ კი რა გაქვთ დოსტოევისკის აქეთ?

- ვისოცკი არ გადის თანამედროვე რუსულ მითებში? შუკუნი იცი ვინ იყო?

- ვიცი, მინახავს „ნითელი ძახველი“.

- და იგორ ლეტოვი გაგიგია?

- არა.

- ჰოდა მოუსმინე ლეტოვს, ნაიკითხე მისი ბიოგრაფია და ნახავ, რომ რუსებსაც გვაქვს თანამედროვე მითოლოგია.

ნატაშკამ დროებითი გამარჯვება მოიპოვა. ტელეფონში გაჩრილი ყურსასმენებით დავინყე რუსული პანკ როკის მოსმენა, ლეტოვის მუსიკაც მომეწონა და მისი რალაცნაირი, ტრაგიკული ისტორიაც.

ასე გავიდა ერთი კვირა. ნატაშკამ ფული არ დამიბრუნა და მეც არ შემიხსენებია ვალი.

- როცა დეი ოფი გექნება, ნავიდეთ ბრაიტონ ბიჩზე, გავირუჯოთ და ოკეანეში ვინებივროთ მზის ჩასვლამე - გოგოს თითქოს ასე უნდოდა ვალის დაბრუნება.

ორი დეი ოფი ისე გავხარჯე, ნატაშკამ ორივეჯერ მამის ავადმყოფობა მოიმიზეზა და ბრაიტონ ბიჩზეც ვერ წავედით.

- ძალიან რთულ სიტუაციაში ვარ, გავიჭედე, შემომაშველე რა სამოცი დოლარი. ჩათვალე, რომ ეს თხოვნა დედაჩემისგან, ჩვენი ოჯახისგან მოდის.

- ახლა ჯიბეზე მაგდენი არ მაქვს, რამდენიმე დღეში ვეცდები რომ დაგეხმარო.

გავიდა რამდენიმე დღეც. ნატაშკა მირეკავდა, ზარს არ ვპასუხობდი. ამ გოგოზე ხელი ჩავიქნე.

თვალი სხვას დავადგი.

- მე ქოლინი მქვია. მოგწონვარ?

- ჰოლივუდის ვარსკვლავს გავხარ.

ასე დაიწყო ჩვენი დიალოგი. ქოლინი შავი ქალი იყო ლათინოაფრიკული კურტუმოთი.

გაცნობიდან ორიოდ კვირა იქნებოდა გასული, ქოლინი ერთხელაც რომ გამომელაპარაკა.

- სიგარეტზე სამი დოლარი მაკლდება და შეგიძლია მომცე?



მხატვარი: ლალი რიგიშვილი

სამი დოლარი არ მქონდა და ხუთდოლარიანი ვაჩუქე.

- გამომყევი გროსერიში, თან ვისაუბროთ.

- დრო ბევრი არ მაქვს, დახლოებით ოც წუთში იცხაკთან უნდა დავბრუნდე.

- ათი წუთიც გვეყოფა. ერთი ეგ მითხარი, ნატაშკას აღარ ხვდები?

- აღარ.

- არ არის ცუდი გოგო, უბრალოდ დამოკიდებულია.

- ვერ გავიგე...

- she is addicted - იცი ეს რას ნიშნავს?

- დაახლოებით ვხდები.

- ხო, ჰეროინი და კოკაინი უყვარს.

- შენ რა გიყვარს?

-სექსი! ოც დოლარს თუ გაიმეტებ, შეგიძლია ჩემს სახლში ამოხვიდე, ორალური სექსით დაგატკობ.

რა თქმა უნდა, არ ველოდი ასეთ წინადადებას. ალბათ ამიტომაც, ეგრევე უარი ვტკიცე. გროსერიდან ბილდინგში რომ დავბრუნდით, თბილად დავემშვიდობე და ერთხელაც შევავლე თვალი უკნიდან.

იცხაკს ყოველ საღამოს ეტლით დავატარებდი სინაგოგაში, კვირაში ერთხელ ექიმთან მიმყავდა. ებრაულ შაბათზეც მე და ეტლი ვიყავით მისი ტრანსპორტი. იოლად შევეგუე ორთოდოქსების წესებს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ უკვე გავუშვიანურდი უილიამსბერგს.

თუ გზაში ქოლინი შეგვხვდებოდა, გულიანად გამიღიმებდა, ოღონდაც ეს არი იყო მხოლოდ მეგობრული Hello:

მოდი ჩემთან! ქოლინს ამის თქმა უნდოდა.

სისხამ დილით, სანამ იცხაკი გაიღვიძებდა, ჩოგნით მივემართებოდი სპორტულ მოედანზე, ჩოგბურთს კედელს ვეთამაშებოდი, უკან დაბრუნებული კი ხშირად ვხვდებოდი ქოლინს.

- დღეს შენ მოიგე თუ კედელმა დაგამარცხა?

ქოლინს მხოლოდ კურტუმო როდი ჰქონდა საუცხოო, მისი იუმორი რაღაცნაირად მავსებდა, მარტოობას მიცხრობდა.

- ქოლინ, მომიყევი რამე შენზე..

- მამა ჰაიტიდან ჩამოვიდა აქ, მე ქუინსში დავიბადე. ბებია იტალიელი მყავდა და რამდენიმე სიტყვაც მასწავლა, ცოტა ესპანურიც ვიცი.

ამის მერე ქოლინმა ხელით მანიშნა და მითხრა: andiamo!

შავმა ქალმა საკუთარ ბინაში მიმიპატიჟა.

- ნუ გეშინია, თითო ღერი სიგარეტი მოვნიოთ და მერე დაუბრუნდი იცხაკს. უბრალოდ, მინდა იცოდე, სად ვცხოვრობ, იქნებ როდესმე მოგინდეს ჩემთან მოსვლა.

ქოლინი ოცდამეოთხე სართულზე ცხოვრობდა, სახლის ფანჯრებიდან მან-ჰეტენი თითქოს ხელის განვდენაზე იყო.

მეორე დღეს სწორედ სიტყვებზე მოგვიწინა წასვლა, იცხაკს კარდიოლოგიური გამოკვლევა დასჭირდა. ეტლით ვერ წავიდოდით და მანქანა გამოვიძახეთ. მძღოლის ტრაფარეტზე ეწერა - გენადი ზიგმანტოვიჩი. გაუხარდა რუსულად რომ გამოველაპარაკე. აქეთა გზაზე საცობში მოვეყვით და სხვა რა ჩარა იყო, საუბარი აქეთურ-იქეთურზე გავაბით.

- კარგო ჯგანში მოვხვდი, ჯამაგირზეც ვერ დავიჩივლებ, მაგრამ მაინც საქართველოსკენ, სახლისკენ მიმინევს გული და ალბათ მალე დავტოვებ ამერიკას.

- შენი საქმისა შენ იცი, ისე კი, წასვლას ნუ იჩქარებ თუ მწვანე ბარათი არ გაქვს.

- შენ არ გენატრება სამშობლო?

- მე სამშობლო არ მაქვს.

- როგორ? საიდან ჩამოხვედი ამერიკაში?

- ბელარუსიდან, მაგრამ ეს არ არის ჩემი სამშობლო, ჩემი ადგილი აქ არის და მეტი არსად.

- მესმის რომ ბელარუსში არ გინდა ცხოვრება, მაგრამ ამერიკას ისრაელი არ გირჩევენია?

- არც ისრაელია ჩვენი, ებრაელების სამშობლო. აბა წარმოიდგინე, რაც კი ებრაელები ვართ მიმოფანტული მთელ მსოფლიოში, ყველანი დავეტყვეით პატარა ისრაელში? საერთოდაც, შენი სამშობლო იქ არის, სადაც გაფასებენ და ფულს კარგად გიხდიან. სხვა რამე: ზღვა, მდინარეები, ტყე და ცა ვერ იქნება ადამიანის სამშობლო.

შინ რომ მივედით, ლიფტთან ქოლინი დაგვხვდა. ისევ ისე მომესალმა, როგორც იცოდა.

იცხაკი სახლში ეტლით რომ შევიყვანე, ლაპარაკის ნიათი მოემატა.

- ამ ქვეყანაზე ყველაზე დიდი სიამოვნება სექსია, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ცდუნება ყველაზე დიდი განსაცდელია. როცა ღმერთი წაგიყვანს და მერე დაიწყებ ვედრებას, მაპატიეო, გვიანი იქნება, აღარ გაპატიებს. ახლა კი ლოცვების წიგნი მომიტანე. შენთვის არ არის სავალდებულო თორას კითხვა, მაგრამ თუ რამემ შეგანუხა ან შიშმა აგიტანა, მეფე დავითის ფსალმუნები გიშველის.

როგორც კი იცხაკს ჩაეძინა და სინათლე ყველა ოთახში ჩავაქრე, გარეთ გამოვედი, ეს მეორე გამოპარვა იყო ნატაშკას შემდეგ. სიგარეტის მოწვევა დასრულებული არ მქონდა, ქოლინი რომ მომადგა.

- პატარავ, გაიმეტე ორმოცდაათი დოლარი და ამოდი ჩემთან!

ისე საყვარლად მითხრა ეს baby, რომ ცდუნებას ვეღარ გავუძელი, იცხაკის შეგონება - შეშინებასაც წითელი ხაზი გადავუსვი მე უბედურმა.

ოცდამეოთხე სართულის ერთსაძინებლიან ბინაში რომ ავედით, ორმოცდაათდოლარიანი მაგიდაზე დავდე. ქოლინმა ფული საფულეში გააქანა.

- აქ დამელოდე, ახლავე მოვალ.

მართლაც მალე დაბრუნდა, დატვირთული, ჩანთიდან ექვსბოთლიანი ლუდის შეკვრა და შაშხი ამოალაგა, მერე სიგარეტის კოლოფი და მარიხუანაც დემონსტრაციულად დადო მაგიდაზე. ეს იმას ნიშნავდა, რომ ქოლინმა ორმოცდაათი დოლარი სრულად დახარჯა.

- აბა, შენ რა გეგონა?! ფული იმაში გამოგართვი, რომ ქაღალს ყურადღებით უნდა მოექცე, თანაც ლუდი და მოსანევი ორივეს გაგვისწორდება. მომწონს, როცა მამაკაცი ზრუნავს ჩემზე.

ქოლინი მიტრიალდა და ჯერ შარვალი გაიხადა, ცხადია, განგებ - ტესტოსტერონის დონეს ლუდი, შაშხი და სიგარეტიც წაეხმარა.

- ქოლინ, მინდა რომ იტალიური სახელი შეგარქვა, იმედია, მოგეწონება: *Lasciatemi cantare*.

- რატომ მაინცდამაინც ეს?

- *Lasciatemi cantare* ხომ ასე ითარგმნება: გამიშვით, უნდა ვიმღერო! ჰო-და შენც ასეთი ქალი ხარ: გამიშვით, უნდა ვიკოცნაო! მაცალეთ, უნდა ვიჟი-მაო!

ქოლინი ერთხელაც მომეფერა მაგრად და ჩაეძინა. კრუტუნებდა.

მე კი არ მეძინებოდა. ერთი ბოთლი ლუდი იყო დარჩენილი და ისიც გამოვცალე. მერე მანჰეტენს გადავხედე, მინიერ საოცრებას, უსამშობლოთა სამშობლოს. მანჰეტენზე მეტი მისტიციზმი მომინდა და ისევ ყურსასმენგაჩრილი ტელეფონი მოვიხელთე, ილია ზაქაიძის და როსტომ საგინაშვილის „ჩაკრულო“ ჩაერთე, კოსმოსში რომ გაუშვეს ის, თითქოს გალაკტიკიდან მინდოდა შემეხედა მანჰეტენისთვის გიჟური პოლიფონიით.

მერე ნატაშკა გამახსენდა...ალბათ ლეტოვის მუსიკა იყო მისი სიმღერა.

და რა იყო იცხაკის, ფაიქის და ჰესკის სიმღერა? როცა ამაზე დავფიქრდი, მერეღა ჩამეძინა.

ეკას შურისძიება

ანაფორის გარეშე მამა სპირიდონი სულაც არ ჰგავდა მღვდელს. გრძელი თმითა და წვერით 70-იანი წლების როკ-გიტარისტი გეგონებოდათ.

როცა ცოდვებმა ძალიან შემანუხა, მომინდა მასთან მისვლა და აღსარების ჩაბარება. ყოველი ბინძური თავგადასავლის შემდეგ შინ დაბრუნებულს ჩაძინება მიჭირდა. გათენდეს ხვალინდელი დღე და აუცილებლად მივალ მამოსთან - ბევრჯერ ვუთხარი საკუთარ თავს, თუმცა ვერ მივაფურთხე ეშმაკს.

ცოდვებს მრუშობა აღარ ერქვა, გარყენილობა იყო უფრო ზუსტი სიტყვა. ამასობაში ცოლშვილიან კაცს სხვა ქალი შემეიყვარდა, ბავშვობის შეყვარებულს გადავეყარე და რეტდასხმული დავრჩი. აქეთ გამეხებულე ცოლი, იქით თავგადასავლები და კიდევ ეს ოხერი სიყვარული. უკვე სხვა გზა აღარ მქონდა, მივედი მამა სპირიდონთან.

- რადგან აქ მოხვედი და ყველაფერი მომიყევი, ეს იმას ნიშნავს, რომ ღმერთს უყვარხარ.

- მეც ძალიან მიყვარს იესო ქრისტე, მინდა მის ფეხებთან დავიჩოქო და პატიება ვთხოვო.

-ღმერთი ყველაფერს პატიობს თუ გულწრფელად მოინანიებ. ქრისტე ყოველთვის კართან არის, მთავარია მას ეს კარი გაუღო.

მამა სპირიდონმა დიდი სითბოთი მიმიღო, ის აღარ იყო მხოლოდ მოძღვარი, მას უკვე საკუთარ მეგობრად მივიჩნევდი. ყველაფერი უკეთესობისკენ მიდიოდა, ჭკვიანად ვიქცეოდი, თავგადასავლებს შეველიე, ბავშვობის სიყვარულს კი ოდენ ოცნებებში ვეტრფოდი, ახლოს მაინც არ მიკარებდა.

და რა იყო ეს სიყვარული, რა ფლუიდებით მოდიოდა ჩემთან? რა ინვესს ამ გრძნობას? საკუთარ თავს ვაჯერებდი, რომ ეს ყველაფერი ღმერთისგან მოდიოდა. ცხადია, ეს მარტივი გამოსავალი იყო, თუმცა მაინც მამშვიდებდა.

ჯიუტი ვარ და ჯიუტად მიყვარს ეს გოგო - ალბათ ეს უფრო ახლოს იყო სინამდვილესთან.

რამდენიმე უარი პაემანზე, უზრდელობამდე მისული უხეშობა, - გოგო კაპასი გამოდგა, თუმცა მაინც კატას ვხედავდი მასში. განა ტარიელს ვეფხვი არ აცვია? ვანუგეშებდი საკუთარ თავს.

ნეტავ ეს გოგო ლოგინში მომცა - მაინცადამაინც ასეთი ნატვრა არ მქონია, ეს სულ სხვა კატა იყო, მოსაფერებელიც და საფეტიშოდ გამზადებულიც.

ბავშვობის ოცნებები ტრიუმფით იყო შემოსული გულსა და სულში. ჰოდა, დავნებდი ცდუნებას და ბოლომდე მივენდი მას. არ ვიცოდი, სად მიმაქანებდა ეს ყველაფერი და ბევრს არც ვფიქრობდი ამაზე, რადგან საამო აღმოჩნდა ჟრუანტელი უცნაური გატაცებისა.

ჯერაც ყმანვილი კაცი ვიყავ და სისხლი მიდუღდა, ცოლთან ურთიერთობა აღარ მქონდა, პარტნიორი მჭირდებოდა და გამოჩნდა კიდევ: ეკა კაფანდარა გოგო იყო, ძალიან ქალური და მეგობრული, მალევე ჩამიკოტრიალდა ლოგინში

. ტკობის შემდეგ მკერდზე თავს დამადებდა ხოლმე და გრძელი ფრთხილებით მეფერებოდა მკლავებზე, ვისრუტავდი მის სუნთქვას და ასეთნაირად გრძელდებოდა ნეტარება. მიყვარდა მისი გამხდარი სხეული და კოხტა ძუძუ-მკერდი.

- მხოლოდ ეკასთან ვცუღლუტობ, აქეთ-იქეთ აღარ დავძვრები, ვფიქრობ, გამოსწორების გზაზე ვარ.

-რა თქმა უნდა, ვერ მოგიწონებ ამ საქციელს. რასაც შენ მიყვები, ყველაზე კარგი ამბავი ის არის, რომ ბავშვობის სიყვარული ასე სუფთად გიყვარს. ლოცვა გააგრძელე და ეცადე, შეურიგდე ცოლს.

ლოცვა განყალდა. ეკას ვერ ველოდი. ბავშვობის მზეთუნახავს კი დაბადების დღეზე საჩუქარი მივართვი: პარფიუმერული ნაკრები და შოკოლადები.

ყველა ქალს სიამოვნებს ყურადღება და კარგი საჩუქრები. თანაც საჩუქრის მირთმევა იმის საშუალებაა, რომ ვნახო ეს გოგო, ორი წუთით დაველაპარაკო და რალაც სიტბო წამოვიღო მისგან. იმედიანად ვიყავ: ამხელა ემოციები უშედეგოდ ვერ გაილევა, რალაც მოხდება და კატის ჭირვეულობაც ჩემდა სასარგებლოდ დასრულდება.

ამასობაში ეკასთან უკვე ისეთი სიახლოვე მქონდა, ველარ დავუმალავდი ამ ცალმხრივ სიყვარულს.

- მითხარი სახელი და გვარი და სად ცხოვრობს. თბილისი პატარაა და იქნებ საერთო ნაცნობიც გამოგვიჩნდეს. მოკლედ, ყველანაირად ვეცდები გავიგო, რას ფიქრობს ეს გოგო შენზე - მითხრა ეკამ და გულიც გამითბა.

გავიდა რამდენიმე დღე და ეკამ დამირეკა.

- ეგ შენი მზეთუნახავი ჩემი მეგობრის ახლობელი აღმოჩნდა. შენზე უთქვამს, როგორც მამაკაცი არ მალეღვებს, თუმცა კარგი ადამიანი უნდა იყოს და ამას ვაფასებო.

ეკას მოტანილმა ამბავმა გამახარა, ეს ხომ იმას ნიშნავდა, რომ მზეთუნახავთან რალაც შანსი არსებობდა.

თურმე რა ოქრო გოგოა ეკა. მეფერება, მემეგობრება და სხვა ქალის სიყვარულშიც მითანაგრძნობს. რატომ აკეთებს ამას? რატომ აბიჯებს თავმოყვარეობას? იქნებ მამა სპირიდონმა მითხრას რალაც საინტერესო და ჭკვიანური ამ ყველაფერზე.

- ეკა განსაკუთრებული ადამიანია, კარგი იქნება, თუ მოიყვან ჩემთან. ღმერთს უყვარს რჩეული ხალხი. ვფიქრობ, ეკას ძალიან უყვარხარ, სხვა რა უნდა იყოს? ბოროტად ნუ ისარგებლებ ეკას სიყვარულით, ეს კარგს არაფერს არ მოგიტანს. და კიდევ: ამხელა კაცმა ისიც უნდა იცოდე, რომ ქალს სხვა ქალებზე არ ელაპარაკო.

დამაფიქრა მამა სპირიდონის შეგონებამ, მაგრამ რა ვუყოთ გულს, რომელიც მზეთუნახავისთვის ფეთქავს?

ვაგრძელებდი ეკასათან ურთიერთობას და ბავშვობის სიყვარულზე ოცნებას. ეკა ვაკელი გოგო იყო და ხშირად ვსერიწობდით ვაკის პარკში. მოგვეწონა პლენხანოვზე ბოდილიც, ისეთ თურქულ რესტორანსაც მივაგენით, სადაც არომატულ ჩაის გვასმევენენ თათრული ჭიქებით და დაშაქრულ გოგრასაც ვაყოლებდით.

თავისებურად მეც მიყვარდა ეკა. ბოლომდე დავრწმუნდი, რომ სიყვარული მრავალმხრივი გრძნობაა. აქეთ ეკა, იქით კატა, კიდეც ცოლი, რომელიც ისევ მიყვარს და არა მხოლოდ იმის გამო, რომ ჩემი შვილების დედაა.

მშფოთვარე და განუყრელი იყო ფიქრთა ხროვა.

ამ სამი ქალიდან მხოლოდ ეკა იყო ჩემი ერთგული მეგობარი. ორი სამსახური მქონდა და ერთიდან რომ დამითხოვეს, მაშინაც ეკამ გამამხნევა და ვიგრძენი, თუ რა დიდი ძალა ჰქონია სიტყვას.

ეკას ყველაფერს ვუყვებოდი და ყოველთვის ყურადღებით მისმენდა, რჩევებს მაძლევდა და სწორი გადაწყვეტილების მიღებაში მეხმარებოდა.

- იცი, რატომ არ გაქვს ბევრი ფული?

- არა, თითქოს შრომა არ მეზარება და ყველაფერს სწორად ვაკეთებ, მაგრამ ბევრი არც არაფერი გამომდის.

- წარმატებისთვის ერთადერთი რამ გაკლია - თავხედობა. ეს შენ არ შეგიძლია და ბევრს ნუ იდარდებ ამის გამო. ჩაიზე და დაშაქრულ გოგრაზე ფული ხომ ჯერაც გყოფნის. ახალთახალი BMW-თი კი მაინც ვერ მოხიბლავდი შენს მზეთუნახავს, ის სხვანაირი, ცარიელი გოგოა სენტიმენტების გარეშე. მესმის რომ არ მოსწონხარ, მაგრამ ასე არანორმალურად და სუფთად რომ გიყვარს, ერთხელ მაინც იკოცნაოს შენთან გემრიელად!

- მართალი ხარ, დურუ ხურცილავასავით მიყურებს, ან მეომარი ყივჩაღვით, ოღონდაც გულიდან მაინც ვერ ვიგდებ და სანამ ეს ასეა, რალაცას კიდე ვეცდები.

ახალი წელი ახლოვდებოდა და მზეთუნახავს საახალწო საჩუქრის გარეშე ვერ დავტოვებდი. რამე ორიგინალური, რაც ძალიან გაუხარდება - რამდენიმე დღიანი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, ინტერნეტით მეყიდა ბრენდული საათი. ნივთი ეკასაც მოეწონა.

31 დეკემბერს კატას სადარბაზოსთან ჩავუსაფრდი და საჩუქარიც გადავეცი. ინაზებოდა, სახელდახელოდ, ლამაზ შეფუთულის გამორთმევა არ უნდოდა, უხერხულ მდგომარეობაში მაგდებო. მეორე დღეს მესიჯი მომწერა: საჩუქარი ძალიან ლამაზია, ოღონდ აღარ მინდა, რომ შენ უხდე.

აფორიაქებულმა ეკას ერთხელაც ვთხოვე დახმარება: ვავიგოთ, ახლა რას ფიქრობს მზეთუნახავი ჩემზე.

- ამ ბიჭს მართლა ძალიან გულრწფელად ვუყვარვარ, ვგრძნობ, რომ ამ სიყვარულს ის არასდროს უღალატებს - ასე უთქვამს დედამისითვის და დაქალებისთვის შენზე.

საახალწლოდ დიდებულ ხასიათზე დავდექ. უყურადღებოდ ეკაც არ დამიტოვებია: ჩანთის პატარა, ხელნაკეთი სარკე ვაჩუქე. გაუხარდა, თუმცა კარგად ხვდებოდა, რომ ეს სარკე მზეთუნახავის საათზე გაცილებით იაფი ღირდა. თბილი თვალები სევდიანად შემომანათა.

ფრჩხილების მოსავლელად ეკა მოსაშვილზე, ვაკის ყველაზე იაფიან სალონში დადიოდა. მინდოდა ფული მეჩუქნა და იქ წასულიყო, სადაც მდიდარი კაცების ცოლები და საყვარლები დადიოდნენ. ვერ ვბედავდი ფულის მიცემას, იქნება და ეწყინოს, სხვანაირად გამიგოს, ისედაც გამეტებით ვურტყამ მის თავმოყვარეობას.

ასე იყო თუ ისე, მე და ეკა ერთმანეთს ძალიან მივენებეთ. იქნებ გადამიყვარდეს ბაბუშვობის სიყვარული და ეკას ვთხოვო ცოლობა? მაგრამ ეკა ხომ ვერ არის ასეთივე ლამაზი, ნატიფი და მოვლილი გოგო, ვერ იცმევს ძვირიან ტანსაცმელს და გარემოცვაც ისეთი ჰყავს, რომ ყველა გაჭირვებულია. ასეთი ქალით თავს ვერ მოვიზონებ, არ გამიხარდება ასეთი ცოლი - ეს ფიქრიც ისევე მოურიდებლად შემოიჭრა, როგორც უგულო ქალის სიყვარული.

გადაიარეს საახალწლო დღეებმა და დადგა ჟამი ახალი შტურმისა ბავშვობის სიყვარულზე. ვალენტინობა მოდის და კიდევ რალაც საინტერესო უნდა მოვიფიქრო. ეკასთან თავს დამნაშავედ კი ვგრძნობდი, მაგრამ სილამაზის მზაკვრი ძალა არ მასვენებდა - როგორმე უნდა ავიღო ის ციხე-სიმაგრე, სადაც ბავშვობის სიყვარული მეგულება!

- ტომ ფორდის სათვალე - ვფიქრობ, ეს შოკისმომგვრელი საჩუქარი იქნება.

- კი, მაგრამ ეს გოგო შენ ისე გაგაკოტრებს, რომ ჩაისა და ტკბილ გოგორას ველარ ველირსებით.

ეკა აღარ იცინოდა, უკვე ძალიან სერიოზული ტონით ლაპარაკობდა. გამახსენდა, ერთხელ შიშველი რომ დადგა სარკესთან და მითხრა: ხომ ხედავ, ყველაფერი ლამაზი მაქვს, თმები, მკერდი და ფეხებიც. მერე სიგარეტს მოუკიდა და სამ თუ ოთხ ნაფაზში ფილტრამდე დაიყვანა. მეტი მინდა, მეტი შემიძლია, მეტის ღირსი ვარ - ალბათ ამის თქმა უნდოდა.

და ვინ ვიყავი მე? მამა სპირიოდნის იმედად დარჩენილი, ხელმოცარული, დაბნეული და ამღვრეული კაცი.

- ლოცვების გარდა, დღის განმავლობაში რაც შეიძლება ხშირად გაიმეორე: უფალო იესო ქრისტე, შემინყალე მე.

- მარხვა აუცილებელია? რატომ ჰგონია მრევლს, რომ მწვადის ნაცვლად კომბოსტოს თუ შეჭამს, აუცილებლად ცხონდება?

- ქრისტე გულით უნდა გიყვარდეს, თორემ კომბოსტოსა და მწვადის საკითხი ნაკლებდამნიშვნელოვანია. მთავარია, როგორ შეძლებ ქრისტეს სიყვარულს. თუ ლოცვა გსურს, შედი შენს საუნჯეში, ანუ გულში. სხვანაირად ქრისტეს ვერ შეიყვარებ, ქრისტეს გარეშე კი ადამიანი არაფერია. ნარმოიდგინე, რომ შენი გული ბრძოლის ველია - აქეთ ეშმაკი, იქით ღმერთი. შენ როგორ გგონია, დილით ლოგინიდან რომ ვდგები, ლოცვა არ მეზარება? სწორედაც რომ მეზარება და ასე ხდება ძილის წინაც, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ეს ბრძოლა და თუ მოიგებ, ღმერთი ყველაფერს გაპატიებს. .

- ეკას ასე რომ ვექცევი, ესეც მეპატიება?

- თავი უნდა დაიმდაბლო და როგორმე გამოხვიდე ეგოისტის პოზიდან. დაინყე სახარების კითხვაც, ამაზე კარგს ვერაფერს ნაიკითხავ, დამიჯერე!

- დაგვიჯერებ, ოღონდაც რწმენას მატერიალური საფუძველი სჭირდება. ქრისტეს ავადმყოფი რომ არ განეკურნა და მიცვალებული არ გაეცოცხლებინა, აღიარებდნენ ღმერთად? მართლა სუფთა გულით მიყვარს ბავშვობის სიყვარული და რატომ მოიტანა ამ სიყვარულმა ასეთი გულისტკენა? ღმერთი ხომ ხედავს, რომ ეს სიყვარული წმინდაა.

- ცოლს გული ატკინე, ეკასაც და, ღმერთს რაღას თხოვ? ქრისტე გვასწავ-



მხატვარი: ლალი რიგიშვილი

ლის: მოექცით ადამიანებს ისე, როგორც თქვენ გინდათ რომ მოგექცნენ.

- ყველაფერი კარგად მესმის და საკუთარ დანაშაულსაც ვაღიარებ, მაგრამ მზეთუნახავზე ფიქრი მაინც არ მშორდება, თითქოს სილამაზე სინამდვილეზე მაღლა დგას.

- ალბათ გახსოვს იმ კაცმა რომ გვითხრა, ქართველებო, აირჩიეთ ქრისტეს გზა ან ბარაბას გზაო. და ჩვენ ბარაბა, ანუ კალაშნიკოვები ავირჩიეთ. ამის გამო რაც დაგვემართა, ესეც კარგად ვიცით. ასე რომ, შეცდომებზე ყველამ უნდა ვისწავლოთ.

- რაც ახლა მითხარი, შეგიძლია იგივე თქვა საპატრიარქოში?

- ვუდსტოკის ფესტივალზე ნამყოფი არ ვარ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თავისუფლების ფასი არ ვიცი. ქრისტეც იქ არის, სადაც სიკეთე და თავგანწირვაა, ქრისტე ყველა ადამიანშია, მთავარაია, არ უნდა შერცხვე ბრძოლის ველზე. თუ საკუთარ თავს ქრისტიანად მიიჩნევ, უნდა ეცადო, რომ ქრისტეს დაემსგავსო.

- თუ ადამიანში დვრიტა ძალიან ბოროტია, მაშინ რა ხდება? მგონია, რომ მზეთუნახავის შემთხვევაში ზუსტად ასეა საქმე.

- ყველა კითხვაზე პასუხი არ მაქვს, ამიტომაც მიენდე უფალს.

ჯერაც ზამთარი იყო, მე კი გალაკტიონის სტრიქონი ამეკვიატა და მწუხარე ვიყავი ვით შემოდგომა, საკუთარი თავი მეფე ღირი მეგონა და თითქოს მომწონდა კიდეც ასეთი მდგომარეობა.

ცალმხრივ სიყვარულს ვერა და ვერ ველოდი.

გულის ჩქროლვითა და ფორიაქით ჩაირა მზეთუნახავისთვის მესამე საჩუქრის მირთმევამ. ცხადია, ისევ მინდოდა, რომ ეკას გაეგო, რა შედეგი მოიტანა მზის სათვალემ, მაგრამ...

- თურქეთში უნდა წავიდე სამუშაოდ. თვეში ოთხასი დოლარი მექნება, ბინა და კვება უფასო, ანტალიის ერთ-ერთ სასტუმროში მთავაზობენ სამსახურს.

მოულოდნელი ამბავი მითხრა, გადავხევიე, მაგრამ ჩავიკარი გულში, მზეთუნახავზე ველარაფერს ვეტყოდი. ეკა თბილისიდან ისე წავიდა, წასვლის დღე არც კი გამაგებინა.

მარტოლა ვსეირნობდი ვაკის პარკში, ჩაისთან და გოგრასთანაც ეულად დავრჩი. მზეთუნახავს ველარც კი ვურეკავდი, ჩემი ნომერი დაბლოკა, სოციალური ქსელიდანაც ამომშანთა. საიდან ამდენი სისასტიკე? არ შეეუყვარდი, მაგრამ ამხელა სიყვარულმა ნუთუ ოდნავ მაინც არ გაუთბო გული?

ისევ მამა სპირიდონი, ისევ ლოცვა და მეტანიები.

რამდენიმე თვეში, ალბათ უფრო დაღლილობის გამო, ცოლთან შერიგება ვცადე და თითქოს სქმეს კარგი პირი გამოუჩნდა, სახეც დამენმინდა, გული საგულეს ჩადგა, ახალი თავგადასავლების სურვილიც მიმქრალ ვარსკვლავს დაემსგავსა.

ზაფხული იწურებოდა, ეკამ რომ დამირეკა.

- ცოტა ხნით ჩამოვედი თურქეთიდან, ათიოდე დღეში ისევ უნდა დავუბრუნდე სამსახურს. თუ სურვილი გაქვს, ერთხელაც გავისეირნოთ პლენხანოვზე.

ძალიან გამიხარდა ეკას ჩამოსვლა. დაბრუნდა და დამირეკა, ოღონდ დამიბრუნდება კი? თითქოს გამოსწორების გზაზე ვიყავ, განზე აღარ გავდიოდი, მაგრამ ეკას ჩამოსვლა ისევ უნინდელი მდგომარეობისკენ მიმაქანებდა.

ჩაი და დაშაქრული გოგრაც უნინდელივით მეგემრიელა. მერე გამპიზრზე გავისეირნეთ, პარფიუმერულ მაღაზიაშიც შევიარეთ.

- აი, ეს არის ჩემი საყვარელი სუნამო, ახლა ფასდაკლებაა, მაგრამ მაინც ვერ ვიყიდი, ალბათ მომდევნო ჩამოსვლაზე გავიმეტებ ფულს , ჯერ ბანკის ვალები უნდა დავფარო.

საფულე და ჯიბეები მოვიჩხრიკე, ბარათზე დარჩენილ თანხას ქეშიც მივიმატე და როგორღაც შევაკონინე ოთხასი ლარი.

- რა საყვარელი ხარ ეს სუნამო რომ მიყიდე - მითხრა მანქანაში ეკამ და ლოყაზე მაკოცა. მე ტუჩებში დავუპირე კოცნა , მაგრამ თავი შეატრიალა.

- სახლში უნდა დავბრუნდე, ჩემი და მელოდება. სოფელში მივდივართ ხვალ დილით, ბებია უნდა მოვინახულოთ და ადრე უნდა ავდგე. ზეგ ჩამოვალ და მერე მოვეფეროთ ერთმანეთს.

ორმა დღემ ძნელად გადაიარა, ეკაზე ფიქრი არ მასვენებდა. მესამე დღეს გამახსენდა, რომ ეკას დის ნომერიც მქონდა.

- ეკა გუშინნინ გადაფრინდა თურქეთში, საახალწლოდ ისევ ჩამოვა.

მამა სპირიდონი, როგორც ყოველთვის, ყურადღებით მისმენდა.

- იცი, ადამიანებს ზოგადად უყვართ გასამება, ეს რალაცნაირი, საყვარელი მისტიციზმია მათთვის. ეკამაც სამჯერ გაგაბითურაა: პარფიუმერული ნაკრების და შოკოლადის, ბრენდული საათის და ბოლოს მისი საყვარელი სუნამოს დროს, როცა დაგანამუსა და ჯიბეები ამოიბერტყე. ტომ ფორდის სათვალეზე კი უბრალოდ, დაგინდო. ნუ განიკითხავ, მიხედე ცოლ-შვილს. ეკა და მზეთუნახავი - ორი მარცხია და ორივეს მოუხდება ცნობილი როკ-ბალადა: She has gone, ooh my baby . ეს რა თქმა უნდა, ხუმრობით, ისე კი, ქრისტიანობა ნიშნავს ცვლილებას. ქრისტემ სამყარო შეცვალა და გვითხრა, რომ ყოველთვის არის ცვლილების შანსი. მიხარია, რომ ქრისტეს კიდევ უფრო უახლოვდები.

- და შურსძიება რატომ იყო ასე აუცილებელი? შეეძლო ეთქვა, კარგად იყავიო და მორჩა...

- ეკა ქალია.

- ანუ ქალი ღმერთის განსაკუთრებული ექპერიმენტია?

- უბრალოდ, ქალი განსხვავდება კაცისგან, სხვანაირად მოქმედებს, სხვანაირად ტკივა და განიცდის. .

- და კაცის განცდები ამ დროს არავის არ აინტერესებს...

- ცოლი, ეკა და მზეთუნახავი - გინდოდა, რომ შენს ორბიტაზე ეტრიალა სამ ქალს. ეს ამბავი თავიდანვე განწირული იყო მარცხისთვის. ამ სამი ქალიდან ყველაზე მიმტვევებელი ჯვარდანერილი ცოლი გამოდგა, რადგან თქვენი კავშირი ზემოდან არის ბეჭედდასმული. გული არ უნდა გაიტეხო, რადგან ქალებთან წარუმატებლობის შემდეგ გამარჯვებისკენ მიდიხარ: ქრისტეს უმეგობრდები.

- მზეთუნახავის საქციელს მაინც არ აქვს გამართლება, იოტისხელა სითბოც კი არ გამოიმეტა.

- ადამიანებს ადამიანურად რომ მოექცევი, ამას არ გაპატიებენ, გაგანადგურებენ, უკეთეს შემთხვევაში სულელად ან გიჟად ჩაგთვლიან. ისინი, ვინც ადამიანობას და სიკეთეს დაგიფასებენ, დიდ უმცირესობაში არიან. გახსოვს, ეკამ რომ გითხრა, თავხედობა გაკლიაო? ხშირად ასეა ქალთან ურთიერთობაშიც, რომანტიკა და სუფთა სიყვარული საპირისპირო შედეგს იძლევა. უნდა გახსოვდეს, რომ დედამიწაზე მოსიარულე ქრისტეს ყველა უყვარდა და ადამიანებმა ის ჯვარზე გააკრეს. იმ შენს მზეთუნახავს ჰგონია, რომ მართალია, არანაირი იმედი არ მოგცა და მკაცრადაც დაგემშვიდობა. შენ კი გგონია, რომ შენ ხარ მართალი - მიეცი ყველაზე ძვირფასი და სისასტიკის გარდა ვერაფერი ვერ მიიღე. ხომ შეიძლება, რომ ორივე მხარე იყოს მართალი? ფიქრობ, სწორედ ეს არის დიდი ქრისტიანული და ამავე დროს ევროპული იდეაც - რაც არ უნდა მოხდეს, ადამიანის სახე არ უნდა დავკარგოთ და პატივი ვცეთ სხვის განცდებს, სხვის სიმართლეს.

- ცნობისმოყვარეობა ცოდვაა?

- არა, ოღონდაც ყველაფერში ზომიერებაა საჭირო.

- მაშინ აღარ გკითხავ, თუ რატომ იყო აუცილებელი ქრისტეს ჯვარზე გაკვრა და წამება, როცა მამა ღმერთი ყველაფერს ზემოდან ხედავდა.

- შეგვიძლია სხვა თემებზეც ვისაუბროთ, სულ მღვდელი ხომ არ ვიყავი?! 70-იან წლებში, ინტერნეტი აბა, როგორ გვექნებოდა და როცა სოფელში ჩავდიოდით, ღამით, დაკორძილ ხეებთან, კოცონთან ვიკრიბებოდით გოგო-ბიჭები და როკ-მუსიკაზე ვსაუბროდით. გემრიელი დრო იყო.

- ზაფხულის არდადეგებზე მეც ჩავდიოდი ბებიასთან, ახლაც კარგად მახსოვს სოფლის ბნელ შუკაში საკოცნელად მოხელთებული გოგოები.

- მეც ბევრი რამ მახსოვს, მეც მყავდა ბავშვობის შეყვარებული.

- ისიც ძალიან ღამაში იყო?

- კი, ყმანვილქალობაშიც შეუღლებავი, მტრედის ტერფივით წითელი ტუჩები ჰქონდა.

სხვანაირი ცხოვრება კი დავინყე, ოღონდაც იყო რალაც, რაც არ მასვენებდა: მაინც ვერ ვხვდებოდი, რას განვიცდიდი ეკას მიმართ. სეირნობა ვაკის პარკში, ჩაი და გოგრა, მუსაიფი...ალბათ ეს უფრო მაღალი კატეგორია იყო, ვიდრე გემრიელი სექსი და, თუ ეს მართლაც ასეა, ვინ იყო ეკა ჩემთვის?

ვერ ვივინყებდი ეკას და მის ხელმეორედ გამოჩენასაც, როცა სუნამო მაყიდინა და ლოყაზე მაკოცა. ჯერ ქრისტიანული განცდა დამეუფლა: გული რომ ვატკინე, რალაცით მსურდა დანაშაულის გამოსყიდვა და უბრალოდ, გამეხარებინა საჩუქრით, მაგრამ ლოყაზე კოცნა არ იყო მეგობრული ამბორი, ეს ეკამ ქალური ვნებით გააკეთა და ავფორიაქდი სასიზღრობებიდან გამოსული და დამშვიდებული კაცი. ეკა ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი გახდა, ვიდრე ოდესმე, ფსაეულობათა საკუთარ სისტემაში სულ სხვა საფეხურზე ავიყვანე და სწორედ ამ დროს მაგვმა ქალური შურისძიება, ზუსტი დრო და ადგილი შემირჩია.

იმდენად ვიყავი მინდობილი პირად ინსტიქტებსა და სურვილებს, სულ არ მინტერესებდა სხვისი განცდები. ეკას შურისძიებამდე ამაზე ფიქრი არ მიყვარდა.

ახლა კი მივხვდი, რომ მხოლოდ მამა სპირიდონთან გულახდილობა არ იყო საკმარისი და რომ სინანულისა და სიმდაბლის გარეშე არაფერი არ შეიცვლებოდა.

მიდრეკილი ვიყავი იმისკენ, რომ ყველა ქალი რალაც სქემაში მომექცია. რისი ბრალი იყო ეს? აღზრდა, გარემო, სუბკულტურა, მენტალობა- რას დავაბრალო?

და რატომ დავუბრუნდი ცოლს ამ ყველაფრის შემდეგ? ისიც ხომ ჩემსავით დამარცხებული აღმოჩნდა. მამა სპირიდონთან საუბრებმა შედეგი გამოიღო, ეკა წავიდა ჩემგან თუ უბრალოდ, დავიღალე თავგადასავლებით და მაგიტომ?

და მზეთუნახავი? ვცდილობ, აღარ ვიფიქრო მასზე, მაგრამ ეს ხომ ჩემს დიდ სურვილებს ანადგურებს. ამ ქალის სიყვარული ბავშვობიდან, ჯადოსნური წლებიდან იყო გამოთუქებული.

სიყვარული თურმე შლეგი სწრაფვა ყოფილა უკვდავებისკენ, რადგან სანამ გიყვარს, არ გინდა რომ ეს ამბავი როდესმე დასრულდეს, ოღონდაც ადამიანს არ აინტერესებს ვის უყვარს, ვერ აფასებს ასეთ სიყვარულს და მხოლოდ ის აინტერესებს, თუ ვინ უყვარს. ამიტომაც ვერ ემსგავსება ქრისტეს.

და როცა ერთხელაც გავენდე მამა სპირიდონს, ჯიქურ მითხრა:

- ალბათ ძალიან გიყვარს ქუინი და ბოჰემური რაფსოდია. ჰოდა, ასე გვაკეთოთ: გავატაროთ ღამე ოპერაში.

- როგორ?

- კვირას, წირვის შემდეგ ჯერ სახლში წადი და დაისვენე, მერე კი მოჰკიდე შენს ცოლს ხელი და მოდი თუ ოპერაში, ტურანდოტის პრემიერაა, მე და ჩემი მეუღლე მივდივართ, კიდევ ორი ბილეთი მაქვს თქვენთვის, პირველი იარუსზე დავსხდებით, ბინოკლი არ დაგვჭირდება.

- იხარე მამამო, აუცილებლად მოვალთ.

- არსად ისე არ მღერიან, როგორც არაჩვეულებრივ იტალიურ ოპერებში. ტრავიატას სადღეგრძელო, ჰერცოგის არია...ტურანდოტში კი ყველაფერს Nessun dorma აგვირგვინებს. ყოველთვის უნდა გახსოვდეს, რომ გამარჯვებისთვის საუკეთესო გადაწყვეტილება ქრისტიანობაა და მიხარია, რომ ამ გზაზე დგახარ.

All'alba vincero!

Vincero, vincero!

ეს აუცილებლად უნდა მოისმინო! ხელოვნების ერთ-ერთი დანიშნულებაც ხომ ის არის, რომ არ დანებდე და დატკბე იმით, რასაც ასე უხვად გვაძლევს ღმერთი. დამიჯერე, მალე გამოხვალ მძიმე ისტორიების ოხერი მორევიდან.

- ელი, ელი, ღამა საბაქთან?

- აღარ არის საჭირო ამის თქმა, ტურანდოტის შემდეგ ჩემთან წავიდეთ, საუკეთესო უსახელაური მაქვს და ვახშამთან გვესიამოვნება, რამეთუ ღვინო ახარებს გულსა კაცისასა.

იმ ღამით ზღვის ლივლივი და ციდან მეტეორის ვარდნა მესიზმრებოდა, - ასეთი იყო ჩემი ხეტიალის დეკორაცია, ჩემი სულის მოგზაურობა უღაბურ ადგილებში.

გამთენიისას კი გამარჯვების ხასიათზე ვიყავ და საკუთარ თავს შემოვუძახე: დაუდექ წუთისოფელსა!

ბუდუიას ღამე

ბედნიერებაა სასწაულის ხილვა,
ბედნიერებაა ოცნება.
ედგარ პო

ბუდუიამ ვლადიკავკაზში წასვლა გადაწყვიტა. საშობაოდ გოჭები გაყიდა, დეკუელიც ზედ დააკლა, ნავაჭრი დანაზოგს მიუმბატა და ლარსისკენ გასწია.

საზღვრის კვეთაში ჯარის მეგობარი ოსი დაეხმარა. რამდენიმე წელი ელოდა ამ ყველაფერს აბაშელი ბუდუია, ხუთი ათასი დოლარით შევიდა დიდი რუსეთის პერიფერიაში და იმავ მეგობრის მეგ ზურობით ცხენების ბაზრობაზე აღმოჩნდა.

ყაბარდოული ულაცი ბევრი არ ჰყოლიათ გამოყვანილი გასაყიდად. ამ ჯიშზე მოთხოვნა ჩრდილოეთ კავკასიაშიც დიდი ყოფილა. ოს მეგობარს თემური ერქვა, ბაკურიანიდან გადახვენილიყო ვლადიკავკაზში. სწორედ თემურის და მისი ნაცნობების იმედად იყო ბუდუია, ემანდ ყაბარდოული ულაცის ნაცვლად სხვა ცხენი არ შემომაჩერონო.

კობტა, სწრაფი, ყველგანმავალი, ყინვისა და ხვატის გამძლე - ასეთია ყაბარდოული ცხენი და ამიტომაც იყო ბუდუია წასული ცხრა მთას იქით. ორდღიანი ჭოჭმანის შემდეგ აარჩია აბაშელმა ყაბარდოული ჯიშისთვის იშვიათი ფერის კვიცი - მუგუზალივით შავი.

აბაშაში, სოფელ ნორიოში ცხოვრობდა ბუდუია. ცოლი სახადით გარდაეცვალა და სამი ქალიშვილი დარჩა. მეორედ აღარ დაქორწინდა კაცი, დედინაცვლის გამოჩენა ბავშვების ლალატად მიაჩნდა.

გოგოებს დიდად გაუხარდათ კვიცის მოყვანა. თავლა წინასწარ ჰქონდათ გამზადებული. ბუდუიას ბავშვობის აქეთ საკუთარი ცხენი არ ჰყოლია და ყაბარდოულ კვიცს თავს ევლებოდა ოთხი სული.

ბუდუია სანაქებო მამა იყო, ოჯახს მარჯვედ უძღვებოდა. საქონელი, ღორები, ქათამ-ინდაურები და სიმინდის ყანა - ბარაქას დიდი ჯაფა სჭირდებოდა. ახლა კიდევ ცხენი, მზისა და მთვარის შუქზე მოლაპლაპე ბედაური, რომელმაც ახალი სიხარული შეიტანა ოჯახში.

ბუდუიამ კვიცს კინტო შეარქვა. მისი წარმოდგენით, თბილისელი კინტო ამ კვიცივით ცქვიტი იყო და ასეთივე შეფერილობის სამოსი ეცვა.

კინტოს ორი წელი რომ შეუსრულდა, ბუდუიამ გახედნა და უნაგირი დაადგა. ულაცი ურჩი გამოდგა, ფაშატებისკენ იწვედა, ვეტერინარმა დაკოდვა ურჩია, თუმცა ბუდუიამ არ დაუჯერა და ნელ-ნელა თვინიერ ცხენად აქცია საყვარელი კინტო.

მაღე მთელ სამეგრელოში გაუვარდა სახელი კინტოს. აბაშის და ზუგდიდის დოღში უბადლო გამოდგა. ბუდუია ჩია, გამხდარი კაცი იყო და ასეთი შოკეიც ერთიორად ზრდიდა დოღში გამარჯვების შანსს.



მხატვარი: ლალი რიგიშვილი

რბოლის შემდეგ ბუდუია ერთი კვირა არ ადგამდა უნაგირს კინტოს, ცხენი დოღზე ბოლომდე იწურება და უნდა დასივენოსო. თივის გარდა ხმელა პურსა და ნატეხ შაქარს აჭმევდა ბედაურს, შემოდგომაზე კი ხილითა და სტაფილოთი ანებივრებდა.

მეზობელ სოფელში საქეიფოდ რომ წავიდოდა ბუდუია, კარგად გამოთვრებოდა და შინ კინტოს მიჰყავდა. უნაგირზე შემჯდარი მთვრალი კაცი საითაც გადაიხრებოდა, ცხენიც იქით გაიწევდა და პატრონს გადმოვარდნის გასაქანს არ აძლევდა. კინტო ჭკვიანი გამოდგა. ბუდუიასაც ძალიან უყვარდა ის. მეზობლებმა კი არაერთხელ შეამჩნიეს, როგორ ელაპარაკებოდა ხოლმე პატრონი ცხენს.

- ცოლი როდის მოგყავს?

ეს იყო მეზობლებისგან ყველაზე ხშირად დასმული კითხვა, რაზეც ბუდუიას ერთი პასუხი ჰქონდა: თბილი ღიმილი და მხრების აჩეჩვა.

ერთმა მეზობელმა კი მიუყურადა ბუდუიას საუბარს კინტოსთან. პატრონს ცხენისთვის თურმე ასეთი რამ უთქვამს: თავგანწირვის გარეშე შვილების სიყვარული არ არსებობს!

სიმინდი, ყველი, კვერცხი და ხორცი გადამყიდველებს გაჰქონდათ ნორი-ოდან, თუმცა ზოგჯერ ბუდუია თვითონ ეზიდებოდა გასაყიდ სანოვაგეს ზუგდიდში ან ფოთში. ეს აუცილებელი მოგზაურობა იყო გულის გადასაყო-ლებლად. ზაფხულობით უფრო ფოთისკენ მიუწევდა გული, შეივლიდა ხოლმე მალთაყვამი, რათა თვალი შეეველო მზემოკიდებული ქალაქელი ქა-ლებისთვის. მერე ფიქრიანად გაჰყურებდა ზღვას და ოცნებობდა ამერიკა-ზე.

თუ გურული მხედრები ფოთიდან ნავიდნენ ჩიკაგოში, მე რატომ ვერ უნდა მოვახერხო პენსილვანიაში ჩასვლა?!

და რატომ მაინცდამაინც პენსილვანია? ბუდუიას გაგონილი ჰქონდა, რომ ამერიკის ამ კუთხეში ამიშები ცხოვრობდნენ, ცხენისა და სოფლის ცხოვრე-ბის მოყვარული ხალხი. აბაშელმა კაცმა ბევრი რამ არ იცოდა პენსილვანიელ კონსერვატორებზე, თუმცა ძაან აინტერესებდა ასეთი ცხოვრება: არანაირი ელექტრონი, ტრაქტორი და მანქანა, მხოლოდ ცხენი და ნატურალური საკვე-ბი. ბუდუიამ არ იცოდა, რომ ამიში ქალები მხოლოდ გრძელ კაბას ატარებდ-ნენ გრძელი სახელოებით, სამაგიეროდ იცოდა, რომ ცხენი ამიშელი კაცის განუყრელი მეგობარი იყო და რომ პენსილვანიაში ცხენისა და ადამიანის ერ-თობა განსაკუთრებული ამბავი იყო.

სოფლის ნობათს ბაზრობაზე გავყიდი და მდიდარი ამერიკელები კარგადაც გადაიხდიან, კინტოს გარდა სხვა ცხენიც მეყოლება ეტლისთვის, კიდევ ერთი მინის დასამუშავებლად და შეშის მოსაზიდად. ყოველ საღამოს სახლში ბუ-ხარს დავანთებ და შვილებთან ვივახშმებ, ზოგჯერ ნანადირევსაც მივირთ-მევთ, პენსილვანია ხომ სავსეა შვლითა და დათვით. პენსილვანიელი ამიშებისთვის განათლება სულაც არ არის საჭირო, რომ შეძლებულად იცხოვ-რონ. ეს ის ადგილია, სადაც მე და ჩემი შვილები გავილაღებდით.

პენსილვანია ჩემი ოცნებაა!

ისე როგორ უნდა მოვკვდე, რომ ამიშებთან ფეხი არ დავდგა და არ გავიც-ნო ეს უცნაური ხალხი?!

კინტოს მერე ასეთი იყო ბუდუიას ფიქრები ყოველ ღამით, როცა ერთ ბა-ლიშს უბეში ამოიდებდა და მეორეზე თავს დადებდა.

ბუდუია დიდი მეზღაპრე იყო და ალბათ ამიტომაც შექმნა ოცნება პენსილ-ვანიაზე. სახლში პატარა ბიბლიოთეკა ჰქონდა, მეტწილად ზღაპრები, ოსური და ინდური, ქართული და რუსული, ძმები გრიმები და შარლ პერო, ჰანს კრის-ტიან ანდერსენი და ასტრიდ ლინდგრენი...სანამ შვილებს ჩაანვენდა ლოგინ-ში, თითქმის ყოველ ღამით ნაუკითხავდა ხოლმე ზღაპარს. იყო ზღაპრებიც, რომელსაც თვითონ იგონებდა ძველი, უკვე ცნობილი მოტივებისგან.

მოსაყოლი ნამდვილი ამბავიც ჰქონდა, ზღაპრის მსგავსი. თურმე ერთხელ, ზამთარში, ბუდუიას მამას გვიან მოუწია სხვა სოფლიდან შინ დაბრუნება. უმ-თვარო ღამეში გზას ძლივს იკვლევდა კაცი, როცა ნადირის ფაჩუნი შემოეს-მა. ტურას და კვერნას კარგად არჩევდა ბუდუიას მამა, გამოცდილი მონადირე, ვინც იმ ღამით უთოფოდ გამოვიდა გარეთ. ხელჯოხის იმედზე იყო, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ ამით ვერ გადარჩებოდა - ნადირი ჯერ ღრენით ამოიც-

ნო, მერე კი კაცის წინ მგელი გამოიძურნა. ბუდიას მამამ ჯოხი გადააგდო და მხეცს ამით ნიათი მოემატა. ისკუპა თუ არა მგელმა მისკენ, კაცმა ლონიერი მუშტი ხახაში აძგერა ნადირს, სასუნთქი გზა გადაუკეტა, რაც ჯანი ჰქონდა, ჩასჩრა ტორი სასულეში და გაგუდა. სანამ ნორიოში არ ჩადგა ფეხი, მუშტი არ ამოულია მხეცის ხორხიდან და სოფელმა გასაოცარი, ჯერ არნახული რამ იხილა. მგლის კბილებით დასვრეტილი, სისხლიანი მარჯვენა სოფლის ექიმმა არყით დაუმუშავა და შეუხვია, მერე დღეს კი ანტირაბიულ აცრებზე გაუშვა ფოთში, მგელი უთუოდ ცოფიანი იქნებოდაო.

იმ დღიდან მოყოლებული, ბუდიას ოჯახი განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა აბაშაში. სტუმარიც ხშირი ჰყოლიათ ხის სახლის მეორე სართულზე, ბუხრიან ოთახში. დაბალი მაგიდა, სამფეხა სკამები, ღომი და იხვის ხარჩო იყო ღვინის საძმო. ბუხრის თავზე ბუდიას მამას მოკლე ჭალარანვერიანი ჰემინგუეის სურათი ჩამოეკიდა და სოფლის კაცებს ეუბნებოდა, პაპაჩემიაო. სტუმრებიც აქებდნენ და ადღეგრძელებდნენ ბუდიას წინაპარს, ეს რა სათნო და წარმოსადეგი კაცი ყოფილაო. ჰემინგუეის და პაპის ამბავი მამის გარდაცვალების შემდეგ გათქვა ბუდიამ, სალალობოდ კი კარგა ხანს იყო შემორჩენილი.

* * *

კინტომ ცხოვრება გაუხალისა ბუდიას, ჯაფაც შეუმსუბუქა, მაგრამ რაც დრო გადიოდა, მუშაობის დროს უფრო და უფრო მალე იღლებოდა ოჯახის თავი. ალბათ უქალობის, სანთლის არყის და ბევრი თამბაქოს ბრალია, - ასე ეგონა ყაბარდოული ულაყის პატრონს.

ბუდიას ერთი და ჰყავდა, ისიც დაქვრივებული. ელეანორა - საყვარელი მამიდა, ძმასა და ძმისშვილებს ყველანაირად გვერდში ედგა. ბავშვების აღზრდა, განათლება და ჩაცმა-დახურვა, - ნორა იყო ამ ყველაფრის თავი, მეურნე ქალი, დაკვირვებული და ყურდლებიანი. შეამჩნია რა ბუდიას ჩივილები, მყის დაჟინებით ურჩია:

- აუცილებლად უნდა ეჩვენო ექიმს!
- ალბათ აბასთუმანში მომიწევს წასვლა ფილტვების გასანიავებლად.
- ჯერ სენაკში წადი, სამეგრელოში იქ არის საუკეთესო კლინიკა.
- ხვალ მეზობელ სოფელში ვარ დაპატიჟებული ნათლობაზე, თანაც მამაჩვენის დაბადების დღეა და აუცილებლად უნდა გავიდე საფლავზე, სანთელს დავუნთებ, მეორე დღეს კი წავალ სენაკში.

კარგი სუფრა გაეშალათ ნათლობაზე, თუმცა ბუდიას გული დიდად არ უჩერდებოდა და მალევე გაეცალა ღვინს, მამის საფლავზე ეჩქარებოდა.

შუალამით მიადგა სასაფლაოს, სავსე მთვარე უნათებდა გზას. მამის საფლავს რომ მიუახლოვდა, რალაცნაირი, ტკბილი საუბარი შემოესმა.

- ვინ უნდა იყოს? ალბათ ახლომახლო საფლავზე შეიკრიბნენ გარდაცვლილის ჭირისუფლები ჭიქის ასანევად - ასე ეგონა ბუდიას და როცა მამის საფლავს მიადგა, მაგიდასთან შემომჯდარი ხუთი კაცი იხილა, ხუთივეს თეთრი პერანგი ეცვა.

- შვილო, აქ რამ მიგიყვანა ასეთ დროს?

გაოცებული ბუღუია ცხადში ხედავდა და უსმენდა მამამისს. კარგად ახსოვდა, რომ ეს თეთრი პერანგი სწორედ მან ჩააცვა მამას როცა კუბოში ასვენებდა.

- მყუდროება დაგვირღვიე და სჯობს, შინ დაბრუნდე. შენთვის ჯერ ადრეა ჩვენთან მოსვლა.

ბუღუიამ ხმის ამოღება ვერ გაბედა, უნდოდა გადახვეოდა მამას, მაგრამ მიხვდა, რომ ეს შეუძლებელი იყო, მამას არ უნდოდა ამ შეხვედრის ასეთი დასასრული.

ბედნიერი და აფორიაქებული გამობრუნდა უკან, ჩაეხუტა კინტოს და შინისკენ გასწია, ოღონდაც წინათგრძნოგა არ ასვენებდა, ეს ღამე ასე ვერ დამთავრდებოდა.

ბუღუას გვერდით ტაბალუები ცხოვრობდნენ და სანამ საკუთარი ეზოს ქიმკარს შეაღებდა, გაჰხედა მეზობლის სახლის დამრეც სახურავს, რადგან აქაც საუბარი შემოესმა ტკბილი და უცნაური.

- ამ ოჯახში დღეს ბავშვი დაიბადება და ნინოს დაარქმევენ. ლამაზი გოგო იქნება და სიყვარულით გათხოვდება, ღმერთი ორ შვილს აჩუქებს, უზრუნველად, ბედნიერად იცხოვრებს, ოღონდაც 53 წლისა გარდაიცვლება ძუძუს კიბოთი. მანამდე კი ჩვენ დავიცავთ მას ყოველგვარი ავი თვალისგან.

გედის ფრთები და ფითქინა, ბავშვური სახე ჰქონდა ორივე ანგელოზს. უმალ გაფრინდნენ, ალბათ სხვისი ბედისწერის შესადგენად. ეს ყველაფერიც ცხადში ნახა ბუღუიამ.

იმ ღამით თვალი ვეღარ მოხუჭა კინტოს პატრონმა.

- მოვა დრო და ამ ორ ამბავსაც ზღაპრად მოვუყვები შვილებს. არ არსებობს ზღაპარი იმაზე კარგი, ვიდრე ის, რომელსაც ცხოვრება ქმნის - აკი დიდი ხნით ადრე გვითხრა ცნობილმა მეზღაპრემ.

დილით ტაბალუებს შეუარა ბუღუიამ. უმშობიარებია რძალს, თოფიც იმად არ უსვრიათ, რომ გოგო უჩუქნია ღმერთს. სირჩა არყით დალოცა ბუღუიამ ახალშობილი და შეკაზმული კინტოთი გაუყვა გზას სენაკისას.

კომპიუტერული ტომოგრაფიის შემდეგ ექიმისთვის ჩვეული გულგრილობით საუბრობდა რადიოლოგი.

- ფილტვის კიბოს მეოთხე სტადიაა, მეტასტაზები უკვე ხერხემალზე გადასული, თუ იმკურნალბთ, დაახლოებით წელიწადნახევარს იცოცხლებთ.

- თუ არ ვიმკურნალბ?

- ექვსი თვე იქნება მაქსიმუმი.

კლინიკა რომ დატოვა, ატირდა კაცი, კინტოს ჩაეხუტა და ცრემლით დაუსველა ფაფარი.

- დედა ისე მოუკვდათ, არც კი ახსოვთ, ახლა მამაც გამოეცლებათ. რატომ ვართ ასეთი უბედურები მე და ჩემი შვილები? მეც არ მახსოვს დედა, ორი თვის ვიყავი, როცა ჭლექმა მოკლა. ვინ დაგენყევლა?!.

უნაგირზე არ შემჯდარა ბუღუია, ისე დაბრუნდნენ ის და კინტო აბაშაში. კაცი მთელი გზა ცხენს ელაპარაკებოდა ცხოვრების ავან-ჩავანზე.

- არაუშავს, ახლა მთავარია, ბავშვების მამიდა იყოს კარგად, ის მიხედავს ჩემს გოგოებს, ნორას ქმარმა განყობილი სახლ-კარი და ჰექტრობით სიმინდის ყანა დაუტოვა, სარჩო არასდროს მოაკლდებათ. აი, პენსილვანია კი აღარ გამოვა. სიმნარე სიტკბოს თანმდევი ყოფილა.

ბუდუია სახლში რომ დაბრუნდა, ცრემლი უკვე დამშრალი ჰქონდა. არ უვახშმია. ბავშვები ლოგინში ჩაანვინა, სამივეს აკოცა და უთხრა, რომ დღეს ზღაპარს არ მოუყვებოდა.

- შვილებო, აბა თუ მეტყვით, რომელია ყველაზე მაგარი ზღაპარი?

ბავშვებმა რამდენიმე ზღაპარი ჩამოუთვალეს, მაგრამ ბუდიას არც ერთი პასუხი არ მოსწონებია.

- არა ბავშვებო, ყველაზე მაგარი ზღაპარია კონკია!

- რატომ?

- იმიტომ რომ კონკიამ დროს გაუძლო.

- იგივე შეიძლება ითქვას ფიფქიაზე, წითელქუდაზე, ნაცარქექიაზე...მამა, შენ კაცი ხარ და წესითა და რიგით რაინდული ზღაპრები უნდა მოგწონდეს.

- განა პრინცი რაინდულად არ ექცევა კონკიას? თუ გგონიათ, რომ მხოლოდ გველუშაპისთვის თავის მოკვეთაა რაინდობა? კონკია იმიტომ არის ყველაზე მაგარი ზღაპარი, რომ ის ოცნებაზეა. ეს არის ლამაზი და ამავე დროს საშინელი ძალის ზღაპარი.

მამა შვილების საყვარელ, საფიცარ თვალებს ჩააცქერდა.

აღბათ ისევ დადგება ისეთი საუკუნე, როცა ქალებს ლამაზი თვალების გამო შეიყვარებენ - ასე ფიქრობდა აბაშელი კაცი, რომელიც ქალიშვილების გათხოვებას ვერ მოესწრებოდა.

ლოგინში ჩასანოლად რომ გაემზადა, ბუდიამ ენის ქვეშ ვალიუმი ჩაიდო. წამალმა ოდნავ დათრგუნა განცდები. მერე მამის სახე გაახსენდა სასაფლაოზე, მთვარის შუქზე დანახული ღიმილის ხაზებით.

ტრიადა ინამა ბუდიამ: ოცნება, უკვდავება და ბედისწერა.

კუზნეცოვა

პირველად მომინდა, რომ ერთდროულად ვყოფილიყავი მუშაც, ძველი ბიჭიც, პოლიტიკოსიც და ქალაქის სიამაყეც.

ყველაფერი ერთ დღეს, ერთ საათში მოხდა.

სუფრა მრგვალ ბაღთან გაიშალა, შევარდნაძის კორპუსს რომ ეძახიან, იმ სახლთან ახლოს. ჟურნალების მაგიდა სოფასთან მივაჩოჩეთ, აქეთ-იქეთ სავარძლები შემოვანწყეთ და ხუთკაციანი, სვენკი პურ-მარილიც გავშალეთ.

ბროკოლის სუფი, ყველის ასორტი, სოკო, ნამცხვარი, ცქრიალა ღვინო და არაყი - ნატურმორტს ცოტაოდენი ხილი და ტარიანში შეკეთებული მოსანევიც ამშვენებდა.

ივენტის გამწვევი ძალა ნუკი იყო. უსაყვარლესი გოგო, ვისაც ბავშვობიდან ვიცნობდი. ძალიან მომწონდა, თუმცა ოდენ მეგობრები ვიყავით, რალაც აბრკოლებდა მეტ სიახლოვეს.

ნუკი ბავშვობაში მხატვრულ ტანვარჯიშზე დადიოდა და ქალობაშიც შენარჩუნებული ჰქონდა ლამაზი სპორტული აღნაგობა. რალაცნაირი, სხვა ჯილაგისა იყო, ზუსტად ვერამც და ვერამც ამოიცნობდით მის ხვაშიადს.

პირად ცხოვრებაში არ გაუმართლა, არაერთხელ გათხოვდა, ბოლო წლებში კი საერთოდ აიცრუა გული კაცზე, ჯიშიანი კნუტები მიიყვანა სახლში და ფისოების მოფერებით იქარვებდა დარდს.

პირველად რომ გათხოვდა, ქმრის გვარზე გადავიდა, ნუკი ფსუტური ნუკი მჭედლიშვილი გახდა და დაქალებსაც მეტი რა უნდოდათ: ნუკის კუზნეცოვა დაარქვეს.

არ სიამოვნებდა კუზნეცოვას რომ ეძახდნენ და კატეგორიულად მოთხოვა მეგობრებს: ან ისევ ნუკი ვიქნები თქვენთვის, ან ჩვენი დაქალობა დამთავრდება.

ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა, იმის აქეთ კუზნეცოვა ათასში ერთხელ თუ წამოსცდებოდათ გოგოებს.

მრგვალი ბაღის სახლში ნუკის დაქალი კირა ცხოვრობდა. შვიდი თაობით თბილისელი ქალი - ასეთი იყო მისი მოკლე დახასიათება.

- მოსარიდებელი არაფერია, კირა ოცი წლის შვილთან ცხოვრობს, არც ქმარი ჰყავს და არც სიძე, ჩვენი მეგობარი ნიტაც შემოგვიერთდება, გოგოებს დალევა გვინდა და ერთი მამაკაცი მაინც ხომ უნდა იყოს სუფრაზე - მაღლიანად გამიღიმა ნუკიმ და ქალებთან ქეიფიც მომანდომა.

ქალაქური ქორებით დავიწყეთ. ყველაზე აქტიუალური მაია აბჟანდაძის და თამუნა ძაგნიძის რომანი აღმოჩნდა.

- მაიას კარგად ვიცნობ, ბიოლოგიურად გოგოს მოზარდობიდან ეტყობოდა, რომ უკვე კაცი იყო, ჩემი გაუჩივაც კი უნდოდა.

- საინტერესოა, როგორ უნდა გაეუჩიე მაიას?

- აბა წარმოიდგინე, რა სასაცილო იქნებოდა აბჟანდაძე სტრაპონით, მე კი მაღალი გეტრებით.

- ზოგჯერ ჭორი მხოლოდ ჭორია და მეტი არაფერი...

- არა ჩემო კარგო, აბუნდაძის და ძაგნიძის ამბავი უკვე მთელმა თბილის-მა იცის. გახოვს, თამუნა რა ეფექტური გოგო იყო? ტელევიზიაში მუშაობდა, თითქმის ყველა მდიდარი და გავლენიანი კაცი მასზე ანძრევდა და დააგროვა კიდევ ქონება ამ გზით, ახლა კიდევ უფრო დაბრძენებულმა და დაქალებულ-მა ძაგნიძემ მოფულიანებულ მათასთან გააბა ურთიერთობა - ადრე ლატენ-ტური გვი იყო, ახლა კი კიდაი, რას იტყვიან მასზე ქალაქში, სანამ ლამაზია, ბოლო დოლარები უნდა გამოიმუშაოს.

სახალისო გამოდგა ჩემი და ნუკის დიალოგი, თუმცა გული მაინც დამიმ-ძიმა. ჰეტერო ქალებს თურმე მაინც შურთ იმ ბისექსუალკის, რომელიც ლა-მაზია.

ცქრიალა ლვინო ყველას გვესიამოვნა, სარქველებიც გაიხსნა და საღერლე-ლიც აიშალა ნაიგვარ თემებზე სალაპარაკოდ.

- ქალი კაცს სილამაზით იზიდავს. შეუხედავი ქალის სიყვარულს მხოლოდ გენიოსი კაცი თუ შეძლებს. მოკლედ, კაცის ამბავში ყველაფერი მარტივადაა, აი, ქალების კი რა გითხრათ, მათი ვნებაუღევი ხასიათის გამო ყოველთვის საინტერესოა, რატომ იზიდავს ესა თუ ის კაცი ამა თუ იმ ქალს - ჭორაობის შემდეგ ეს საკითხი შემოვიტანე განსალხილველად.

გოგოები აივანზე გავიდნენ და გააბოლეს.

ჩვენ ისევ ლვინოს ვსვამდით, მხოლოდ კირა ერთობოდა არყის ყლურნვით. ოთხივე ქალის პასუხი მაინტერესებდა და პირველი კირა გამოდგა.

- ამას წინათ ჭაფჭაფაძეზე ასფალტს რომ აგებდნენ, ერთმა მუშამ მიიქცია ჩე-მი ყურადღება, ნავარჯიშევი, წელში გაზნექილი, ნვერულვაშიანი ყმანვილი იყო და ძალიან მომინდა, სახლში წამომეყვანა. ჯერ აბაზანაში შევაგდებ, მერე ნვერ-სა და ულვაშს გავვარსავ, ან ლამაზად შევუსწორებ, კარგ სუნამოსაც დავაპკუ-რებ და ლოგინში ჩავინვენ. და სულ არ მაინტერესებს, რომ ასფალტის მუშაა და არც ის მაინტერესებს, რა ინტელექტის პატრონია. ასე მომინდა და მორჩა.

- მე კი რატომღაც ოლაფ შოლცი მომწონს. მელოტი და ასაკოვანია, მაგ-რამ ეტყობა, რომ მოწესრიგებული და გალანტური მამაკაცია. კიდევ იმიტომ მომწონს, რომ გერმანია უკრაინას ტანკებითაც დაეხმარება.

- ქეთუნა, შვილო, რამ გაგასულელა, ასეთი კაცი როგორ უნდა იზიდავდეს ოცი წლის გოგოს?! მე რომ შენხელა ვიყავი, ზურა ყიფშიძე მომწონდა - უთხ-რა დედამ შვილს და კანცლერის მიმიკებითაც დასცინა ქეთუნას.

ნიტა და ნუკი - მათ რჩეულ ოქროდ აღიარებული დუმილი ამჯობინეს, თუმცა მხოლოდ დროებით.

- გოგოებო, იცით რა მოხდა ერთ-ერთ თბილისურ სუფრაზე, რომელსაც ორი ბომონდური ქალი ამშვენებდა? ია და ნია შეკამათდნენ, თუ ვის ჰქონდა ქალაქში ყველაზე ლამაზი მკერდი. ჯერ იამ აინია სვიტერი და სუფრაზე ყვე-ლას დაანახა ძუძუები, მერე კი იგივე გააკეთა ნიამაც. ამ დუელს გამარჯვე-ბული არ ჰყოლია, სუფრის საზოგადოება შეთანხმდა, რომ იას და ნიას მკერდი საუკეთესოა თბილისში.

ნიტას მოეწონა ჩემი ნაამბობი და ატკრციალდა.

- ნუკი, მოდი ჩვენც ავინიოთ ახლა ჰუდი. თუ გერიდება, ჯერ მე დაგანახებთ ყველას ჩემს ძუძუებს, ოღონდ მერე შენც იგივე უნდა გააკეთო.

ნუკი მოიღუშა და ყურში ჩამჩურჩულა:

- რა შენძრეულია, მოენონე და ცდილობს ეს ორიგინალურად დაგანახოს.

- როგორც უნდა იყოს, შემფასებლად ვერ გამოდგები, მე ქალაქის სიამაყე ნამდვილად არ ვარ - მოგუდული ხმით ვუპასუხე.

ნიტა არ ისვენებდა:

- ნუკი, აბა რას აპირებ, არ ვამარიაჟებთ ჩვენს ძუძუებს?

- მე ფსუტური ვარ ნიტა, მიყვარს ვაჟა-ფშაველა და სულ სხვა პრიორიტეტები მაქვს, ვიდრე ჩემი მკერდის მოშიშვლება.

- ვაჟა მთიდან რომ ჩამოვიდა თბილისში, ამბობენ, რომ სუნი ასდიოდა. ასე იყო?

კითხვა მე დამისვა ნიტამ და ვერ გავჩუმდებოდი.

- ვაჟა-ფშაველა გლეხი იყო და ცხადია, სპეციფიური სუნი ექნებოდა ამ დიდ ადამიანს.

ახლა უკვე ნუკი მომიბრუნდა და მკითხა:

- და მწერლებიდან თუ პოეტებიდან ვინმე იყო თბილისელი გენიოსი?

- როგორ არა, უბრალოდ ასეთი მხოლოდ ერთი გვყავდა: ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ძნელი აღმოჩნდა მარცხის გადატანა ნუკისთვის და მოურიდებლად მოგვახალა:

- სულ ერთ ადგილას მკიდიხათ ყველანი!

ნუკის კისრის ძარღვები დაებერა და აივანზე გავარდა. სამივე ქალიც თან გაჰყვა. თამბაქოს არცთუ ნაზად ეწეოდნენ.

- ნუკი, როგორ გეტყობა რომ მაინც გაღმელი ხარ, დიდუბელი. ჩემი ოჯახიდან ერთი ხმამალალი სიტყვა არ გასულა გერეთ, შენ კი როგორ იქცევი?!

- რა ვქნა კირა, მე ფსუტური ვარ, სხვანაირად არ შემიძლია და რომ იცოდე, სტადიონთან ცხოვრობ, ეს უკვე პლენხანოვია და არა დიდუბე.

- მაინც გაღმელი ხარ - ისევ მოუჭრა სიტყვა კირამ.

- ჩემს გამო ვერელი და ვაკელი ბიჭები პლენხანოველ ბიჭებს დანით ჭრიდნენ!

- ამაზეც გეტყობა, რომ გაღმელი ხარ. და კიდევ: შეხედე საკუთარ თავს, როგორ იქაჩები და იკლაკნები ჭიაყელასავით.

ქეთუნა და ნიტა იცინოდნენ და თან ეფერებოდნენ ნუკის, მერე მე გამომხედეს: რა ემოციური და საყვარელია ჩვენი მეგობარი!

ოთახში დავბრუნდით. ერთმანეთს არც კი ვუყურებდით, ახლა ოდენ ჩაფიქრება იყო სუფრის პერიპეტია. აღან პარკერის „კედელი“ გამხსენდა, ფილმის ის ეპიზოდები, სადაც სირუმეა და პინკ ფლოიდის მუსიკა არ ისმის, ოღონდაც პარკერის სიჩუმეები არ იყო უტყვი.

მივხვდი, რომ ჩემი ნასვლის დრო დადგა.

- ადექი და კარამდე მიაცილე - უთხრა კირამ ნუკის.

გარეთ გამოსულს თბილისი განსაკუთრებულად მესიამოვნა, თურმე მხოლოდ ვინრო ქუჩები არ ყოფილა ჩვენი ქალაქის მომხიბვლელობა.

მეორე დღეს კირას დაფურეკე და მასპინძლობისთვის მადლობა გადაუხადე.

- ნუკი საოცარი გოგოა, სუფთა და ალალი, ასე რომ, მის აფეთქებებს დიდ ყურადღებას ნუ მიაქცევ. ისე, აქეთ რომ დაგვკითხე ყველა, შენ რა მოგწონს ქალებში გარეგნობის გარდა?

დაუფიქრებლად ვუპასუხე: პარადოქსები!



მხატვარი: ლალი რიგიშვილი

სარჩევი

წინასიტყვაობა აკა მორჩილაძისგან.....	5
დაისლერი.....	7
მაშა დეიდა.....	12
დომინო.....	18
რუსა და ნუცა.....	23
როგორ წაუთქმეს შაკოს.....	30
თორნიკე ჭკვიანი კაცია.....	36
სილაგაზე ქართულად.....	43
LASCIATEMI CANTARE.....	48
ეკას შურისძიება.....	55
ბუდუიას ღამე.....	64
კუზნეცოვა.....	70

მოთხრობების წერა ნიუ იორკში დავიწყე
ამერიკული ემიგრაცია კარგი მოთორი
გამოდგა ამ საქმისთვის
თერთმეტივე მოთხრობა ნამდვილია,
მხოლოდ სიუჟეტია გამომგონილი



97899411654361

